

საქართველო

ლიტერატურული საქართველო



ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

4 აპრილი, 2014 წ.

№13 (3699)

ბამონძემის 78-ე წელი

ფასი 1 ლარი

თავაზ ნივნივაკე

მიხეილ სააკაშვილის მინისტრები!

ძვირფასო მკითხველო!

აღბათ, გახსოვთ, მიხეილ სააკაშვილს ორი ერთმანეთზე უკეთესი მინისტრი ჰყავდა!

აქედან ერთი, ვანო მერაბიშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთარი ჯიგარით განაგებდა!

მეორე, კახა თუ ალექსანდრე ლომია, განათლების სფეროს მთელი გულ-ბოყვით აწვებოდა!

მერე რომ არ დაგვაგინყდეს, ახლავ ვთქვათ: ამ ყველაფრის მიუხედავად, ერთი კარგად გვარიანი სულელი იყო და მეორეც!

ვანოს რომ ჰკითხავდი: „ვინ იცის, ვანო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი, მრავალ დროების მონამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“, თვითონაც აუცილებლად დაამატებდა – აღბათ, პირუტყვიცო!

კახა თუ ალექსანდრე ლომიას სხვა ახირება სჭირდა – ვერავინ დააჯერებდა: ჩიტი ბრდღვნად თუ ღირდა! ამიტომ მოქმედება სხვა

შინაურ ფრინველზე გადაჰქონდა – ქათამი ბრდღვნად არა ღირსო!

მერაბიშვილი სათავისო გამოთქმას – რომ „საქართველო ვანოსია“ – საკუთარი ხელების სახელმწიფო საქმეში ფათურით ასაბუთებდა!

ხოლო ლომია, ქათამი ბრდღვნად რომ ღირდა – დედლის ჩახობხობით ამონებდა, რომელიც მას მეტისმეტად უყვარდა!

ჩვენ კიდევ „საქართველო რომ ვანოსია“, ესეც შევამონმოთ და ისიც „ქათამი რომ ბრდღვნად არა ღირს...“

„საქართველო ვანოსია!“

ვანო მამაჩემს ერქვა და, აქედან გამომდინარე, არა მგონია, რომელიმე სხვა სახელი ჩემთვის უფრო აღმატებული იყოს!

თანაც, ისეთი პატიოსანი კაცი, როგორც მამა იყო, მე ჯერ მხოლოდ ნიგნებში შემხვედრია!

აღბათ, ამიტომაც მიხარია, ჩემს წარმოდგენაში ბატონი მერაბიშვილი ნელ-ნელა, მართლაც უმნიშვნელო ვანოდ რომ ყალიბდება!..

არადა, რაც ამ კაცის ირგვლივ ტრიალებს, სულაც არ იყო ადვილი, დღევანდელი საქართველოსთვის თავი ამ ტიტულით დაემახსოვრებინა!

გახსოვთ, აღბათ, ჯერ იყო და, კანცელარიის შენობაში შეჭრილი ერთი, იმ დროისთვის შედარებით უცნობი პარლამენტარი გახარებული რომ ყვიროდა – ვანო, ჰაუ, ვანო, ფული მოგიტანეო!..

ამის შემდეგ ყველას რომ ეგონა, ის, რაც ამ დეპუტატს გაუფრთხილებლობით წამოსცდა, ბატონ მერაბიშვილს ზიანს მოუტანსო, სულ ტყუილი ვარაუდი აღმოჩნდა!..

საქართველოს პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა – ბატონი ვანოსავით პატიოსანი კაცი მე ჩემს ხელისუფლებაში არავინ მეგულებო.

ცხადია, მითქმა-მოთქმაც მაშინვე შეწყდა... მერე იყო და, ფირმა „ომეგას“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ქალბატონმა ტელევიზიის ეკრანიდან კონკრეტულად ციფრი დაასახელა: „ბატონმა ვანო მერაბიშვილმა 25 მილიონის მოტანა მოგვთხოვა“-ო!

რასაა, რომ აბრალებთ თქვენო, – ერთი თქვა პრეზიდენტმა და ეს ხმებიც ერთ წუთში გაფანტა!..

არადა, ბატონი ვანოს ირგვლივ მსგავსმა ხმებმა და ჭორებმა არა და არ იკლო!..

„გადაუმონმებელი პრესა“ პირდაპირ ადებდა ხელს – ასლან აბაშიძის ჯავშნიანი „მერსედესი“ ან თავად მერაბიშვილმა, ან მისმა ძვირფასმა მეუღლემ სიმბოლურ ფასად შეიძინაო.

– ამას როგორ კადრებთ, ჩემს მეგობარ ვანოსო“, კვლავაც განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და ამ ჩვენს თავმომნონე მასმედის მართლაც „გადაუმონმებელი“ უწოდა... შემდგომ იყო და კრიმინალურმა ქმედებებმა ახალციხეში გადაინაცვლა – იქაური უნივერსიტეტის რექტორი უმიზეზოდ დაიჭირეს და ეს ყველაფერი, ასევე უმიზეზოდ ბატონ ვანოს დაბრალდა!

მიზეზიც სასაცილო მოიგონეს: ვითომ ის რექტორი, ამ ჩვენს ვანოს მისი ძვირფასი მეუღლისთვის დიპლომის გადაცემის შეყოვნებისთვის დაეკავებინოს!..

„როგორ არ გრცხვენიათ, სიდარბაისლით სახელგანთქმულ მესხეთ-ჯავახეთელებო, ჩემს უახლოეს მეგობარ ვანოს ამას რომ აბრალებთო!“ ცხადია, მიხვდებოდით, ამას ვინც იტყოდა და ერთ წამში და ერთბაშად ყველაფერი გასწორდა – რექტორი ციხეს მოაშორეს, ბატონ ვანოს კი უპატიოსნო კაცის სახელი!..

აგერ ახლა, გორში და მის შემოგარენში, თავდაცვის მინისტრის ყველა კადრი პოსტიდან დაითხოვეს და ზოგი დაიჭირეს კიდევც... ეჭვი ისევ ვანო მერაბიშვილზე მიიტანეს, თითქოს მთელი ეს ქმედება კოლეგიალური დაპირისპირებისა და პიროვნული ანგარიშსწორების მიზნით ჩაედინოს!..

თავად ბატონმა ვანომ საქართველოს მოსახლეობას განუმარტა – ოქრუაშვილი ჩემი პირადი მეგობარია და, ამის გარდა, არც მე დამიმსახურებია ჯერ ისეთი რამ, მსგავსი არაკაცობა რომ დამბრალდესო!..

ირაკლი ოქრუაშვილი კი არც იმას ადასტურებს, რომ მერაბიშვილის მეგობარია და საერთოდაც ხმას არ იღებს... არადა, ბედი მართლა არ გინდა?! – ვანოს მხრიდან ვამბობ!

სულ ახლახან გერმანიაში გაქცეულმა სატყუო დეპარტამენტის თავმჯდომარემ სიტყვიერადაც დაიბარა, ვიდეოკასეტაზე ჩანერი-

ლიც დატოვა და ახლა საზღვრებს გარეთ მყოფიც ყვირის – ვანო მერაბიშვილს ფულს რომ არ ვაკეთებინებდი, პოსტიც ამიტომ დავტოვე, სამშობლოც ამიტომ დავტოვე და, თუ სიმართლე გინდათ. სანამ ვანო მინისტრი კი არა, თუნდაც ცოცხალიც გვეყოლება, ჩემი „დუხი“ საქართველოში აღარასოდეს იქნებაო!..

წაესივნენ, მაგრამ რა წაესივნენ ამის შემდეგ ბატონი ვანოს თანამშრომლები უცხოეთში გაქცეულ ამ ჩვენს თანამემამულეს – შე ასეთო და ისეთო – ენა როგორ გიბრუნდება ამის სათქმელად ჩვენს ვანოზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სამეგობროშიც და თავად ხელისუფლებაშიც, წესიერების თვალსაზრისით, ერთ-ერთი საუკეთესოაო!..

არადა, მე რა მაინტერესებს, იცით? მართლაც რა უნდათ ამ უმნიშვნელო ვანოსთან, ქვეყანამ მის წინააღმდეგ პირი რომ შეიკრა და ყველა ერთხმად ადანაშაულებს?!

ეს ჩემთვისაც გაუგებარია და, აღბათ, იმიტომაც, მამაჩემსაც ეს სახელი რომ ერქვა და ყველა მისი სეხნია დღესაც უმნიშვნელო ადამიანი მგონია!..

ყოველ შემთხვევაში, ბატონი მერაბიშვილის ირგვლივ დატრიალებული ამდენი გაუგებრობა, ჩემთვისაც გაუგებარია!

თუმცა ჩემთვის ასევე გაუგებარია საქართველოს პრეზიდენტის მართლაცდა ზღვარგადასული მცდელობა – ისე უმნიშვნელოდ შეუნარჩუნოს ბატონ ვანოს პიროვნული ღირსება, თითქოს ის ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელე კი არა, კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის აღსაზრდელი იყოს!..

გაზ. „ლ.ს.“, №11, 25 მარტი, 2005 წ.

►► გაგრძელება მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

ქათამი ბრდღვნად. დიასახ. ღირს!..

მართლაც რას არ გაიგონებს კაცის ყური!.. ეს სულელური ფრაზა ამას წინათ საქართველოს განათლების მინისტრმა თქვა ტელევიზიის ეკრანიდან და, ჩემს გარდა, ცხადია, ათასობით სხვა ტელემაყურებელიც მოისმენდა! მოისმენდა და გულზეც შემოეყრებოდა... რასაკვირველია, კაცი, რომელიც იტყვის, ქათამი ბრდღვნად არ ღირსო, სულ ცოტა, ბრიყვი მაინც უნდა იყოს, ხოლო თუ ამ დაღმავალ ხაზს კიდევ უფრო ქვემოთაც ჩამოვყვებით – ცოტ-ცოტა სულელიც და უნიგნურიც! არადა, როგორც ამბობენ, საქართველოს განათლების მინისტრი სწორედ ასეთია – კანალიზაციის კარგი სპეციალისტი და ცუდი მინისტრი!

უფრო ზუსტად, მისი ცოდნა კანალიზაციის მთელ სისტემასაც ვერ წვდება: უმაღლესი სასწავლებელი კიდევ უფრო ვინრო სპეციალობით – „კანალიზაციის დახურული ჭების“ განხრით ჰქონია დამთავრებული!..

აქ კი, კანალიზაციის დახურულ ჭებში, თურმე გაცილებით უკეთესად გრძნობს თავს, ვიდრე მინისტრის საჯარო ჭებში!..

იტყობა, მართლაც კაცია და გუნება! ამ გუნებიდან და, ალბათ, სპეციალობიდანაც გამომდინარე, მას ზუსტად სცოდნია, კანალიზაციის მიღში რა გადის და სად გადის, და, საერთოდაც, ვისთან გადის და როგორ გადის!..

ბატონ კახას ამ კუთხით, როგორც ჩანს, კოლეჯის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ბევრი არაფერი გასდის, თორემ მთავრობაში, როგორც მისი სპეციალობით ჩამოსხმულ საკანალიზაციო „ტრუბებში“, კარგად შეფუთულ მრავალ სიბინძურესაც აპარებს!..

ახლა თავდაპირველ სიტყვასაც დავუბრუნდეთ!

ნეტა, ვინ ასწავლა ამ საცოდავს: ქათამი ბრდღვნად არ ღირსო!

არადა, ეს შინაური ფრინველი ბრდღვნად რომ ღირს, სწორედ ამიტომაც დასდევს მსოფლიო დიასახლისების ნახევარზე მეტი ჯოხით ხელში!

ხოლო, თუკი დაიჭირეს, დაკლავენ და ბრდღვნიან კიდევც!..

ბატონო კახა, ბრდღვნად რომ არ ღირს, ის ქათამი კი არა, ჩიტია – შე მართლა ჩიტო და სოროსის მარგალიტო!..

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე კიდევ ერთი გამოთქმა მინდა გავასწორო!

პრესის ფურცლებზე დღეს ხშირად ხმარობენ გამოთქმას „გრანტიჭამია ლომია“...

რასაკვირველია, ეს სწორი ფორმა არ არის და, რაკი გრანტი იგივე ძღვენია, გაცილებით აჯობებს, ასეთი ფორმა ვიხმაროთ: „ძღვენიჭამია ლომია!“

მაშ ასე, ბატონო კახა, შენ და შენისთანები, ამიერიდან გრანტიჭამიები კი არა, ძღვენიჭამიები ბრძანდებით!..

ოღონდ ჩემს ძვირფას კოლეგა-ჟურნალისტებს აუცილებლად უნდა ვთხოვო, რომ ამ სიტყვას – ძღვენიჭამიას – ნურც ხშირად და ნურც ჩქარ-ჩქარა გაიმეორებენ, თორემ გამორიცხული არ არის, „სარტყელი მივირტყი-მოვირტყის“ მსგავსად ადრე თუ გვიან მართლაც „მორტყმულები“ აღმოვჩნდეთ, ან კიდევ უფრო უნმანურ კონტექსტში ამოვყოთ თავები!..

თუმცა ხშირი ვარჯიშის შედეგად, შეიძლება, უფრო გამოკვეთილადაც კი წარმოვთქვათ ამ ჩვენი ძღვენიჭამიაშვილების გვარები!

აი, თუნდაც ამ ერთ გვარზე ერთად ვცადოთ!

- ძღვენიჭამიაშვილი ლომიაა, ერთი!
- ძღვენიჭამიაშვილი ლომიაა, ორი!
- ძღნ...იჭამიაშვილი ლომიაა, სამი!

ძვირფასო მკითხველო! მე აქ უნდა შევჩერდე, თორემ ჯერ მხოლოდ სამჯერ დავთვალე და სამიდან ერთხელ ამ მეგრულგვარიანი წარმოშობის კაცზე „კახურიძიანი“ სიტყვა წამომცდა!

თუმცა საბოდიშოც არაფერია – კარგად რომ დავაკვიდრი, მოუხდა კიდევც!..

გაზ. „ლ.ს.“, №12, 1 აპრილი, 2005 წ.

„ესთერიზმი“, ანუ როცა „ანკესი“ ბირთვულ იარაღზე ქლიერია

თანამედროვე მსოფლიოს გადარჩენილ ჯანსაღ ცნობიერებაში უკვე სრულიად მკაფიოდ გამოიკვეთა და დადგინდა აზრი, რომ თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების მიმდინარე პროცესებში, რომელთაც უკვე საკმაოდ გავრცელებული ცოდნით „მსოფლიოს საიდუმლო მანქანა“ მართავს, საჭირო პიროვნებებისა თუ მასების გამოსათავსებლად და შემდგომ გამოთავსებულის გასანადგურებლად, მთავარი იარაღია ანკესზე წამოგების, ანუ ინფორმაციულ მახეში გაბმის, საპირისპირო მხარის მოტყუების სტრატეგია; რომ თვით 21-ე საუკუნის ტექნიკური აღმოჩენების აპოგეაში „ანკესზე წამოგების ტექნოლოგია“ უფრო ეფექტური, ვინემ ბირთვული იარაღის სამხედრო ძალა. პიროვნებისა თუ ხალხის „ანკესზე წამოგების ტექნოლოგიით“ შესაძლებელი ხდება, შენმა მონივრულმა თავისივე ხელით ადასრულოს თავის თავზე ის დარტყმა, რომელიც შენ უნდა მიგვეყენებინა მისთვის უფრო დიდი ძალისხმევის მოხმობით. ცხადია, მონივრულმა თავის შეცდომებში შეყვანასაც სჭირდება დიდი მუშაობა და არც ეს არის იოლი, მაგრამ ამის უნარსა და ხელოვნებას პიროვნებაც და ხალხიც ღვთისგან უნდა ფლობდეს. და მართლაც, თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის დასამყარებლად ანკესზე წამოგებულ ჭიყვებლად არ არიან (?) გამოყენებულნი მორალურ-პოლიტიკური იდეები: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაც და სახელმწიფოებრივი გაერთიანებისაც? გაერთიანებულნი დავშალოთ დამოუკიდებლად, ხოლო დამოუკიდებლებს გაერთიანებისკენ მოვუწოდოთ – ასე გამოიყურება დღეს მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნება.

ცხოვრების გზის სწავლების ყველა სხვა ხერხთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ბიბლია, უფრო ზუსტად, პირველი ნაწილი ბიბლიისა, „ძველი აღთქმა“, კაცობრიობის წმინდა წიგნად აღიარებული დიდი თხზულება ებრაელი ხალ-

ხისა, მონივრულმა მხარის „ანკესზე წამოგების“ ამ უნარის გამომართობისა და ამ „ტექნოლოგიის“, ანუ ამ ხელოვნების ფლობის სახელმძღვანელოც არის. ამ „ტექნოლოგიის“ ფლობისა და გამოვლენის ბრწყინვალე ნიმუშია ბიბლიის ერთ-ერთი კანონიკური წიგნით, „ესთერის წიგნით“ გადმოცემული ამბავი, ებრაელი ხალხის ეროვნული გმირად აღიარებული ქალისა – ესთერის. თავად ის ფაქტიც, რომ ებრაული დღესასწაული „ესთერობა“, ანუ „პურიმი“, ისე შეახვიო თავის ტრანსფორმირებულ სახეში, ზოგადად ქალის ღირსების დაცვის სახეში, რომ ესთერი აქციო ქალობის იდეად, ხოლო „ესთერობა“ ქალთა ღირსების დაცვის მსოფლიო ხალხების დღესასწაულად, 8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღედ გამოცხადება, მეტყველებს იმაზე, რომ ებრაული ჭკუაგონების საკუთრივი მახასიათებელი სწორედ ის თვისობრიობაა, რომელსაც შეუძლია ადამიანური უნარი ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედებისა და მიზანდასახული მიმართულებით წარმართვისა აიყვანოს მსოფლიოს დაპყრობის „ტექნოლოგიური ხელოვნების“ ხარისხში, აიყვანოს და იმდენად ცხადყოფს, რომ ამ გზით კაცობრიობის ყველაზე თავზარდამცემი ბირთვული იარაღის ძალაც გადაფაროს.

„წიგნი ესთერისა“ ანკესზე მონივრულმა მხარის წამოგების ერთი კონკრეტული ამბავია, რომელიც მძაფრად აჩვენებს ებრაელი ხალხის გარე სამყაროსთან და სხვა ქვეყნების ადამიანებთან მიმართების სპეციფიკას, ადამიანებთან და ხალხებთან მიმართების მორალურ კრედოს. ცხადია, ამგვარი შეფასება ბიბლიური გმირისა აყენებს მისი ტიპობრიობისა და იმ ხალხის მორალურ-ფსიქოლოგიური პრინციპების საკითხსაც, რომლის წარმომადგენელიც იგი არის.

როგორც ვიცით, ებრაელმა ხალხმა თავისი დიდი მონამებრივი ცხოვრების გზაზე ორი დიდი ტყვეობა გამოიარა: ეგვიპტური და ბაბილონური. ეგვიპტი-

დან გამოსვლის შემდეგ უფალმა დააბინავა ებრაელი ხალხი აღთქმულ მიწაზე. აღუთქვა უფალმა, ღმერთმა ისრაელი-სამ ებრაელებს: თუ ერთგულნი იქნებით ჩემი, იქ, აღთქმულ მიწაზე დამკვიდრებულ ხალხებს აყერი და ხელში ჩაგაგდებინებთო მთელს მათ ქონებასა და მიმდირესო. ძალზედ საინტერესოა ძველი აღთქმით გადმოცემული ისრაელიანთა ღმერთის დიდაქტიკური პრინციპები, ის ღვთაებრივი სამართალი და მორალი, რომელიც გაცხადებულია ებრაელი ხალხის დიდი წინასწარმეტყველისა და წინამძღოლის, მოსეს პირით:

„როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის გამო ეფიცებოდა აბრაამს, ისაკს და იაკობს, რომ შენ მოგცემდა დიდი და მშვენიერი ქალაქებით, რომლებიც შენ არ აგიმენებია, ყოველნაირი დოვლათით ავსებული სახლებით, რომლებიც შენ არ აგივსია, ამოთხრილი ჭებით, რომლებიც შენ არ ამოგიტხრია, ვენახებითა და ზეთისხილის ბაღებით, რომლებიც შენ არ გაგიმენებია და შენც შეჭამ და გაძღებ, ფრთხილად იყავი, რომ არ დაგავიწყდეს უფალი, რომელმაც შენ გამოგიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან“ (2რჯ. 6, 11-12).

„როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ, და მოგამორებს მრავალრიცხოვან ხალხებს: ხეთელებს, გირგაშელებს, ამორეველებს, ქანანელებს, ფერიზელებს, ხივილებს და იებუსელებს – შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხოვანსა და ძლიერს, ხელში ჩაგაგდებინებს და შენც დაარისხებ მათ, დაარისხე ისინი (შენივე უფალს. – დ.ს.), არ შეკრა მათთან კავშირი და არც დაინდო!“ (2რჯ. 7, 1-2). „შენ შთანთქავე ყველა ხალხს, რომელსაც გაძღე უფალი, შენი ღმერთი!“ (2რჯ. 6, 16).

მოხმობილი ფრაგმენტები ნათლად აჩვენებს ეპოქალურსა და მორალურ-ფსიქოლოგიურ პრინციპებს ღვთაებრივი სამართლიანობის ეროვნული კლა-

სიკური გაგებისას. ამასთან უფლის რჩეული ერის ეროვნული კლასიკური გაგების. სამართლიანობის ამგვარი გაგებით არიან გამოსულნი ისრაელიანები ოთხასწლოვანი ეგვიპტური ტყვეობიდან. და უფალს, რომელმაც ისინი გამოიყვანა ეგვიპტური მონობის სახლიდან და დაასახლა აღთქმულ მიწაზე თავისი ცხოვრების ოქროს ხანით, ისრაელიანები უგებენ გრანდიოზულსა და არქიტექტურული მშვენიერებით განთქმულ ტაძარს, „ტაძარს სოლომონისას“, ისრაელის ორი დიდი მეფისა, დავით წინასწარმეტყველისა და მისი ვაჟის, სოლომონ ბრძენისა და თავად უფლის, იაჰვეს წყალობით შექმნილს. მიუხედავად ამ დიდი გამარჯვებისა და თავისი არსებობის ოქროს ხანის შექმნისა, ღმერთი ისრაელისა ვერ იხსნის ებრაელ ხალხს მეორე დიდი ტყვეობისგან. სწორედ ამ მეორე ტყვეობის ისტორიას უკავშირდება ესთერის პიროვნება, როგორც განსახიერება ეროვნული გმირული სულისა.

როგორც ბიბლიის მკვლევარები აღნიშნავენ, ესთერის წიგნში ძველი ნელ-თაღრიცხვის მე-5-ე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული სინამდვილეა ასახული და მიეკუთვნება იმ წიგნებს, რომლებიც გადმოსცემენ ებრაელი ხალხის ცხოვრებას მას შემდეგ, რაც ბაბილონელებმა დაარბიეს იერუსალიმი, დაანგრეს სოლომონის ტაძარი, ტყვედ აიყვანეს მთელი ებრაელი ხალხი და წაასხეს ბაბილონიში. ესთერის წიგნში გადმოცემულია პერიოდი, როცა ბაბილონის ტყვეობიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა იერუსალიმი ეზრა – ებრაელთა დიდი წინასწარმეტყველი და განმანათლებელი, როდესაც ბაბილონის ტყვეობიდან სპარსეთში არიან ისრაელიანები გახიზნულნი და ერთ-ერთი ხიზანი ისრაელიანებისა, ლამაზი ტყვე ქალი, ესთერი, სპარსეთის უდიდესი სამეფოს დედოფალი ხდება.

ესთერი ტიპური სახეა ებრაელი ქალისა. მას ერთ-ერთი შესანიშნავი წინამორბედი ჰყავს ებრაელი ▶▶

▶▶ ხალხის ეროვნული გმირი ქალის, იაყელის სახით, რომელიც ესთერთან ერთად უსათუოდ არჩევენს შემამინებელ ძლიერებას ებრაელი ქალისას.

ალექსანდრე მინაზე დაბინავებული ებრაელები სისხლისმღვრელი ომით უპირისპირდებიან ალექსანდრე მინის ადგილობრივ მკვიდრებს – ქანაანელებს. ბრძოლაში ქანაანელები მარცხდებიან. ქანაანელები სარდალი, სისარა, რომელსაც მთელი ეტლიონი გაუნადგურეს, ბრძოლის ველიდან გარბის და გეზს ებრაელი ქალის, იაყელის, ხებერ კენიელის ცოლის კარვისკენ იღებს, რადგან ქანაანის მეფესა და იაყელის სახელეულობას შორის მშვიდობა ეგულება. ასე იყო ომამდე. სისარამ იცის, რომ ებრაელთა სარდალი, რომელმაც ეტლიონი გაუნადგურა, უკან მოსდევს... მაგრამ ქანაანელი სისარა მიაღწევს მახლობელი ებრაელების კარავს:

„გამოეგება იაყელი სისარას და უთხრა: – მობრძანდი, ბატონო, შემობრძანდი ჩემთან, შიში ნურაფრის გექნება – შეიყვანა კარავში და ხალქვემ დამალა. უთხრა სისარამ: ცოტა წყალი მომიტანე და დამალევი, რადგან მწყურია. გაუხსნა ქალმა რძით სავსე ტიკი, დააღვინა და ისევ წააფარა ხალი. უთხრა სისარამ: – კარვის კართან დადექი, თუ ვინმემ ჩამოიაროს და გკითხოს, ვინმე ხომ არ არისო მანდ, მიუგე, არა-თქო. იაყელმა, ხებერის ცოლმა აიღო კარვის პალო, ხელში ურო დაიკავა, ფეხაკრეფით მიეპარა სისარას და ისე ჩაურჭო პალო საფეთქელში, რომ მინას დააჭდა. მას კი (სისარას), დალილ-დაქანცულს ჩასძინებოდა და მოკვდა“ (მსაჯ. 4,18-21).

იაყელის ხელით ქანაანელთა სარდალის – სისარას საშინელი განგმირვის ეპიზოდი ეროვნული ჰიმნის, ტრიუმფალური საგალობლის სიუჟეტი ხდება. ისრაელიანთა სახელგანთქმული მსაჯული-ქალი, წინასწარმეტყველი დებორა და ებრაელთა სარდალი ბარაკი, რომელსაც იაყელმა წაართვა სისარას განგმირვის ბედნიერება, ერთად აღავლენენ გალობას ებრაელთა ღმერთის, იაჰვესადმი:

„ისმინეთ, მეფენო, ყური მომაპყარით, მთავარნო: ეს მე ვარ, მე ვუგალობ უფალს, მე ვუმღერო უფალს, ისრაელის ღმერთს... კურთხეულ იყოს იაყელი, დიაცთა შორის, ხებერ კენიელის ცოლი! კარავში მცხოვრებ დიაცთა შორის კურთხეულ იყოს!..

წყალი მოსთხოვა და რძე მიართვა, სეფეთასით მიართვა მოუხდელი რძე.

მარცხენა ხელით პალოს დასწვდა, მარჯვენით უროს. მოუქნია სისარას, თავში დაბჯრა, გაუპო, საფეთქელი შეულენა...

სარკმლიდან იყურება, კანკლედინდან გაჰკვივის სისარას დედა: რატომ იგვიანებს მისი მხედრობა, რამ შეაფერხა სისარას ეტლის თვლები?!..“ (მსაჯ. 5,3-5, 24-26, 5,28).

ეს შემზარავი სიუჟეტი იაყელისა და სისარას „სტუმარ-მასპინძლობისა“, რომელსაც უმღერის ებრაელი ხალხი, ჩემს ხედვაში პირდაპირ ალტერნატიულ ასოციაციას იწვევს ქართული ხალხური სიმღერის სახით შემონახულ ერთ ლეგენდარულ ამბავზე, რომელიც წმინდა ქართული და წმინდა ქრისტიანული ფსიქოლოგიისა და მორალის უჩვეულო გამოვლინებაა. და საერთოდ, ამ ლეგენდარული ამბით, ალბათ, დაბეჯითებით შეიძლება ისიც ითქვას, რომ რაც წმინდა ქართულია, წმინდა ქრისტიანულიც არის. მხედველობაში გვაქვს მოხვეწურ ფოლკლორში სიმღერად შემონახული ლექსი სხვა სახელგანთქმული და-ძმისა: შიოლა ლუდუშაურისა და მისი დის. შიოლა მოკლეს და მკვლელს შურისმაძიებლები დაედევნენ. მახლობელ სოფელში თავშესაფრის მაძიებელი მკვლელი

უცნობის სახლში შევარდება და თავშესაფარს სთხოვს მასპინძელ ქალს, რომელიც, აღმოჩნდება, რომ მოკლულის დაა. ქალი ძმისმკვლელს ველარ განირავს, რადგან მან უკვე შეაფარა თავი მოკლულის დის ქვრქვემ და ღვთისგან თუ ბედისწერის ქარტეხილისგან სტუმარ-მასპინძლის რეალობა შექმნა. შიოლას და ახლა უკვე მასპინძელია და ღვთისა და საკუთარი ქვრქვის ღირსება უნდა დაცვა პირველ რიგში. იგი მანდის და აგებს კარის ზღურბლზე, რითიც თავისიანებს შურისძიებას აუკრძალავს. და, როცა შურისმაძიებლები, მის კართან შემდრკალნი, იძულებულნი გახდებიან, უკან დაიხიონ, შორიდან ნასროლი ისრით ფანჯრიდან შეაღწევენ ქვრქვემ და მოკლავენ მკვლელს. შურაცხყოფილი შიოლა ლუდუშაურის და ახლა უკვე ორმაგად არის ჭირისუფალი და მგლოვიარე. და, როგორც შურაცხყოფილი თავისიანთაგან, იგი უარს იტყვის მათთან ერთად ძმის დატირებაზე: არ წავა სატირალში, მარტოკა დაიტირებს და მარტო ივლოვს... მდინარის პირას... სტუმარსაც და ძმასაც. იაყელისა და შიოლას დის, ამ ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ქალის ფსიქოლოგიითა და მორალით ორი სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიისა და მორალის ხალხი იხატება ჩვენს თვალში. ფსიქოლოგია და მორალი დაუნდობლობისა და ფსიქოლოგია და მორალი დანდობისა და მტრის სიყვარულის.

ბიბლიური გმირი ქალის, იაყელის ფსიქოლოგიური და მორალური განგრძობაა ახალი ბიბლიური გმირი ქალი, ესთერი, რომელიც სპარსეთის მეფის ცოტუნებით სპარსეთის დედოფალი ხდება. თუმცა ამ მაცოტუნებელი სიცრუით ის მარტო არ არის. ის სასახლეში შეგზავნილი დედოფალია იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში, დაიცვა ებრაელთა ინტერესები სპარსეთში. შემგზავნი არის ესთერის ბიძაშვილი, სახელად მარდუქაი, რომელიც მუდმივი კონსულტანტია ესთერისა. საქმე გვაქვს მაცოტუნებლობის მთელ მექანიზმთან, რომელსაც ორი პიროვნება მართავს: მარდუქაი და ესთერი...

სპარსეთის უზარმაზარი სამეფოს მმართველი იყო მეფე ახაშვეროში. ინდოეთიდან ქუშამდე იყო გადაჭიმული მისი სამფლობელო, 127 პროვინციისგან შემდგარი. თავისი მეფობის მესამე წელს მეფე ახაშვეროშიმ დიდი ნადიმი გადაიხადა, მოიწვია თავისი მთავრები, სპარსელთა და მიდიელთა სარდლები, მორჩილნი და მხარეთა განმგებელნი. შვიდ დღეს მიდიოდა ნადიმი სასახლის ბაღში, თავი მოიწონა მეფემ თავისი სამეფოს სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით: „მრავალფერი ქსოვილები ეკიდა ბისონისა და ძონის ძაფებით ვერცხლის რგოლებზე და მარმარილოს სვეტებზე. ოქროსა და ვერცხლის საწოლები იდგა ალებასტრით, მარმარილოთი, სადაფითა და შავი მარმარილოთი მოფენილ იატაკზე. სასმელს ოქროს სასმისებით სვამდნენ, მრავალფერი სასმისებით. უხვად იყო სამეფო ღვინო, მეფეთა საკადრისი. ვაშ-

თი დედოფალმაც გადაიხადა ღვინო ბანოვანთათვის მეფე ახაშვეროშის ერთ-ერთ სასახლეში. მეშვიდე დღეს მეფემ თავისი ულამაზესი დედოფლის მშვენიერებით თავმონონება მოიწადინა და შვიდი მომსახურე საჭურისი გაგზავნა ვაშთი დედოფლის მოსაყვანად... დედოფალმა ბრძანება იუკადრისა და უარი შეუთვალა მეფეს. ვაშთი დედოფალმა დედოფლობა დაკარგა. მეფის მხლებლები მეფის დავალებით ახალი დედოფლის კანდიდატურის ძებნას შეუდგნენ.

მარდუქაის მცდელობითა და დარიგებებით ესთერმა, დამალა რა თავისი ებრაელობა, ვაშთი დედოფლის ადგილი დაიკავა. მარდუქაის სამსახურად კი იქცა დღენიადგ დგომა სასახლის კარიბჭესთან, ინფორმაციის მოკრება და შეგზავნა მეფესთან შესატანად ესთერის გზით. იუდეველმა მარდუქაიმ, რომელიც წარმომავლობით ბენიამინის შტოდან იყო და ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იუდას მეფესთან, იექონიასთან ერთად იყო ბაბილონში გადასახლებული. სპარსეთში გადმოხიზნებით, სასახლის კარიბჭესთან დღენიადგ დგომით სპარსეთის მეფის მთავარი ინფორმატორის ადგილი მოიპოვა. სასახლეში არავინ არ იცის, რომ ესთერი იუდეველია. მარდუქაიმ კი სასახლის კარიბჭესთან აფიშირება მოახდინა თავისი იუდეველობის, რითიც უფრო მეტად შენიღბა ესთერის ვინაობა და როდესაც მეფე ახაშვეროშიმ ყველა მთავარს შორის გამოარჩია და როგორც ყველაზე ერთგულსა და ღირსეულს, ჰამანს, დაუდგა სავარძელი ყველა მთავარზე მალა, ვინც კი ჰყავდა, სასახლის კარიბჭესთან, მარდუქაი შეუდგა ჰამანი-სადმი უპატივცემულობის საგანგებო დემონსტრაციას და ჰამანს იუდეველთა დამი სიძულვილი ხელოვნურად მოახვია თავს. ნელ-ნელა ესთერის გზით მარდუქაიმ შესძლო განხეთქილების ჩამოგდება სპარსეთის მეფესა და მის რჩეულ მთავარს შორის და, ბოლოს და ბოლოს, იქამდე გამოათავყვანა მეფე ახაშვეროში ესთერის მეშვეობით, რომ ეს ყველაზე რჩეული და ერთგული ჰამანი სახრობელაზე ჩამოაკიდებინა. სახრობელაზე ჩამოაკიდებინა მერე ჰამანის ათი ვაჟი, ხოლო ისტორიული სტატისტიკით, გარდა ამ განწირული მთავრის ოჯახისა, ესთერის თხოვნით 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათას) კაცისთვის მიუსჯია სიკვდილი სახრობელით და ეს ისეთი რიცხვია, რომელიც ესთერს, იაყელის მორალურ მემკვიდრეს, ნებისმიერ დროს აპოვინებს კარვის პალოსაც და უროსაც, თუ კი ეს თავისი ხალხისთვის დასჭირდა, თავად მეფე ახაშვეროშის მიწაზე დასაჭედად. ესთერის ბიბლიური წიგნით ჰამანის ჩამოხრჩობის შემდეგ, ესთერის თხოვნით, სპარსეთის მეფე ახაშვეროშიმ სპარსეთში შეხიზნული ყველა ებრაელის ხელშეუხებლობა ბრძანა, ხოლო ჰამანის სავარძელზე, რომელიც დაუდგა მან ჰამანს „ყველა მთავარზე მალა, ვინც კი ჰყავდა“ მარდუქაი დასვა. ამრიგად, მარდუქაი-ესთერის ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ სპარსეთის ამ უდიდესი სა-

მეფოს მმართველს მთავარი საყრდენის, ჰამანის ჩამოცილებით შეუქმნა ახალი საყრდენი, რომლითაც სპარსეთის მეფე მთლიანად დამოკიდებული გახდა სასახლის კარიბჭესთან მდგომ მარდუქაიზე და ბაბილონიდან შემოხიზნული ებრაული ეროვნული უმცირესობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაზე...

ერთ-ერთი ქართველი ებრაელი, ცნობილი პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ებრაელების ისტორიულ დამსახურებად გადმოგვცემს თამარ მეფის დაქორწინებას გიორგი რუსზე, იმ ქართველი ებრაელების, რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე დანიშნულნი იყვნენ და შესაძლებლობა ჰქონდათ, გავლენა მოეხდინათ სამეფო კარის ცხოვრებაზე... ჩვენს მიერ ბიბლიური „ესთერის წიგნისა“ და ესთერისა და მარდუქაის პიროვნული ფენომენის გადმოცემის შემდეგ, ნათლად წარმოსადგენი ხდება, თუ როდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო მეფე თამარი, რომ უნესო გიორგი რუსიც აელავა და ყოველგვარი მცდელობანიც მისი ძალაუფლების შეზღუდვისა ებრაული წარმომავლობის მოხელეთაგან, აელავა ყოველგვარი სახრობელების გარეშე, უმალლესი ადამიანური ზნეობითა და სათნოებით.

ებრაელმა ხალხმა ესთერის, როგორც ეროვნული გმირის უკვდავსაყოფად მისი ხსენების დღესასწაული დაანესა „პურიმის“ („წილისყრის დღე“) სახელწოდებით, რომელსაც ებრაელები დღემდე დღესასწაულობენ. დღესთვის მსოფლიო მეცნიერებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში ებრაელ მასონთა დიდი მონაწილეობით იქნა მომზადებული. – „კაპიტალიზმშიცა და სოციალიზმშიც წამყვან ძალას წარმოადგენენ ებრაელები“ – წერს ჯორჯ სოროსი. დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ გაცნობიერებულია, რომ ჩვენი დღევანდელი მსოფლიოს ცივილურ ისტორიაში რევოლუციებს ებრაელები მართავენ, მაგრამ ცხოვრება ამ რევოლუციებს თავის საკუთარ სახეს აძლევს და ებრაული გონი, მსოფლიო მმართველობაზე მეოცნებე, იძულებული ხდება ჩვენი ცივილიზაციის მთელ მანძილზე უწყვეტი მონიტორინგით იყოს მიმართული მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე და უწყვეტი სულისკვეთებით ეწეოდეს კაცობრიული ცნობიერების ინტეგრაციას – ან ღიად, ან ფარულად – ებრაულ ღირებულებებზე. ცხოვრებამ და ისტორიამ იგი, ებრაული გონი, გამოანათო შენიღბული არსებობისთვის. მან შეიმუშავა უნარი, მშვიდობიანად შეფუთოს თავისი სხეულებრივი ყოფიერება სხვა ქვეყნის სხეულებრივ ყოფიერებაში, თავისი სულიერი ინდივიდუალობა – სხვა ხალხის სულიერ ინდივიდუალობაში, თავისი რელიგიური ინდივიდუალობა – სხვა რელიგიების სამოში. როდესაც კოპენჰაგენში ქალთა საერთაშორისო დღე ლენინის მეგობარი ქალის, კლარა ცეტკინის ინიციატივით დაწესდა, შემთხვევითი არ იყო, რომ იგი – ქალთა საერთაშორისო დღე პურიმის დღესასწაულის პირველი აღნიშვნის დღეზე თანხვედრილი აღმოჩნდა. ესთერისა და იაყელის გენეტიკური წარმომავლობის ქალბატონმა თავისი ქვეყნისა და თავისი წინაპრებისადმი სიყვარულით ისიც შეძლო, რომ პურიმის იდეა დროისა და ეპოქის შესაბამის ახალ იდეაში შეეფუთა და მსოფლიოს ქალები პურიმის დღესასწაულზე ეხმო. მილიონობით ქალს ამ დღეს მილიონობით მამაკაცი ულოცავს, მაგრამ გაცნობიერებული არა აქვს, რომ ამ დღესასწაულით იგი ებრაული პურიმის დღესასწაულსაც უერთდება...

დენიზა სუმბაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



თამაზ ბიბილოური - 80

ორმოცი წლის წინანდელი ამბის გახსენება მინევეს. ჯანსუღ ჩარკვიანის სიამოვნებით მოსაგონარი რედაქტორობის დროს „ცისკარში“ პროზის განყოფილება მებარა. გივი გეგეჭკორი პოეზიას მეურვეობდა. გივი და მე იდეალურად ვიყავით შეწყობილები ერთმანეთთან და ჯანსუღთანაც. არ ყოფილა შემთხვევა, რაიმეზე უთანხმოება მოგვსვლოდა. „ლიტერატურულ საქართველოს“ ჩვენი უფროსი მეგობარი და უჭკვიანესი მოძღვარი ვახტანგ ჭელიძე რედაქტორობდა. მოულოდნელად იქ მოადგილის შტატი გათავისუფლდა. ჯანსუღმა მარტო შემხიმო კაბინეტში და მითხრა: ადვილი მოსალოდნელია, იქ ვინმე არასასურველი დანიშნონ და აჯობებს, შენ ნახვიდე სასწრაფოდ. ერთად ყოფნა კარგია, მაგრამ დროა გავიშალოთ, საერთო საქმეს ასე უფრო მივხედავთ. ბავშვები პატარები მყავდა, სხვა დამაბრკოლებელი პრობლემებიც გექონდა ოჯახში და ჯანსუღს ვუთხარი – მე გამიჭირდება ასეთი ტვირთის აწევა (ძირითადად სტამბაში ხშირად და გვიანობამდე ყოფნას ვგულისხმობდი), ცოტა დამაცადე და ხვალისთვის უკეთეს კანდიდატურას მოვიფიქრებ-მეთქი. შენი საქმე შენ იციო, თავი გადააქნია.

იმავ დღეს გივის დაველაპარაკე. ავუსხენი ვითარება და თან ჩემი ჩანაფიქრიც გავანდე, რომ „ლიტერატურულ საქართველოს“ ყველაზე შესაფერისი თამაზ ბიბილოური იქნებოდა. გივიმ სიხარულით გაიზიარა ჩემი მოსაზრება. თამაზი იმჟამად „ახალგაზრდა კომუნისტის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო, ბევრი წვლება უხდებოდა, თავისი თავისა და წერისთვის ნაკლები დრო რჩებოდა.

სალამოს დაუყოვნებლივ ვინახულეთ ბატონი ვახტანგი და ვუთხარი ჩვენი სათქმელი. წუთითაც არ შეეყოყმანებულა. თამაზ ბიბილოურს თვითონვე დაურეკა და ყველაფერი მაშინვე გადანყდა. თამაზს თვითონ აქვს აღწერილი, როგორ გაუჭირდა კეთილი ბუნების ადამიანს, „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორს გიორგი გელაშვილს მასთან განმორება, მაგრამ რაღას იზამდა. თამაზ ბიბილოური მთელი მონდომებით შეუდგა ახალი მოვალეობის შესრულებას და, თუ როგორ გამოიჩინა თავი, ყველამ კარგად იცის.

თამაზის მიმართ იმთავითვე მეგობრულად, ძმურად ვიყავი განწყობილი – ახალდარსებული „ცისკარის“ ფურცლებზე, „ჭაშნიკის“ განყოფილებაში ის და მე ერთად დავიბეჭდეთ, რაც ყოველთვის გვახსოვდა. მთელი შემოქმედი ახალგაზრდობა (მწერლები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, თეატრისა და კინოს რეჟისორები) „ცისკარის“ გარშემო იყო შემოკრებილი, მაგრამ ეს სიამტკბილობა მხოლოდ ხუთ წელიწადს გაგრძელდა – ახლებურად მოაზროვნეთა ჟურნალს ბევრი მტრობდა და ხელისუფლებამ მალე იპოვა საბაზი, ვახტანგ ჭელიძე რედაქტორობიდან გაეთავისუფლებინა. მე კარგად ვიცი ერთი მაშინდელი თანამდებობის პირის განაწყენების მიზეზი (მუხრან მაჭავარიანმა, ვისი ლექსის გამოც ატყდა იმდენი აურზაური, თვითონ მიაბო), მაგრამ ამაზე სხვა დროს დავწერ და ზოგიერთ მზაკვარს, პირნავარდნილ ცილისმამებელს საკადრისს მიეუზღავ, საბოლოოდ გამოვავაშკარავებ.

სახელოვან სამოციანელთა უმრავლესობა ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ მათთან მუდამ ახლოს ვიყავი. თავი სიზმარში მგონია, როცა ზედიზედ აღინიშნება იმ ჩემი მეგობრების, ჩემზე ორი-სამი წლით უფროსების (სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ცოცხალი აღარაა) ოთხმოცი წლისთავი. ამჟამად თამაზ ბიბილოურის ჯერი დადდა.

უპირველესი შთაბეჭდილება, რაც თამაზ ბიბილოურის პროზის წამკითხველს დაუფლდება, წერის სამაგალითო კულტურა, ლექსიკის შესაშური სიმდი-

რე და პოეტურობაა. ეს საუკეთესო თვისებები მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა და თავის ისედაც თვალსაჩინო ოსტატობას გამუდმებით სრულყოფდა. მწერლობასთან ერთად დიდად ნაყოფიერ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა; უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართული ყოფის მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენები, სიახლეები, ძნელად გადასაჭრელი საკითხები (მახსოვს, როგორ აღფრთოვანებული შეეგება სოფელი ჭერემის ალორძინებას). სწორედ ამის გამო თქვა ვახტანგ ჭელიძემ მასზე: „იშვიათად შეგხვედრივარ კაცს, მთელი ნიჭი და სასიცოცხლო ენერჯია ასე უშურველად, ასე დაუზოგავად გაემეტებინოს საერთო საქმისათვის“.

შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ თამაზ ბიბილოურმა თავისი შემოქმედების უმთავრეს თემად გაიხადა ქართული სოფელი (მშობლიური კახეთი), რომლის ყოფა, ადამიანები, ყოველი წერილმანი ზუსტად იცოდა და ეს იშვიათი მხატვრული ძალმოსილებით, სიმართლით არის ასახული მის მოთხრობებსა და რომანებში. გარდა იმისა, რომ აქვს მეტად დაკვირვებული თვალი, თხრობის საუცხოო უნარი,

თამაზ ბიბილოური თავად აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მოთხრობის მასალა ხალხში გაიგონა და ჩაინერა. ასეთია, მაგალითად, ერთობ შთამბეჭდავი, მთლიანად დიალოგზე აგებული ორგვერდიანი ჩანახატი „დამშვიდობება“, სადაც მგზავრებით გაძევილ ავტობუსში დიდი ხნის უნახავი კაცი და ქალი, მოხუცებული სოფელელები ხვდებიან ერთმანეთს, დაწვრილებით გამოიკითხავენ ოჯახურ ამბებს. ქალი უფრო ადრე ჩადის ავტობუსიდან (სხვანაირია ეს დამშვიდობება, ალბათ, ფიქრობს, რომ მეტად ველარ ნახავს სიყრმის ამხანაგს) და ლაზღანდარა მოზარდების ლიცინში უბარებს თანატოლს:

„ – აბა, ჩემზე თუ რაიმე გაიგოთ, გადმოდი, არ დაიზაროთ!
– ნუ გეშინია!
– გადმოდი... ჩემიანები ხართ... გეკუთვნიან!

ბერიკაცი პასუხს აღარ იძლევა. დედაბერი თვალს გააყოლებს“. ადვილი მისახვედრია ასეთი მიწვევისა და შეხმანების აზრი. მოთხრობის ავტორი წერილში – „პროტოტიპები“ – ამ გულისდამწველ ფრაზაზე („ჩემზე თუ რაიმე გაიგოთ“) ამბობს: „შემძრა თავისი

პროზაშიც პოეტად დარჩა

ხალასი იუმორი, უნაკლოდ ფლობს დიალოგის რთულ ხელოვნებას, რაც მის ნაწერს ღირსებას და ბუნებრიობას მატებს, ლაღად იკითხება.

ამ მხრივ გამოირჩევა ზღაპრის მიზანმიმართული მშვენიერი მოთხრობა „სანყალი დედაბრისასა“ – გოგნიაურების უცნაური ოჯახის ამბებს რომ გვამცნობს. სამი ზარმატი ძმა გოგნიაური გაყრდა გადაწყვეტს და სასაცილოდ მცირე ქონებას იყოფენ. საჩუხში გაგადებული დიდედა ჭუჭურუნიდან უგდებს ყურს გარიგებას და თავის მძაფრ დამოკიდებულებას ამჟღავნებს იმისადმი თუ ვის რა ერგება ნილა (მონიფული შვილიშვილებიდან ყველაფერი მხოლოდ ერთის, რობიზონასთვის ემეტება).

ყველაზე ანექდოტური, ძალზე მახვილგონივრულია ის, რაც ვალებით გამოტენილ გოგნიაურებს სოფელელებმა თავშესაქცევად მოუგონეს. ვითომ ერთი მეზობლისთვის ეთქვათ, გადაწყვიტეთ ვალი დაგიბრუნოთ, გზისპირად ძეძვს დაეთესავთ. იმას გახარება, ცოტათი კი დამოშმინებულა, მაგრამ მაინც უკითხავს:

„ – ძეძვი რაღად გინდათ?
– ის ძეძვი გაიზრდება და ეკალს გა მოისხამსო.
– მერეო?
– მერე გაზაფხულზე კოლექტივის ცხვარი ჩაივლის, იმ ძეძვს გაეძეგება და მატყლი დარჩებაო. მოვაგროვებთ, გავყიდით და ვალსაც გავისტუმრებთო.

მეზობელს უთქვამს, გოგნიაურებო, თქვენი აღარაფერი მინდა, თქვენი იმედით ჩემი მტერი იყოსო“.

ეს ადვილი ძალზე მარჯვედ არის გამოყენებული მოთხრობის ფინალში (ამ დროისთვის ძმები გოგნიაურები საკმაოდ წელგამართლები არიან, ცხოვრებას ალღო აუღეს), სადაც ადრე გარდაცვლილი ქმრის გვერდით დამარხული „სანყალი დედაბრის“ საფლავია აღწერილი სადაც ხის ჯვარს მოზალახე ცხენი ნააქცევს, ხოლო იქაურობა ძეძვს, ეკალ-ბარდებს დაუფარავს. იქვე ეკლებზე შერჩენილი მატყლის „თოვლივით თეთრი ფთილებია“ ნახსენები, რასაც მოსდევს საბასეულად სხარტი, ღიმილიანი, ამბის დამამთავრებელი სამად სამი სიტყვა: „სოფელი რას არ იტყვის...“

სიმკაცრით“. ცხადია, ისეთი მგრძობიარე შემოქმედის არსებობა, როგორც თამაზ ბიბილოური იყო, ეს მოიარებათ ნათქვამი დრომ კვალს დატოვებდა.

გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია სხვა მოთხრობებსაც („ვენახი“, „მყუდროზე“, „ბოლოკეთილი“, „დიდი და პატარა ბიჭი“), მაგრამ პოეტურობითა და ფსიქოლოგიური ნიაღვრებით აშკარად გამოირჩევა მოზრდილი მოთხრობა „მთვარის ჩრდილი“, რომელშიც ავტობიოგრაფიული შტრიხები შეიცნობა. თუ რამდენად ნატიფი ნარმოსახვა აქვს თამაზ ბიბილოურს, ამის ნათელსაყოფად ერთ მაგალითს მოვიტან. პირქუშ, გაუხეშებულ მამაზე განაწყენებული, ველად გაჭრილი, ცხენზე მჯდომი მეოცნებე, პოეტად დაბადებული ბიჭი (მას მივარეულად თვლიან) შელაგებულზე რკინიგზის პირად აღმოჩნდება და „მატარებლის ყრუ, შორეულ კვილს“ გაიგონებს. მან წინასწარ იცის, რაც უნდა მოჰყვეს ამ ხმას, ბევრჯერ დაუნახავს:

„ცოტა ხნის მერე იმ რკინიგზაზე ჩაივლიდა ლამის მატარებელი. შორიდან ისე გამოჩნდებოდა მატარებლის გავლა, თითქოს ველი უხილავ ძაფებზე აკინძულმა ციცინათელებმა გადაკვეთესო“.

მახსოვს, თამაზ ბიბილოურის რომანს – „შვიდი ხნისა და ტოროლასათვის“ – როგორი მონონება ხვდა, მაგრამ მისი მეორე რომანი „ჟამი კითხულისა“ (ცხოვრებისეული გამოცდილებისა და სიბრძნის საუკეთესო ნაყოფი – სიმბოლური გააზრებით, თხრობის მანერითაც გიორგი შატბერაშვილის შედევრს „მკვდრის მზეს“ („ამბავი წუთისოფლის დიდი დღისა“) მაგონებს; დავაკვირდეთ ამოხვრით ნათქვამ ამ ფრაზას: „რა დამლელი ყოფილა წუთისოფლის გრძელი დღე“. ეს არის, აგრეთვე, ოსტატად მოფიქრებული კაფკას ტიპის რომანი-იგავი, სადაც ავტორი ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილ ხერხს იყენებს – ყოველივეს გარეჯული ბერის, ზოსიმეს, მონათხრობის ფორმა აქვს. აქ, ბუნებრივია, მოგვაგონდეს ვაჟა-ფშაველას გენიალური ეპიკური ქმნილებები („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის-მჭამელი“, რომლებშიც მთიანეთის ერთი სოფელი მთელი სამყაროს მოდელს წარმოგვიდგენს. გარდა იმისა, რომ რომანში ხშირად არის ნახსენები



ნები სოფელთა თავშესაყრელი – „საფიხნო“, შესავალ ნაწილში პირდაპირაა ნათქვამი: „... ერთ პატარა სოფელში თავს იყრის მთელი ქვეყნიერების ვნებათაღელვა, სოფელი ერთ მუჭად შეკრული და დაპატარავებული ქვეყნიერება...“

განკერძოებით მდგარ რუხ კოშკში გამოკეტილი კითხული, სოფლის წინამძღოლი გიორგი ბალიაური ბერის სიყრმის მეგობარია. გიორგი მამაპაპიდან მოკიდებული, მემკვიდრეობითი კითხულია და რომანში გამოკვეთილად ჩანს, შეუზღუდავი ძალაუფლება როგორ აუკუღმართებს, სახეს უკარგავს ერთ დროს ჯანსაღ, სუფთა გულის ახალგაზრდას. რომანში თავიდანვე ახსნილი სოფლის თავკაცობის არსი:

„კითხულობა, სოფლის ადათით, მხოლოდ ბრძენ გამკითხავ და ვაჟკაც კაცს ეკისრებოდა. სოფელს უთუოდ სჭირდებოდა ჭკვიანი და გამოცდილი თავკაცი, რათა სოფლისთვის ცოტა შორიდან ეჭვრიტა, ყოველდღიური წერილმანებიდან განრიდებულს ცოტა ზემოდან გადმოეხედა“.

სწორედ ასეთი კაცია გიორგი ბალიაური და მრავალი წლის მერე მის სანახავად მიდის სიყრმის მეგობარი ბერი ზოსიმე, რომ სიჭაბუკისდროინდელი ოქროს წლები გაიხსენოს (ერთად ასვლა თოვლიანი ქედის წვერზე და იქიდან გადმოხედვა, რაც სიმბოლურ მნიშვნელობას იქნის), კითხული კი ამ დროს უკვე განდევნილია, ხალხს აღარ ეჩვენება და თანაც მასთან ფარისევლურად დაახლოებული, „არსაიდან მოსული“ ბოროტება, ხირჩლად გარდაქმნილი ხეჩინა ისარგებლებს იმით, რომ სოფელში ყამია (შეხვედრით ამ სიტყვას რომანის სათაურთან მიმართებაში) გავრცელებული. თავზარდაცემულ ბრბოს იგი კითხულის ჩასაქოლად აამხედრებს და გასაწირავად გამზადებულს ისევ მისი სიყრმის მეგობარი გადაარჩენს. ხირჩლას კი წმინდა გიორგის სახედ მოვლინებული, კითხულის ვაჟი, მემკვიდრე განგვირავს.

ეს რომანი, სადაც ჩვენი ზუპირი გადმოცემებისა, რიტუალებისა, თეატრალურ სანახაობათა, კარნავალურ სცენათა (ერთ რამედ ღირს მარტო კუდიანი, ყვავის გარეგნობის ცოცხზე გადამჯდარი დედაბერი) ძირფესვიანი ცოდნა ჩანს, საგანგებო დაკვირვებისა და განხილვის ღირსია. რაც ამ წერილში ვერ მოხერხდება.

საბოლოოდ, თამაზ ბიბილოურის შემოქმედების გვირგვინად, ყველაზე მიმზიდველ, სიცოცხლისუნარიან წიგნად მიმაჩნია „წელიწადის დრონი“, რომელიც მან ვახტანგ ჭელიძის დაჟინებული რჩევით დაწერა და რომელშიც თავისი მწერლური ნიჭის საუკეთესო თვისებები გამოავლინა. აკი ამ იშვიათი ქმნილებით აღტაცებული ბატონი ვახტანგი მოკლე წინათქმამი თავად ამბობს:

„როგორ მოახერხა, რომ ყველას ცხოვრებისთვის გაეყოლებინა თვალი, ყველას გულში ჩაეხედა და ყველასათვის თანაგვრძნო? რამ შეაძლებინა ეს? ▶▶

დღედა სიკეთემ და სიყვარულმა. და ნიჭმა, რითაც უხვად დაუჯილდოებია ამ წიგნის ავტორი ბუნებას“.

თვითონ თამაზ ბიბილურს თან ახლავს ჩვეული მოკრძალება, როცა თავის მომხიბლავ თხრობას იწყებს (სტრიქონებს შორის გამოკრთის მოუნელებელი სინანული, რომ ის სოფელი, სადაც იგი დაიბადა და დაუწინაურა ნლები გაატარა, აღარ არსებობს); დასახულ მიზანსაც ღიად, დაუფარავად გვამცნობს, შორიდან არ უვლის სათქმელს:

„როგორ გადიოდა ჩვენს სოფელში მთელი წელიწადი კვირტის გაღვივებიდან ყვითელი ფოთლების ჩამოცვენამდე, რასაც ფეხდაფეხ თეთრი ზამთარიც მოჰყვებოდა?“

ამქვეყნად ყველას თავისი სოფელი აქვს. მეც ჩემს სოფელს გავისვენებ, ძველებურს, ჩემდროინდელ სოფელს. რა ვქნა, თუ ზოგჯერ დავლონდები კიდეც, სევდაც მომეძალება. ადამიანს სევდა არ გამეტყუნება. სევდას მოგონებები იწვევს და მეც ხომ მოგონებას ვიწყებ, ჩემი სოფლის მოგონება მინდა“.

ამ წიგნში ყველაფრის საწყისი, სათავე, შუაგული ტყვა და თამაზ ბიბილური განსაკუთრებული სასოებით სწორედ მას ხატავს, ეფერება და ემადლიერება. ეს მართლაც ხელიხელსაგომანები წიგნი სულ სხვა მნიშვნელობას და სიმძაფრეს იძენს ამჟამად, როცა ქვეყნის დამაქცევარმა, საშოვარზე გადაყოლილმა არაკაცებმა საქართველოს უძვირფასესი ტყეები გაჩეხეს, უმონყალოდ გაანადგურეს, უცხოეთში გაზიდეს, რის შედეგადაც ჩვენი ღვთიკურთხეული ბუნება, მისი ფლორა და ფაუნა საშინლად გაღარიბდა, ბევრი სოფელი მენყერმა დაიტანა.

ზარივით რეკავს ხმა ჩემი ნაადრევად გარდაცვლილი მეგობრის, ვინც ტყეს წმინდა ტაძარს ადარებდა (ამ დროს, ალბათ, გალაკტიონის ბროლივით კრიალა სტრიქონი აგონდებოდა: „ტყე ტაძარით იყო მალაღი...“) თვით მე ისეთი განცდა მეუფლება ნაირფერად მოქარგული ფურცლების გადაშლისას, თითქოს გენი-ალური მარტოსულისა და განდევლის – შენრი ტოროს „უოლდენს“ ვკითხულობდე. აქ მხოლოდ ერთი მოზრდილი ამონარიდის მოტანას დავჯერდები.

„ტყე გვიფარავდა ქარისა და სიცივი-საგან. გვინახავდა წყაროებსა და ნაკადულებს. სათავეს აძლევდა მთის მდინარეებს. ასულდგმულბდა ნადირ-ფრინველს. როგორც დავინახეთ, ტყე იძლეოდა შინდა და პანტას, ნაბლსა და მაჟალოს, ზღმარტლსა და ფშატს, თხილსა და რკოს.

ტყეში ჭრიდა გლეხკაცი სავენახე და საბოსტნე სარსა და ჭიგოს, საგოდრე წნელს, საწნახლის მორს. ხისგან ითლებოდა წისკვილის ღარი, ურმის ჭალები და ტაბიკი, უღელი და კონკილა. ტყიდან ჩამოგვექონდა სახლის თავზე, ანუ საყვავე, სახლის კავი... ხისგან ითლებოდა ჩვილის აკვანი, მახვშის საკარცხული და დარბაზის დედაბოძი. დედაბოძე (რომელიც აუცილებლად მუხისა უნდა ყოფილიყო) იკვეთებოდა ნატიფი ჩუქურთმები, რქაგრებილი ირმები, გაფრენილი არწივები, გატყორცნილი ისრები, გულდაკოდილი ჯიხვები. ეს ჩუქურთმები გადადიოდა ხის სკივრებსა და ზანდუკებზე, ყოველდღიურ ყოფაში გამოსადეგ ნივთებზე, რომელთაც, გარდა იმისა, რომ გამოსადეგი უნდა გამხდარიყო, ლამაზი იერიც უნდა ჰქონოდათ“.

ამგვარი, სიამოვნებით წასაკითხი, ადგილები აქ მრავლის უმრავლესია და იმას, თუ რა მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი უნიჭიერესი გრაფიკოსის ჯემალ ლოლუას მიერ უბადლო ოსტატობითა და სიყვარულით გაფორმებულმა თამაზ ბიბილურის უკვდავმა წიგნმა, სხვაგან და სხვა დროს საგანგებოდ ვიტყვი.

როგორ ეთაყვანებოდა თამაზ ბიბილური თავის სოფელს – „ვაჩნადიანს“ – ეს ყველა მისმა ახლობელმა და მკითხველმა იცის. რა ბნელი ძალა და უბედურება უნდა გამომეტყვარიყო ისეთი, რომ ამ კაცს მამაპაპულ კერაზე უარი ეთქვა, იქაურობას გაეცლოდა. ამას გვატყობინებს თამაზის ერთი საუკეთესო ჩანაწერთაგანი „წარსულის შესანდობარი“, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის მის მიერ ღმერთად მიჩნეული გიორგი ლეონიძის „ნატერის ხის“ სტრიქონები, სადაც პოეტი გარდასულთა აჩრდილებს ხის აივანზე იწვევს, მკერდში იკრავს და ესიყვარულება. სხენებულ ჩანაწერში თამაზ ბიბილურის უდიდესი გულისტკივილია ჩანაწერი:

„კახეთში სახლი გავყიდეთ. მიზეზი სრულიად „უბრალო“ იყო, ვილაცამ მოსწერა მამაჩემს, ამა და ამ ადგილას ფული დადე (დიდი მდიდრები ვეგონეთ), თორემ თამაზის მოგიკლავთო. წამაკითხა ეს წერილი, მე გამეცინა და წერილი დავხიე. მამაჩემი გაოცდა, იქნებ ამ წერილით ეპოვათ დამწერიო? არ არის საჭირო-მეთქი, – ვუთხარი, მაგრამ იმ სოფელში ცხოვრებაც არ არის საჭირო, სადაც ჩემი მოკვლა შეუძლიათ-მეთქი. არ ვიყავი მშიშარა. ეს გრძობა არც დღეს მაქვს, მაგრამ ერთბაშად შემეზიზნა ყველაფერი. მეორე დღესვე გახარებულმა მამაჩემმა გაყიდა სახლ-კარი და ჩვენს ერთობიან ბინას შევიხიზნეთ საბურთალოზე.

ერთი გარეწარის გულისთვის ჩემს საყვარელ ვაჩნადიანს რას ვემდურდი, მაგრამ სხვა გრძობა იმ წუთში არ გამაჩნდა. წლების მანძილზე იქით აღარ გამივილია“.

მერე მაინც ველარ მოუთმინა გულმა და გადაუწყვეტია მოენახულებინა თავისი ნაფუძარი, მაგრამ გუნება მოხამავია, იმდენად შეცვლილი და გაუცხოებული იქნენა მამაპაპული კერა (მსგავსი ელდა მეც განვიცადე, როცა სამი წლის წინათ მშობლიურ ლანჩხუთში ჩავედი და შორიდან შევავლე თვალი ჩვენს გასხვისებულ ეზოსა და ნასახლარს). თამაზ ბიბილური ამასაც ბუნებრივ, თავის დამამშვიდებელ ახსნას უძებნის, რადგან იცის, ასე უნდა მოხდარიყო იდუმალ, თვალუნვდენელ სამყაროში, სადაც ყველაფერი განუწყვეტილ მიედინება, იცვლება:

„აი, მე დავბრუნდი ჩემს ვაჩნადიანში, მაგრამ ჩემი ბავშვობიდან ერთი ნაფხურიც აღარ დარჩენილა. მე ამაოდ ვეძებ ყველაფერს, რაც ძვირფასად მიმანდა. სხვა სახლები, სხვა ადამიანები. სხვაგვარი სიხარული. მთებიც თითქოს სხვაგვარად დგანან და მე სიცარიელეში მაგდებს ეს გადასხვაფერება. რატომ? რატომ გვინდა ადამიანებს, რომ ამქვეყნად ყველაფერი ხელუხლებელი დარჩეს. ცხოვრება ხომ უჯრა არ არის, რომ დაკეტო, სადღაც წახვიდე, დიდი ხნის მერე დაბრუნდე და ყველაფერი თავის ადგილზე დაგხედეს? რატომ ვესწრაფვით მარადიულობას? თითქოს ამ უსაზღვრო სამყაროში მხოლოდ ჩვენ ვართ, მხოლოდ ჩვენ გავჩნდით და ჩვენ დავინახეთ დამორგუნველი სილამაზე ეგვევ სამყაროსი“.

მისნაირი პოეტური ბუნების ადამიანს ვარსკვლავებიანი ცის ცქერა ყველა სანახაობას რომ ერჩია, ეს სრულებითაც არაა გასაკვირი. არ მეგონია, მას არ ხსომებოდა დანტეს „ლეთებრივი კომედიის“ იდეალურად გამოზომილ სიმღერებს რეფრენად გადევნებული სტრიქონები სიყვარულის კოსმიურ ყოვლისდამძლეობაზე, როცა თავის ერთ-ერთ „გაბნეულ“ ფურცელზე წერდა:

„სამყაროში გაბნეულმა პლანეტებმა არ უწყინა ერთმანეთის არსებობა, მაგრამ არის ძალა, რომელიც მათ ჰარმონიას ანესრიგებს და, ასე მგონია, მარტივად თუ ავხსნით, ეს ძალა სიყვარულია“.

თუ გავისხენებთ, ამავე ძალაზეა დაწერილი აკაკის უღამაზესი, თავბრუდამხვევი ჰიმნი „ქებათა-ქება“, შემოქმედის სადიდებლად წარმოთქმული.

თამაზს აქვს კიდევ ერთი ჩანაწერი, ცოტა ხნით რომ უსწრებს წინ გარდაც-

ვალებას (სწორედ მაშინ ვინახულეთ გივი გეგეჭკორმა და მე იგი საბურთალოს ქუჩაზე მთლად გალეული, უკიდურესად დაუძლურებული), სადაც ნათქვამია, რომ ცის უსასრულობაში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული: „მზე ჩაფრენია თავის პლანეტებს და ხელიდან არც ერთს არ უშვებს. პლანეტები – თავის უმრწემეს თანამგზავრებს. თავად მზე კი, თითქოს მძლავრი თვითმწყობელი, არავინ უწყის, რამდენი ვარსკვლავის ნებაზე დაძრწის ბნელით მოცული. შიშით გათანგულ, უკიდევანო სამყაროში“.

ამ სტრიქონებს მოსდევს და აბოლოვებს თამაზ ბიბილურის მონამგზავრი ცხოვრების უერთგულესი თანამგზავრის (მას ყველა ჩვენგანის უსაზღვრო მადლობა ეკუთვნის, ასე თავდაუზოგავად რომ უვლის მეუღლის ხსოვნას, დანატოვარს“, თიურა ვაშაძის მორთოლარე მინანერი, ვისაც სუნთქვა ეკვრის მღელვარებისგან, დარაჯობს აივანზე მჯდარი, ვარსკვლავების მაცქერალი თამაზის მინაგლებულ სიცოცხლეს და ავის მოლოდინშია, აუტანელ ტკივილს მალავს. ქანცგანყვეტილს ერთი ჩათვლემა მოასულიერებდა, მაგრამ თავს ამის უფლებასაც არ აძლევს.

„რა თქმა უნდა, ვერ ვიძინებ. წამოწოლა, ალბათ, მიშველიდა, მაგრამ არ მინდა თუნდაც ერთი წუთი დავკარგო მასთან ყოფნისა. შიშს ვყავარ შტორული: ვაითუ ძალზე ცოტა დრო დარჩა, ვაითუ მალე სანატრელი გამიხდეს თუნდაც ეს სულის შემძვრელი ღამეები, მეც გავდივარ აივანზე. ვჯდები სავარძელში, ერთად გავცქერით ზეცას და სამყაროს უსასრულობაზე, იმ საოცარ იდუმალებაზე ვსაუბრობთ, რასაც ადამიანი სიჩუმე და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა აღძრავს“.

გული მწყდება – ამ წერილში მხოლოდ მცირედი გამოვხატე იმისა, რასაც თამაზ ბიბილურის განუმეორებელი პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ ვგრძნობ, სრულად ვერ წარმოვაჩინე სახე მწერლისა, ვინც პროზაშიც პოეტად დარჩა. კერძოდ, ვერაფერი ვერ ვთქვი მის დიდებულ ლიტერატურულ წერილებზე (ერთი მათგანი, პოეზიაზე, მძიმე ავადმყოფმა ჩემი თხოვნით დაწერა, როცა „მერანში“ გამოსაცემი აღმანახისთვის მასალებს ვაგროვებდი), მაგრამ იმედს ვიტოვებ, ამის შესაძლებლობა კვლავ მომიცემა.

ვეზარ კვიციანი

თამაზ ბიბილური

სანამ სვრელი არ გაიტანა, ჯილაურს საქმეზე ხელი არ აუღია, მაგრამ იმ უცხო კაცის ხმის გაგონება მაინც გაუხარდა. მესამე დღე იყო უთამაშაობა აწვალბდა. არც მგზავრს აუვლია ვინმეს და ვერც ბიჭი გაგზავნა ქვევით, თამბაქოს საშოვნელად. ისედაც არ უყვარდა ჯილაურს ბიჭის სადმე გაგზავნა, ბიჭი თუ თვალში მოაკლდებოდა, რაღაც სიცარიელე ერეოდა. ჯილაურმა არ იცოდა, რა ერქვა ამ სიცარიელეს. მარტო ის იცოდა, რომ ბიჭის თვალისა და მოშორება არ უყვარდა და თუ დიდი რამ საქმე არ ჰქონდათ, ან სკოლა არ უხმობდა, ბარში არასოდეს გაუშვებდა. თვითონ კი დაფიცებული იყო. ეს ფიცი გუნებაში, თავის თავთან დადო და შეასრულა კიდევ: ოცი წელიწადი ისე გავიდა, ბარში აღარ ჩასულა. ფიცით კი იმ დღიდან დაიფიცა, ომიდან რომ დაბრუნდა. იქ, ომში, პირველი დღიდანვე მიხვდა, რომ ადამიანი მინის შეილი იყო და თავისი წილი მინა ყველას ეკუთვნოდა. ადამიანი ვალდებული იყო სიყვარულით მოეველო ამ მინისთვის და ჯილაურმაც, როგორც კი ბუნებზე გადარჩენილი დაუბრუნდა თავის წილ მინას, იფიქრა, კაცი მადლიერი უნდა იყოსო და აქედან ფეხი აღარ მოუცვლია. ომის გახსენება არ უყვარდა ჯილაურს და რაკი ისედაც მოლაპარაკე კა-

ცი არ იყო, ცოლ-შვილმაც კი არ იცოდა, რა ტანჯვა-წამება გამოიარა, ვიდრე თავისი სოფლის დაკიდულ ბილიკზე ხელახლა ამოივლიდა.

შინ მობრუნებულს აღარც დედ-მამა დახვდა, აღარც საცოლე. იჯდა ჯილაური მარტოკა სახლის ბანზე და სოფელს გასცქეროდა. სოფელი მშვიდად იყო. სახლებიდან კვამლი ამოდიოდა. ქალები ძროხებს წველიდნენ. ბოსლისა და რძის სუნი იდგა. ჯილაურს რძე მოუნდა. მაშინ ბებერმა თოთიამ, ჯილაურის პაპის ნაძმობმა, იქვე, ყორეს გადაღმა რომ ცხოვრობდა, ხელი დაუქნია და დაუძახა, აქეთ გადმოდი, აქ არა ვართ? მაგრამ ჯილაურს არავისთან წასვლა არ უნდოდა, საკუთარ ეზოში, საკუთარ ბანზე ყოფნა ყველაფერს ერჩივნა. აქ ჯდომა და თბილი რძე უნდოდა, მაგრამ რძე კაცის სასმელი არ იყო და თოთიას ვერ ეტყოდა, რძე გადმომიტანო. ბებერ თოთიასაც აღარაფერი უთქვამს და თვალს მოეფარა. ცოტა ხნის მერე კი ეზოში შემოიხედა, ცალ ხელში ხელად ეჭარა, ცალში – ბოლჩაში გამოხვეული ჭამადი. ტაბლა იქვე, ბანზე გაუშალა ჯილაურს და პირველი ჭიქაც თავისი ხელით დაუსხა...

მას შემდეგ ბებერი ხანი გაივლის. სო-


ბიბილი

(ნანყვეტი რომანიდან)

ფული აიყრება და ჯილაური მარტო დარჩება. ჯილაური სოფლის ფეხის ხმას არ აჰყვება, სოფელს ზურგს შეაქცევს, გატყვიურდება და მარტო ხარით მინის მხვენელი და პურის მთესველი გახდება. მარტო შემსა მოზიდავს ტყიდან და საფეხავს ჩაიტანს ჭალაში ჩადგმულ პატარა წისკვილში. სალაში დაავიწყდება და სახეზე ყომრალი გადაედება, მაგრამ არასოდეს დაივინყებს არც იმ ერთ ჭიქა ღვინოს და არც ბებერ თოთიას, რომელმაც სწორედ ის მოუტანა, რაც თურმე იმ წუთში ჯილაურს სწყუროდა – ერთი ჭიქა ღვინო! მაგრამ ეს მარტო ჭიქა ღვინო კი არ იყო, კაცის მინაზე დაბრუნებას, თვითონ დედამინას გამოხატავდა, ბებერმა თოთიამ იმ ჭიქა ღვინოთ თითქოს მოძღვრებით აკურთხა ჯილაურის მთელი ცხოვრება, მთელი გზა, კაცს რომ უნდა გაეველო ამ გაზაფხულის მშვიდი საღამოდან უკანასკნელ მზის ჩასვლამდე. იმ ერთი ჭიქა ღვინოთ თითქოს სამუდამოდ დაინერა ჯილაურის ცხოვრების წესი და ადათა. ბებერი თოთიას ხელში ძველ, დაღარულ პერგამენტს ჰგავდა, ბაღლობისას, სოფლის ეკლესიაში, მღვდლის ხელში რომ ენახა ჯილაურს, ტუჩმოტეხილი ხელადა – გუმბათმორღვეულ ეკლესიას; ხელადად აღმოდგინა-

ლი ღვინო კი ისე რეკდა, როგორც სამრეკლოს მრწემი ზარი ნიავის შემოქროლვაზე. მაშინ ჯილაურმა პირველად გაიფიქრა, რომ ბედნიერება სრულიად უბრალო რამ ყოფილა: აი, ეს ერთი ჭიქა ღვინო, ხშიადი, ხახვის ფოჩი, ეს მშვიდი, ბებერი თოთია, ბოსლის და რძის სუნი და, რაც მთავარია, სიჩუმე. ჯილაურს სწორედ სიჩუმე ენატრებოდა, მშვიდი და მომთენთავი სიჩუმე; თბილი მზე, ლურჯი ცა, სახლის ერობზე მიკრულ ბუდედსთან აჭყლოპინებული მერცხლები. სწორედ იმ წამში გაიფიქრა ჯილაურმა, რომ რაც უნდა მომხდარიყო, ამ მშვიდ, ნეტარ თვლემში ჩაძირული ეზოდან ფეხს არ მოიცივლიდა, აქ იცხოვრებდა, აქ მოკვდებოდა და აქვე, ორიოდ ნაბიჯს იქით დაიმარხებოდა.

გაივლის კვლავ დიდი ხანი და ჯილაური ამ ალთქმას დაბრუნებს. მაგრამ ეს იქნება დიდი ხნის მერე, როცა ცხოვრება თითქმის დასრულდება და უკვე აზრი აღარაფერს ექნება, როცა ჯილაურს ყველაფრის იმედს წაართმევენ; როცა ჯილაურის შეუპოვარი ცოლიც კარს გამოიკეტავს, აქაურობას მიატოვებს და სადღაც წავა, როცა დედაცაიცი გაიფიქრებს, რომ მთელი დედამინა ცოფითა და ამძიმებულადაა, რომ დედამინაზე დასამალი ადგილი აღარსად დარჩენილა და ყვირილს დაიწყებს. დიახ, ეს მოხდება დიდი ხნის მერე, სწორედ იმ დღის კვირადღაზე, ვიდრე ჯილაური სიკვდილს შეხვდება.



წავსარებელი უფროსი

გენი ყალონია

• უფალო, ყოვლის მხილველო ხმელთა, მფარველო ქვეყნის იდუმალ ძალთა, ყველგან, ო, ყველგან შენს ნათელს ვხედავ – ანგელოზებით სავსე გაქვს კალთა.

ღვთისმეტყველების ჰანგი და თაფლი დედას პურივით მიყვარს და ვეტრფი, შეხვეული მაქვს ლოცვის ჟამს ყელი ცისარტყელების შვიდფერი ლენტი.

• უფალო, მინჩხის, შავთელის ლექსებს სულ ვარსკვლავები ასხია ტანზე, როგორც მამულის ცასა და ქედებს, როგორც არაგვზე მაისის ატმებს.

თაფლის, ზამბახის სურნელი დაჰკრავთ სიტყვებს, ჩვილივით უბეში გაზრდილთ, ღმერთო, უმრავლე ჩემს სვეს და ნაგრამს მინჩხის, შავთელის ქართული მადლი.

• უფალო, ვაშლის ბალია ქვემოთ, იქ განისვენებს მშობელი მამა, ბინდისფერია იქ ცა და ჩერო, საცაა, ჩემი მზეც მალე ჩავა.

სანამდე ჩემი სუნთქვა და ლოცვა ვარდის წყალივით შრიალებს ტაძრად, გულში, შიგ გულში ზეობ და სახლობ, ვით იდუმალი გვრინი და განძი.

• უფალო, ერთი ლამაზი რონდო, ერთი სონეტი მაჩუქე კიდევ... აგერ ბეკეტი და აგერ გოდო ერთად მოდიან მაცხოვრის ხიდზე.

მე, მონამლული ზეცაზე ფიქრით, დილიდან მინდვრის ჩიტივით ვგალობ, მიიღე ჩემი გული და წიგნი, როგორც ნამდვილი ვარდი და ლალი.

• უფალო, გრემის ციხეა აქეთ და კიდევ ერთი საყდარი ღვთისა, აქ გაუვლია მშვენიერ რაკეტულს იესოს კვართით და ეტლი ცისა

ვარდ-ყვავილებით მოურთავთ მლოცველთ... და ბედნიერი ტიროდა მრევლი, და ნათებოდა საყდარი ბორცვზე მტრედივით მშვიდი და საყვარელი.

• უფალო, წვიმამ სიზმრები იცის, ვით გაზაფხულმა იები ტყეში... ტოტიდან ტოტზე დაფრინავს ციყვი პონივით სველი და მთელი ეშხით

თქრიალებს წვიმა წინვების თავზე, მე ფეხშიშველი გავდივარ გარეთ, ვით მამაჩემმა იცოდა ადრე მარიამობას – რიჟრაჟის დამდეგს.

• უფალო, ღვინომ დალია სურა, სურამ – ქორწილის ღვინო და მთვარე, ვარსკვლავებით უსხედან სუფრას ზევისი შვილები და ლხინის ღამე

ტრიალებს, როგორც სამოთხის ჯარა... მე – სოფლის მნათე – ნათლია ვაჟის, გავყურებ თეთრი ხავერდის შარას, მოკირწყლულს მთელი სამხრეთის კაჟით.

• უფალო, სული გაექცა სხეულს, ლაჟვარდის კართან დაიდო ბინა, მე იგი ბზობას გამეცნო წლელს, სულ ორიოდე შაბათის წინათ.

იცავდა სჯულის კანონს და ადათს, წუხდა უსახურ დიალოგს ბედთან, ნავიდა... გაქრა... დაეშვა ფარდა, დამრჩა უზღვავე ცრემლი და სევდა.

• უფალო, შენი სახელი ფეთქავს ბავშვის, ქალწულის, დედაოს თვალში, აქ, ხატისკართან თენდება თეთრად, ზღვის მარილივით იშლება ქავლი.

აქ, ხატისკართან, პატარა დები აღდგომის კრავებს და ჩიტებს ჰგვანან... მადლი გადმოდის მესხეთის მთებით და დედა ფრთხილად მახურავს საბანს.

• უფალო, წვიმს და ქარია ცივი, მიაპობს ზვირთებს მდინარის ლოქო, ქარია ცივი, ელავს და ტყისპირ ბატის ქუკივით სველდება სოკო.

მე ლებარდემი ვაპირებ ასვლას, რომ ერთხელ კიდევ მოვავლო თვალი მშობლიურ ცას და მშობლიურ ვარსკვლავს, მაგრამ ჯანლია და დიდი ქარი.

• უფალო, თოვს და თეთრია მიწა – თოვლის უმანკო, უბინო ფრთებით. ბუხართან სხედან მამა და ძიძა, მე მათი მზით და იამბით ვთვრები.

სალამურს უგავს თითები, ყელი მამას – აბელის შტოსა და მარცვალს... ათოვს და ათოვს ფახისის ველით ახლა იმ დამწვარ ოდას და ფაცხას.

• უფალო, ვარდის წყალია ჩემთვის, მარტვილის მზე და მაისის წვიმა – ასე ამბობდა მეუფე ერთი შარშან, შარშანწინ, ათი წლის წინათ.

მარგალიტივით ითვლიდა წვეთებს სველი შროშნების, იების მკერდზე... გაჩენის დღიდან დიდი ხნის მერეც ტყვედ ჰყავდათ იგი პარნასის ღმერთებს.

• უფალო, სტუმრად ვიყავით ყინწვის, დილის ლოცვებით ავივსეთ გული, ქართლს სააღდგომო შევნიდა წისლი, პურის ჯეჯილი და ყვავილწული.

ოქროს ზარდახშას ჰგავდა ქვეყანა – მინდორი, ყანა, ყაყაჩოს ველი, საკურთხეველთან იდგა მზექალა და სხინვათელში გალობდა მრევლი.

• უფალო, წმინდა მირონის წყალი შრიალებს, როგორც სიზმარი ღვთისა, ლოცულობს ერთად ბავშვი და ქალი, ბავშვი და ქალი – ნათელი ცისა!

ორივე შენი კრავია, ღმერთო, დაბადებიდან დღემდე, ო, დღემდე... რომ გავჩნდე ისევ, რომ გნახო ისევ, ამასვე გეტყვი ასი წლის შემდეგ.

• უფალო, ხატის ხატია ხატი, განძის ნამდვილი განძია განძი, ცის შრიალივით მახარებს მნათი, გუმბათის ყელი და ჩრდილი ტაძრის.

მახარებს ვარდი – ზურმუხტისხელა, მოფერებული მარხულის ხელით, თავთუხის ყანა და ცისარტყელა და ვარსკვლავები, ვით სეფისკვერი.

• უფალო, ღია დავტოვე გული – შენთვის და შენი დიადი ძისთვის, როგორც მარხულის სუნთქვა და ლული, ლბილია ჯუმის სიო და წისლი.

ლბილია, როგორც ცაიშის ჰავა – აკაციების და ცაცხვის თაფლით, აჰანდე, ჩემი ლალი და ქარვა, ვით სამშენის მარადი სახლის.

• უფალო, ზოგჯერ ტირილი მინდა, ზოგჯერ ისეთი უმწეო ვხდები, რომ არა შენი ხატება წმინდა, რომ არა ჩვენებრ ერთგულის ფრთები,

არ იქნებოდა სოფელი სრული, არ იქროლებდა ზეფირი მალი, შენ ხარ, შენ, ჩვენი უკვდავი სული, ჩვენ კიდევ შენი მესამე თვალი.

• უფალო, ცაცხვის ყვავილისფერი და თაფლისფერი მაგონებს ძიძას – ტრიალებს, როგორც ნამდვილი ჯარა, ტრიალებს ჯარა და დედამინა.

ომბალოს, ქინძის სურნელით ვხვდები, ბუხრის ნელ ცეცხლზე გვიმზადებს სადილს... მონაზვნებს ჰგვანან დილიდან ბლები ტაძრის ეზოში განგების მადლით.


• უფალო, ჩემი სახელით გეტყვი: მადლობა დიდი! შენთან ვარ, აქ ვარ! როდესაც წავალ განგების ნებით, იხილავ უფრო ერთგულს და მართალს.

იხილავ ათი დიადი მცნებით მიმავალს ჯორით, აქლემით, რაშით, იხილავ შენი ღვთიური გზებით ამ მზეჩაფენილ მთასა და ბარში.

• უფალო, უკვე ვაპირებ სიკვდილს, ყოველდღე ველი პირუთვნელ მსაჯულს, აი, ეს ლექსი, აი, ეს წიგნიც, მოდი, უფალო, პირდაპირ საჯე!

ჩემი გზა, ჩემი ფიქრი და ყოფა, იყო მამულის ნავი და აფრა, მიიღე ჩემი ლექსების კონა, ვით საკალანდო სურო და დაფნა.

ჩენარაღ, ჩარსულო, ჩენარაღ!



გიორგი აბაშიძე

ბელადები და გავგვეები

გინახავთ ოდესმე მავზოლეუმზე შემდგარი ბელადი ხელში გონათი, რომელსაც უზბეკური ხალატი აცვია და ტიუბიტეიკა ახურავს?

გოგონას გვარია მამლაკატი, ამ ფოტომ კი თავის დროზე ყველა საბჭოთა გაზეთის ფურცლები მოიარა.

გამოხდა ხანი. გოგონა დაქალდა და ერთხელაც, ზუსტად არ ვიცი, საბჭოთა კავშირის რომელიღაც ქალაქში, ბაზარში ჩხუბს შეესწრო – ყვავილების გამყიდველი ქართველი გამწარებული აგინებდა ვილაცას.

– **Стоон!** – დაიყვირა მამლაკატმა, მივარდა მაგინებელს და დაუნყო ვედრება: – ოროცი წელია, ამ ფრაზის გაგონება მინდოდა, გემუდარებით, გადამითარგმნეთ, რას ნიშნავსო? ეს სიტყვები სტა-

ლინმა წარმოთქვა მავზოლეუმზე და ჩემი თავი ბერიას გადასცაო... დაბნეულმა ქართველმა დიდხანს იჭოჭმანა და ბოლოს მაინც გადაუთარგმნა. ეს იყო ყველაზე ტრაგიკული დღე მამლაკატის ცხოვრებაში.

ამბობენ, თითქოს გოგონას ხელში ატაცებიდან რამდენიმე წამში სოსელი გვერდზე მდგარ მეგობარს მიუბრუნდა და ქართულად გადაულაპარაკა:

„მომამორე, ლავრენტი, ეს აქოთებული ბავშვი, ამის დედა მო... ან მე.“

ეს ბოლო წინადადება დაიმახსოვრა ნორჩმა პიონერმა... სამუდამოდ.

ძალიან უყვარდა ბელადს ბავშვები.

და, საერთოდ, სტალინი გამონაკლისი სულაც არ იყო. გაიხსენეთ – ლენინი და ბავშვები, ჰიტლერი და ბავშვები...

ოლე...

ვერაფრით ვერ გავიყვანე საზღვარგარეთ – არ მინდა, დამეხსენი, ყველაზე კარგად აქ ვგრძნობ თავსო.

წამომყევი, სცადე, ეგებ მოგეწონოს-მეთქი.

არა, არა, არ მინდა, მომეშვი, თუ ღმერთი გნამსო.

მოსკოვშიც კი არ იყო წამყოფი. რუსულის არმცოდნე, რამდენიც გინდა, იმდენი მინახავს, მაგრამ ასეთი – არაფერი.

ბოლოს ვიმძლავრე და ფეხბურთისა და საქართველოს სიყვარულით ლონდონში წავიყვანე. ჩვენი ნაკრები ეთამაშებოდა ინგლისისას.

უფულოდ ან თბილისში ვის რად უნდისხარ, ან ნისლიან ალბიონზე. ვიფიქრე, პირველი საღამო აქვს ვეროპაში, ეს ადამიანს საქონინო ღამესავით ამახსოვრდება, მოდი, ერთი გემრიელად ვაგრიალე-მეთქი.

მეგობარი მყავს ლონდონში, ოდესელი ებრაელი; შანხაიშია დაბადებული, ჩინური რესტორნის მეპატრონეა.

„ქალაქის ვეფხვები“ – ასე ჰქვია მის რესტორანს, იქ დაგვპატიჟა ორივე. რომ დავსხედით და „ზაკუსკული“ დააღაგეს, პური მოითხოვა მისაყოლებლად. ბრინჯი მოუტანეს. მეორედ მოითხოვა პური. პური არ გვაქვსო! „ბრედ, ბრედ“... ჰგონია, რომ არ ესმით, რას ითხოვს, ვერ წარმოიდგინა, რომ ლონდონის ერთერთ საუკეთესო რესტორანში პური არ ექნებოდათ.

როცა გაიაზრა, რომ ჩინელები პურის მაგივრად ბრინჯს მიირთმევენ, ხელი ჩაიქნია, პირველი ლუკმა გადაყლაპა და გამოცოცხლდა. ესამოვნა.

გემრიელია, ნივრინია, რალაც ჩვენებურს ჰგავსო.

ესამოვნა მასპინძელსაც, მეც ძალიან მიყვარს ბაყაყიო.

ჯერ წაიყრუა, მაგრამ, როცა ჩვენმა მასპინძელმა დეტალურად დაიწყო მოყოლა, ამ ბაყაყს საფრანგეთში ვუყვებოვ, იქ უფრო კარგი კლიმატური პირობებია მათი მოშენებისთვისო, ერთი ვუაახხო... დაიძახა და მორწყა მთელი რესტორანი.

ვეუბნები, ბიჭო, ახალგაზრდა კაცი ხარ, მე შევიყვარე ჩინური სამზარეულო, შენ რა მოგივიდა-მეთქი.

რა ვქნაო, საცივზე და ხინკალზე მაქვს კუჭი დაყენებულიო.

ასე მხიარულად დასრულდა პირველი ღამე!

მერე ოთხი დღე, ბავშვი რომ ჩააფრინდება დედის კალთას, ისე მყავდა მონებებული. ერთი წამით ჩამომრჩა, ოქსფორდ სტრიტზე, „ჰეროტისში“ და ორი ერთნაირი, სხვადასხვა ფერის „კეპკით“ მობრუნდა.

ქულებს მარჯვენა კუთხეში ოქროსფერი მეტალის რგოლები ამშვენებდა. რომ დავინახე, გულზე შემომეყარა, მაგრამ რალას ვიზამდი?! ძილის წინ კი შევაპარე: ეს რგოლები ხომ არ მოგვეხსნა, რალაც, მგონი, აუშნოებს-მეთქი. რას ამბობო, მიპასუხა, მაგის ხათრით ვიყიდეო... ჩვენი სასტუმროს ბარში ლუდის დასალევად ჩავედით. მკითხასავით: გერმანიაა, არა, ლუდის სამშობლოო?

მაგიც-მეთქი!

ერთი აქედან გავიაროთ, თუ ძმა ხარო.

ჯერ ფეხი არ გაუყვია საქართველოდან, ერთი დღეა ინგლისშია და უკვე გერმანიაში უნდა გასეირნება-მეთქი, გავიხარე!

მაინც დავინტერესდი, რა იყო მიზეზი.

ლუდი მიყვარს, ბიჭო, განსაკუთრებით პახმელიაზე. ერთი, ლუდის ხე მინდა ვნახო, როგორ იზრდებაო.

მაშინ შევეშვი. მივხვდი: ამას რკინებიანი ქუდი უნდა დაახურო, ლუდი უნდა ასვა „პახმელიაზე“, ოღონდ საქართველოში უნდა დატოვო გაუსვლელად. ხინკალიც და მწვადიც, თავის საცივიანად, თავზესაყრელი უნდა მისცე და ამყოფო ასე თავისთვის.

იცოცხლე, მერე იმ რკინებიანმა ქუდმა საქმე უქნა აეროპორტში! ოთხჯერ მიაბრუნეს მეზაჟეებმა. გაივლიდა ელექტროკარს, ატყდებოდა წკარუნი. გააჩერებდნენ, გაჩხრეკდნენ, დარწმუნდებოდნენ, რომ არაფერი აქვს, გაუშვებდნენ; ისე ზარი... განზე ვიყავი გამდგარი და იქიდან ვუყურებდი მის საცოდაობას. მთლად გატიტვლებზე რომ მიდგა საქმე, შემეცოდა, სულ დაფოთილი ჰქონდა სახე და სხეულის ნაწილები – რაც მოუჩანდა, ყოველ შემთხვევაში.

ქუდი, ქუდი მოიხადე, შე უპატრონო-მეთქი, დაუშობე.

იშვლია „კეპკა“ და ამოისუნთქა თვითონაც, საქართველოს ფეხბურთის ნაკრებმაც, გულშემატკივრებმაც და, რაც მთავარია, ლონდონელმა მეზაჟეებმაც.

თბილისამდე გენერალ ლესელიძის ქანდაკებასავით იჯდა – გაუნძრევლად, დარცხვენილი. უთენია ჩამოვფრინდით.

მისი მძლოლი დაგვხვდა. ხაშზე მიგვიყვანეო, გადაულაპარაკა „ვაჟნად“.

არაყი მოატანინა. პირველი ჭიქა უხმოდ დალია. ცოტა სახის ფერი ეცვალა უკეთესობისკენ. მეორე ჭიქა შეავსო და:

ლონდონის მეზაჟეებს შეე...ი მეო!

და გაუხდა ავად, მშვენიერი გოგონა – ციური.

მივაკითხე საავადმყოფოში.

შევატყვე, გაიხარა ექიმმა, რომ დამინახა.

ეს თქვენი ახალგაზრდა მეგობარი რალაც მოზვერით აბრიალებს თვალებს, თქვენთან მიჩვევნია მოლაპარაკებაო. ორი გზა არსებობს ოპერაციის გაკეთებისა: უფრო იოლი – ქვემოდან. თუ შემისვებთ, შევალ, პატარა სიმსივნე აქვს საშვილოსნოზე, და ხელათ მოვამთავრებო. მეორე: თუ ქვემოდან არ შევალ, ზემოდან, ე.ი. მუცელზე უნდა გავჭრა, იქიდან უნდა მივუდგე, ეს შედარებით შორი და რთული გზაა. არაფერს გკითხავდით, ქვემოდან შევძრებოდი, მაგრამ საქმე ის არის, რომ თქვენი ახალგაზრდა მეგობრის და ქალწულია და, შესაბამისად, უბინოების დაკარგვა მოუნწევსო. როგორც გითხარით, თქვენი მეგობარი უშნოდ აბრიალებს თვალებს, მე მწარე გამოცდილება მაქვს, იქნებ, თქვენ მოელაპარაკოთ, რომელი გზა ავირჩიოთ.

რა უნდა მექნა. მივედი და ვკითხე ციურის: რომელი გზა გირჩევნია-მეთქი?! ციურიმ: მე ქვემოდან მიჩვევნია, მაგრამ ჩემს ძმას მაინც ჰკითხეთო.

ვკითხე და ჯობდა არ მეკითხა. ჯერ განითლდა, მერე გამწვანდა, მერე გაყვითლდა.

დიდხანს იყურებოდა ფანჯარაში. ბოლოს ამოიგმიანა:

მღუპავთ, ერთი რამე შემოგვრჩა ოჯახში ხელშეუხები და საამაყო და იმასაც გვართმევთ და გვიბილწავთო?!

ესე იგი, ზემოდან, არა? – არ მოვეშვი მე.

ქვემოდან მივცემ ეხლა მე მაგასო, მო.....ავ დედის ტრ...ო!

ჩავუვარდი ფეხებში: არ ქნა, ბიჭო, მაგის ხელში ვართ, დავილუბებით-მეთქი.

ოპერაციამ მშვენიერად ჩაიარა.

მერე ქალწულობაც გამოადგა ციურის და ერთ მშვენიერ დღეს ესპანელ ბიზნესმენზე გათხოვდა. მადრიდში გაჰყვა. რამდენიმე თვეში სრულიად მოულოდნელად დას და სიძეს ჩემი ახალგაზრდა მეგობარიც მიჰყვა თან.

არაფერი ისმოდა მათ შესახებ დიდხანს. ალბათ, სამშობლოზე დარდს თუ გადაჰყვა-მეთქი, გულში ვფიქრობდი. ერთი პირობა ისიც დავუშვი, შეიძლება ძალიან უჭირთ და გამოჩენის რცხვენიათ-მეთქი.

გავიდა რამდენიმე წელი და მადრიდში მომიწია ჩასვლა. დიდი წვალეების შემდეგ მივაგინე ჩვენებს.

მივაკითხე და რა ვნახე?! გაჭირვება კი არა... რა სახელი, რა კარი, რა მანქანები... ერთი სიტყვით, ჰყვოდნენ. ვერც ვკითხე, რას აკეთებთ-მეთქი? მომერიდა. აღარ იცოდნენ, რითი ეცათ პატივი.

ხვალ კორიდაზე გეპატიჟებით, სიურპრიზი გვაქვს შენთვისო.

წავედით. ციურიმ მითხრა: ჩემი ძმა რალაც მნიშვნელოვან შეხვედრაზეა, მოგვიანებით შემოგვიერთდებაო.

გაძეგელი იყო ხალხით სტადიონი. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტორეადორი გამოდიოდა იმ დღეს – დონ პედრო ხულიო. აფიშებით იყო აჭრელებული იქაურობა.

გადარეული ხარი გვირავიდან გამოვარდნილი მატარებელივით შემოშლივინდა არენაზე. დაუნყეს დევნა მატადორებმა, პიკადორებმა და ბოლოს გამოზრწყინდა მთავარი ტორერო – დონ პედრო ხულიო.

ისუვლა ხალხმა.

დაუნყო სადისტობა ამ უზარმაზარ ცხოველს ხულიომ – ალიზიანებს, ჩხვლეტს, ბნკენს. ვუყურებ ამ ცნობილ ტორეროს და რალაც უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს სადღაც მინახავს ეს კაცი. მოძრაობები, მიხრა-მოხრა... მოკლა, როგორც იქნა, სტადიონის ნივილიკვილში ხარი და წამოვიდა არენაზე მუთაქების ცვენა. გამარჯვებული წრეს არტყამს სტადიონს და, ჩვენ წინ რომ ჩამოიარა, დედა, კაცო, პეტრე არ არი?! ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, პეტრე ხუროძე?!

კინაღამ გული შემინუხდა, გავიყუდი. დავეცემოდი, ციურის და მის ქმარს – იგნასიოს რომ არ დავეჭირე.

პირდაპირ გადავაჭერი არენაზე. რას შევები, ბიჭო, გავიყუდი? რა გიჭირს ამის ფასი, სიკვდილს რომ ეთამაშები ყოველდღე-მეთქი?!

ნეტაი შენ. ეს ესპანელები გიყვებიან, თორემ იმერელი კაცისთვის ხარის მოკლა რა ჩემი ფეხებიაო.

იქვე, სტადიონიდან გამოსასვლელთან რესტორანი იყო – „ოლე“ და იქ შემეიყვანეს.

შუა ქეიფში ვართ და ჩაქრა უცებ შუქი. შორიდან გაისმა ბრაგუნრახუნი, ცირკში რომ იციან, „სმერტელნი“ ნომრის წინ, ისე. პროჟექტორის შუქზე ფრაკიანი ოფიციატი გამოჩნდა, თავს ზემოთ საზეიმოდ აღმართული უზარმაზარი თეფში ეჭირა და ჩვენკენ მოცურავდა.

მოგვიახლოვდა და ძღვენი დიდი მონივნებით დაუდგა წინ პეტრეს, ატყდა ტაში და შუქიც აინთო.


„ეს ჩემი ძმის საპატივცემულოდაა“, – ჩამწურულა ციურიმ, – „მოკლული ხარის ყვერებია.“

კიდევ კარგი, ჩავიცინე ჩემთვის, ჩემმა მეგობარმა იმარჯვა, თორემ, პირიქით რომ მომხდარიყო, ალბათ, როგორც ქართველს, პეტრეს ყვერებს მაჭმევდნენ და გულისრევა მაშინ გენახათ თქვენ!

გაოგნებული ვბრუნდებოდი მადრიდიდან. რა არის ცხოვრება?! ეს კაცი, თბილისიდან ფენის გადგმაც რომ ეზიზღებოდა, დადის ახლა ესპანურენოვან ქვეყნებში ზარ-ზეიმით, პატივისცემის ნიშნად მიირთმევს საკუთარი მარჯვენით განგმირული ხარის სხვადასხვა ნაწილებს, აყოლებს ლუდის ხიდან დაკრეფილი ნაყოფის წვეს და...

არც გული ერევა და არც არაფერი...

შოთა ზოიძე



ნონს მტრადი

ათიათასჯერ მადლობელი ვარ ღმერთის, ჯვარცმული ჩემი ძმა არი საყვარელი, ჩემი სიცოცხლე, კვადრატში აყვანილი, აღდგომის კრავად მომირთმევია შენთვის. აქ ცოდვა-მადლის ვინ არის განმკითხავი, დაძაბულია ცხოვრება კიდით-კიდე, რაც თავი მახსოვს, სამართებელზე მიდევს, შენი გულისთვის გასაწირავი თავი. იმედის სურას იის ცრემლებით ვავსებ, არ გამიცურავს ზღვები ხელმწიფის ნავით, თუ დაგჭირდება, ჩემი ცოცხალი თავით ნოეს მტრედევით შემოგვევლები თავზე.

თოვლი თბილისში

ზაურ ბოლქვაძის, მორის ფიცხიშვილისა და გიორგი ცაბაძის ცხოვნას.

ახლა თბილისში ისე მაგრად თოვს, მთაწმინდა მოჰგავს ზღვაში სეინერს, თოვლი დამალავს მალე მადათოვს და რუსთაველზე გაისეირნებს. ჩვენც რუსთაველზე გავისეირნოთ (რამ დამასიზმრა წუხელ მორისი?!), თოვლი მოვიდა საესენინო, ისეთი, რიაზანმა რომ იცის! ვინ ჩაგვიტოვა თოვლში ყვავილი, მთებში – მტკვარი და მტკვარში – ნავეები?! სკვერში პუშკინის ძეგლთან გავივლი და გენიოსებს ვეგუნდავები. გამოდი, მალე მოვა ზაური, ფანტელი ირგვლივ ხაზავს ირაოს, ერთად ავტეხობთ აურზაური და „ინტურისტის“ ავაყირავოთ. რად საჭიროა ძველი არღანი, როცა აქ არის გოგი ცაბაძე, მისი მუსიკის ჰანგი მალალი ანათებს ჩვენი სულის დარბაზებს. მე კი ქათქათა ფანტელს დავეძებ, რომელიც ცაზე ხაზავს ირაოს, ფანტელმაც იცის, დღეს რუსთაველზე ილიამ უნდა ჩამოიაროს. თბილისში ახლა ისე მაგრად თოვს, მთაწმინდა მოჰგავს ზღვაში სეინერს, თოვლი დამალავს მალე მადათოვს და რუსთაველზე გაისეირნებს.

ნოსტალგია

ბესიკის ბაღში სევდაზე მეტი ვარ, ჩემი გულია ცეცხლგამძლე სეიფი, მომნატრებია მტკვარზე ქეიფი, მაგრამ სადღაა ტივი და მეტივე?! აგერ ფიროსმანის მოხატული დუქანი, დუქანთან – ბატკანი, ბატკანთან – კინტო, ხანდახან ღვინო იმისთანას გიმტრობს, მონაგონია რუქნადინის მუქარა. აგერ საიათნოვას ძველი ჭიანური, სადღა არიან რაინდები ყაბახის?! აღარ მინდა სირაჯების ტრაბახი, გამაგონე რამე ჭკვიანური.

გოლოვინზე დადის მცოვანი აკაკი, ქიმერიონში ქეიფობს მაიაკოვსკი, ტიცინი მინას ზვავივით მოსკდა – ქართული პარნასის ახალი ზვარაკი. ახლა იწერება „არტისტული ყვავილები“, გალაკტიონმა აუშვა აფრა, ჯერ დიდუბეში გაუჭრიან საფლავს ვაჟა-ფშაველას, მთაწმინდის გაელვებით. პოეტის თავი დაგორდა ღრმა ხევში, სასტუმრო „ანგლეთერში“ მოკლეს ესენინი იქნებ გვიანია ახლა ეს წერილი, მეგონა, მკვლელი გავაბი მახეში. არ ვიცი, მე როდის ავუშვებ ლუზას, საით გამაქროლებს ბედის ქარავანი?! ბარათაშვილია ჩემი ფალავანი, ეკატერინე – მეთაე მუზა!

ქვლავით სავსე ტომარა

*Вижу – взрезанной рукой помещка
Собственных костей качает мешок.
В. Маяковский*

ჩემამდე რამდენს უთქვამს მარტივად, მეც ვიშეორებ მწარე სიმართლეს, ტანზე ხორცს ვიგლეჯ, როგორც მარტვილი, და საკუთარ ძვლებს ტომრით მივათრევ. ვემშვიდობები ცას და ვარსკვლავებს, მარხული, თანაც ღვინონასვამი, მაიაკოვსკივით თუ არ დამკლავენ, დეკაბრისტივით ძელზე გამსვამენ. ველარ მივაგენ ჩემი საძვალე, უფალო, ამდენს რაღას მანვალე, ჰა წიგნი, ჩემი დანატოვარი და ჩემი ძვლებით სავსე ტომარა.

წერილი მიხეილ სინელნიკოვს

გარდაიცვალა ანდრეი ვოზნესენსკი, ძალიან დიდია ჩვენი მწუხარება, მახსოვს, ИДЛ-ში მისი მქუხარება და არქიტექტურა პოეტური ფრესკის. ის იყო ჩემი კარგი ნაცნობი, ჩემი სამშობლოს დიდი მეგობარი, პოეტი – რაინდი, პოეტი – მეომარი, პოეზიაში – მოვარდნილი ღვარცოფი. მითხრეს, სანთელივით დნებოდა და იწვოდა ერთი ოქროს სიმი რუსული პოეზიის, პოეტების კაფეში სრულიად უმიზეზოდ მე მან რუსთაველის შვილთაშვილი მიწოდდა. მე ახლა ამის მეტს ვერაფერს ვიზამ, ვერ დავესწარი დაკრძალვას, რადგანაც ძალიან მკაცრი და ცუდი დრო დამდგარა, მოსკოვში ჩამოსვლას ჭირდება ვიზა. ის მეტაფორას ფუტკარივით თაფლავდა, მე ვიცი, დრო მოვა ძალიან მალე, ჩვენ ერთად მივალთ პოეტის საფლავთან, პოეტის შესანდობარს ქართულად დავლევთ!

პანთეონში

მწუხრის ყვავილებს ახლაც ისე, ვით წინათ, თავზე ევლება ნიავი, როგორც ძიძა, აქ გენიოსებს თვალახელილი სძინავთ და უკვდავებას თვალდახუჭული ღვიძავს. აქ რომ ნიავი ოქროს მარაოს გაშლის, მაშინ რუსთველზეც გრილი ქარები ქრიან, აქ განისვენებს გენიალური ბავშვი, რომელსაც ტატო ბარათაშვილი ჰქვია. მამადავითი დგას, როგორც უფლის სახლი, ფოთოლცვენაზე ისმის მუსიკა ვერდის, ანას საფლავი გალაკტიონთან ახლოს, ოთარ ჭილაძე – ვაჟა-ფშაველას გვერდით. მწუხრის ყვავილებს ახლაც ისე, ვით წინათ, თავზე ევლება ნიავი, როგორც ძიძა, აქ გენიოსებს თვალახელილი სძინავთ და უკვდავებას მათი თვალებით ღვიძავს.

სიკვდილი

ჯერ კიდევ ზურგის ქარი მიბერავს, ლამაზი ქალი ისეე მაცოცხლებს, არ მოველოდი სიკვდილს სიბერით, მაგრამ სიბერემ შუბლზე მაკოცა. აღარ მჭირდება შენი ნუგეში, წლები გავიდა ბევრი მას აქეთ, მეგონა, ჩავლილ საუკუნეში, დასრულდებოდა ჩემი ასაკი. ბევრჯერ მიგანა დრომ და განგებამ, თმები ჭალარით ადრე შემოსა, იქნება სიკვდილს გზები აებნა, ვერც კი გაბედა ჩემთან შემოსვლა. რადგანაც დედა მყავდა ცოცხალი, სიკვდილმა მოსვლა ველარ გაბედა, ისეე ჭიკჭიკებს ჩემი მერცხალი, ჩამოძონილა ცა კვეს-აბედად. გულში დარია. კიდევ კაი, რომ, კიდევ კაი, რომ სულში ვერ მოთოვს, ვინ წარმოიდგენს მოხუც ბაირონს, მოხუც ტატოს და მოხუც ლერმონტოვს. აღარ მაცოცხლებს სისხლი იბერის, აღარც კოლხური სისხლი მაცოცხლებს, მოვა სიკვდილი და ჩემ სიბერეს ნაოჭებიან შუბლზე აკოცებს.

ანანური

გამოვიარე დარიალი, წინ აღიმართა ანანური, დღე არი ისე დარიალი, ავდარი ცაშია დამალული. აგვისტოს სიცხემ გამოფიტა თერგიც, არაგვიც, ალაზანიც, მცხეთას მელოდება სერაფიტა, ჩემი არმაზელი ლამაზმანი. მეზავრთა მარაქაში გარეული, მეგზური მახლდა ათიოდე, თერგი არა მაქვს დალეული, თუმცა პეტერბურგში დავდიოდი. ვინ იყო ელენე დარიალი? კითხვა დაიბადა ბანალური, გამოვიარე დარიალი წინ აღიმართა ანანური.



ანანური

შის გელოვნავს



– მინდა ზაფხული დადგეს, – თქვა კაცმა, – ჩემს სიცოცხლეში არ მქონია მისი მოლოდინი ისე, როგორც ამ წელს.

ქალი სავარძელში იჯდა. კაცს უსმენდა და თითქოს არც უსმენდა. ძალიან დიდი სავარძელი იყო და ქალი შიგ განსაკუთრებით სუსტი და უღონო ჩანდა – ჩინელი მოცეკვავე ქალის ქანდაკივით.

– რა არის დრო? – ხმადაბლა თქვა კაცმა, – ყველაფერი და არაფერი. დაკარგული საათი. ველარავინ დააბრუნებს დაკარგულ საათს.

კაცმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

– საოცარია, როგორ იცვლება ყველაფერი, როცა სხვაგან ხარ.

– ნუ იგონებ, – შეეძავა ქალი, – სულ ერთი თვეა, რაც აქ არა ხარ.

– სულაც არ ვიგონებ.

– ყოველთვის კარგი გვეგონია იქ, სადაც არა ვართ. დაბრუნდები ძველ ადგილზე და ყველაფერი სხვანაირი გეჩვენება. მერე კი ისევ ძველ სახეს იღებს.

– ზოგჯერ ასეა, ზოგჯერ არა.

– ჰო, ახლა სხვა დროა, – თქვა ქალმა.

– ნამდვილად, სხვა დროა, – მიუგო კაცმა.

– სხვა იყო იმ წლებში...

– სავსებით სწორია, სულ სხვა იყო... ფანჯრიდან შუქი იღვრებოდა და მაინც ერთ ადგილზე იდგა, ვერანაირად ვერ აევსო ოთახი.

– წერილი რატომ არ გამომიგზავნე, – ჰკითხა კაცმა.

– წერილი! რაა წერილი? რას არგებს ადამიანს!

– არაფერს, – მიუგო კაცმა, – მით უმეტეს ჩვენს ასაკში.

– რა ეშმაკია, – გაიფიქრა ქალმა – უბრალო კითხვებს იძლევა და იძულებულს გხდის აუხსნა. ხოლო, ვინც ახსნა-განმარტებას იძლევა, ის უკვე თავს იმართლებს.

კაცმა სიგარეტი ფანჯარაში ისროლა და ისიც ციციანთელასავით ციალ-ციალით დაეშვა დაბლა.

მოპირდაპირე სახლის ფანჯრის რაფაზე წითელყვავილებიანი ქოთნები ეწყო. ყვავილების ქვეშ რუხი კატა იწვა. კაცი ერთხანს უყურებდა კატას, მერე ისევ ოთახს მოავლო თვალი.

– რა საჭიროა ფოტოსურათების გამოფენა, ეს უგემევენობაა, – უთხრა ქალს, – რამდენჯერ გითხარი.

– არის ამბები, რომელსაც ვერც გაიგებ, ვერც ახსნი, – მიუგო ქალმა.

ანაზღად კაცს საშინელი დაღლილობა დაეუფლა. თვალეშიც კი გრძობდა ამ დაქანცულობას. მწყრალად შეხედა ქალს.

არცერთი ადამიანი არ შეიძლება გახდეს ისე უცხო, როგორც ის, ვინც უნინ გიყვარდაო, – გაიფიქრა. გაიზმორა და ტახტზე წამოწვა. თვალდახუჭულმა ფარდები

მ რ ნ ი

გადახედავდა. ადგომა დააპირა, მაგრამ დაეზარა, მერე მასაც ჩაეძინა. სიზმარში მსუბუქად და უხმაუროდ გაიღო ურდულ-გაყრილი წარსულის კარი და მის მიღმა ხელახლა გადაიშალა აყვავებული ბაღნარი. ოღონდ, სასაცილო ის იყო, სიზმარში ქალი ახალგაზრდა, ლამაზ ქალიშვილად გადაიქცა, ისეთად, როგორც დიდი ხნის წინათ იყო, კაცი კი ისევ მოხუცად დარჩა.

– მიცანი, იცი ვინა ვარ? – ჰკითხა კაცს.

– ვერა, ვერ გიცანი... ვინა ხარ?... განა ოდესმე შეგხვედრივართ?

– დიახ, შეგხვედრივართ.

– როდის? და შენობითაც კი მივმართავდი ერთიმეორეს? რალაც არ მაგონდება?

ქალმა გადაიკისკისა და გაეღვიძა. შემოთვებით გადახედა მძინარე კაცს. კაცს ისევ ეძინა.

მეხსიერების შორეული ხეულებიდან ამოტივტივდა ყველა წვრილმანი, ჩავლილი წლები.

ყველაფერი სხვანაირად უნდა ყოფილიყო, სხვანაირად.

სინამდვილეში კი... ველარ განაგრძეს თავისი თავი, ველარ შექმნეს ვაჟიშვილი და ქალიშვილი. დარჩნენ უნაყოფონი, როგორც ცარიელი თავთავი... გამხმარი ტოტი საგვარეულო ხეზე.

ალტაცებული ვარ შენით და გაღმერთებ, რადგან შენ ერთმა ისროლე მეხი და

ანთე ჩემი გული, – ეგ სიტყვები დიდი ხნის წინათ უთხრა კაცმა ქალს, იმდენად დიდი ხნის წინათ, რომ ქალს ზოგჯერ ეჩვენებოდა, მე ხომ არ გამოვიგონეო. რა იქნება, რომ ჰკითხოს, შეახსენოს, გაახსენდება? რა არის დრო? ყველაფერი და არაფერი. ანკი რა საჭიროა რაიმეს შესხენება. დაკარგული საათი. ველარავინ დააბრუნებს დაკარგულ საათს.

ქალი წელში გასწორდა. კმარა, – გაიფიქრა, – ვინც მეტისმეტად ხშირად იხედება უკან, იოლად ნაჰკრავს რაიმეს ფეხს და დაეცემა.

კაცმა გაიზმორა. თვალეში გაახილა და ქალს შეხედა.

– აი, მეც დაებრუნდი, – ჩუმად თქვა, – საიდან იცის ადამიანმა რანაირი დაბრუნდება საიდუმლოებით მოცული სიზმრების ქვეყნიდან, სადაც შეგრძნება უკონტროლოა.

– სხვანაირი დაბრუნდება და თვითონაც ვერ შენიშნავს ცვლილებას, – უპასუხა ქალმა.

– რალაც უცნობ ქვეყანაში ვიყავი, – დაფიქრებით თქვა კაცმა.

კაცს კიდევ უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა. ძველი კომოდის თავზე ჩამოკიდებულ ფოტოსურათს შეავლო თვალი. ფოტოსურათზე ქალი იდგა. ქალს ხელში სამაგრები ეჭირა და თეთრეულს ჰჭენდა. ეს სურათი თვითონ გადაუღო ოცდაათი წლის წინათ.

– რა სულელური ჩვეულებაა ფოტოსურათების გამოფენაო, – გაიფიქრა, – ვეტყვი, ჩამოხსნას.

უეცრად რალაც უცხო გრძობა დაეუფლა, როგორც მონადირეებს მოუვლით ხოლმე, უცებ ხელი რომ არ ემორჩილებათ და ჩიტს ვერ ესვრიან.

– იცი... – გაუღიმა ცოლს, – ამ სურათზე მართლაც ძალიან ლამაზი ხარ. ქალს ხმა არ ამოუღია.

მყინვარწვერზე ავდიოდი

საქართველოს სიყვარულის ცეცხლი ისე მენტო გულში, მყინვარწვერზე ავდიოდი მთამსვლელის უტეხი მუხლით.

ცის კაბადონს მზერა ვტყორცნე მე – მწვერვალის წვერზე მდგარმა. მზის სხივები მომესალმნენ, მიაღერსა ნიავე-ქარმა.

ვხედავ: მთათა ქარავანი – ბუნებრივი დაცვის ზღუდე – გარს არტყია საქართველოს, აქ მტერი ვერ დაიბუდებს.

იალალის განედები ცხვარ-საქონელს დაუპყრია. ამ სიმდიდრეს დავეძებდი, ხილვა როდი არის გვიან. უფსკრულეში ჩამქუხარე ხმალრიალა ჩანჩქერები კალმახებით იყო სავსე – მზერას მათზე ვაჩერებდი. დაილოცოს, ღმერთო, შენი განგება და სამართალი, რომ გვიბოძე საქართველო, მისი მზე და მთა და ბარი.

სტიქიონება

ქარი ართავდა ნისლების ფთილებს, შავი ღრუბლები ინყებდნენ წვიმას. ღრუბელთ მბრძანებელს ვინ გააფრთხილებს – შეწყვიტოს დარტყმა, უსმინოს წმინდანს. სტიქიონების შეტევა დიდი, ცოდვის ჩამდენი, გულშემზარავი აიკლებს ხმელეთს და მერე მიდის.

მთებს დგამს წუხილის

(როგორც კარავი). ხალხის ცოდვაში ჩამდგარი მტრობა უნდა დაემხოს ღმერთის ბრძანებით და სტიქიონთა ეს შემოტევაც წარიხოცება მზით და ქარებით.

შემოქმედის გარჯა

მწერლები და პოეტები მუშაობენ მარადის, მათი წმინდა ნააზრევი მკითხველებთან გადადის. ზოგი ძეგლად შეფასდება – უკვდავების ღირსებით, ზოგს დრო გაჰყავს საღალბოდ – ასეთია ბუნებით. ზოგი ერს წინ წარუძღვება გენიოსის ტიტულით, რადგან სხვას აღემატება სიბრძნით, პოეტის გულით. სამშობლოზე ფიქრით მოღლილს, ქვეყნის ერთგულ მეუფეს გამარჯვების გვირგვინს ადგამს ერი, გარჯას შეუქებს.

საქართველო აღორძინდა

საქართველოს ალამაზებს არნახული ხედები. მზის გვირგვინით მოკაშკაშე მინავ, გვეიმედები. აქა ნახავთ კლდეთა ქალაქს, სად არწივნი ბუდობენ. ჯიხვთა ხორონს კლდეთა ქიმზე და უფსკრულებს უნდობელს. თვალუნვდენელ იალაღებს მზის სხივები დარაჯობს.

სლოქსი ნამორძი

აქ ცხოველთა ანგელოზებს შვლებს და ირმებს სხვა რა სჯობს. დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი, განგება. საქართველო აღორძინდეს! ეს დროც მალე დადგება.

გაზაფხული

თვალუნვდენი ვაკეები, მინდვრები და ქალები. სამუშაოდ გამოსულან კაცებიც და ქალებიც. ტრაქტორები გუგუნებენ, ბელტზე ბელტი გადადის. გადაშავდა ყამირები ექო ადის ცათამდის. მინა თესლებს გადაფარავს, ფესვს გაიდგამს მარცვლი, დროზე ამოთავთავდება თესლი გამონაცვალი. დიდ ველებზე იშრიალებს თავთუხების ყანები. კომბანთა ლაშქარს ვნახავთ შემოსეულს განედით. მოგვიმკიან ქვეყნის სარჩოს, დახვავდება ხვავები. ბარაქიან ნაყოფისთვის ჩვენც შრომაში ჩავებთ.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაიპარა დასანანი შეცდომა – მე-16 გვერდზე გამოქვეყნებული ლექსების ავტორია შოთა დარბუაშვილი და არა შალვა დარბუაშვილი, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ავტორსა და მკითხველს.

ცანცანცა ცანცანცა ცანცანცა ცანცანცა ცანცანცა ცანცანცა ცანცანცა ცანცანცა ცანცანცა ცანცანცა



თოვს, ქარბორბალა ტრიალებს,
თოვლში იძინებს კლდეკარი.

●
მიყვარს შენი მზის ნათელი,
შენი ცის და მიწის ეშხი...
მიყვარს ლექსი რუსთაველის –
იმ უკვდავი ვინმე მესხის.

ხევ-ხუეებში ლეგა ნისლი,
ტყეში ფოთლის შარიშური...
მინა – მწვანე რაზისი,
ზეცა – ლურჯი აბრეშუმი.

მიყვარს შხარა,
მიყვარს შხელდა,
მთა ხვამლის და მთა აბულის –
ერთიანი საქართველო,
ციდან უფლის დანახული.

მიდის მატარებელი...

ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას

მიდის მატარებელი,
გულზე ამდის აღმური...
მიდის მატარებელი
და გვირაბში მიმდრეწს...
მტრისგან აოხრებული
რჩება ჩემი მამული,
ცრემლი მომდის, რა პირით
უნდა შევხედე წინაპრებს.
ყურში ავად ჩამესმის
შელამების მგზავრული,
მეყსეულად ვშორდები
წუთისოფლის ბინადრებს.
მტრისგან აოხრებული
უკან რჩება მამული,
მე კი – მატარებელი
ბნელ გვირაბში მიმდრეწს.

ლხინი ხორნაბუჯის მახლობლად

განხმულია ზეცის კარი
და მზე გვალვრის ოქროს არილს...
ნაკვერჩხალზე შხივის მწვადი
და ისმება ღვინო ლალის.

ცალგნით ტყეა,
ცალგნით – ველი,
შორს ჭალარა მთები სრალი...
და სიცოცხლე გადაამქრალი
ბურჯნი ხორნაბუჯისანი.

ეს შავლეგოს რაში ტოკავს,
თუ თამარის მალემსრბოლის,
გული ვედარ მომითოკავს,
კოშკებს ასდის ნისლის ბოლი.

გაშლილია ლხინის სუფრა
და თამადა ენამზეობს –
დამილოცეთ, სულზე უფრო
საყვარელი, ეს სამზეო.

და ჩვენ ვლოცავთ წინაპართა
სიჩაუქეს, მკლავის ძალას.
სურნელს აკმევს ხე და ბუჩქი
და ჩინჩხალი სცვივა წალამს.

მეზმანება ძვლების ოხვრა
და ყივილი ომსა შიგან...
გაზაფხულის მზე ვარვარებს,
ეჩქარება წასვლა მირკანს.

ვედრება

დრო ნალვლიანად ფურცლავს კალენდრებს
და სულში ტოვებს სევდას და ვარამს...
დედაო ღვთისავე, მამულს გავედრებ,
შენ დაიფარე განგების დარად.

მტერთან ბრძოლაში გზა გაუნათე,
სიცოცხლის სიო შთაბერე ძელქვას.

გოვი გოვნაძე

ჩემი ჯვარცმული ქვეყნის სიმართლეს
შენ უდარაჯე მარად და ყველგან.

●
ვაგეთ ტაძრები,
ვაგეთ ტაძრები
და პირველებმა ვაზიც ვახარეთ...
ჭირთათმენით და ჭირში გაძლებით
დროშა კაცობის ძირს არ დავხარეთ.

ბევრი გვინახავს ომის ხანძრები,
სიკვდილის ქართა გადაჭენება...
ცამდის აწვდილან წმინდა ტაძრები,
მტერსაც მოხიბლავს მათი მშვენება.

●
ჯავარსრულო,
ალვისტანა,
გშენის მკერდის მიმოტანა.
მინდა ბაგე დაგიკოცნო,
შენი სიტკბო გამყვეს თანა.

●
ზოგნი ირგებენ დიდების ტახტებს,
ზოგნი ბედავენ თვით უფლის გმობას...
ქრისტეს ფეხებთან სატანა დახტის,
დასცინის ჩვენს ბედს,
ჩვენს ძალღურ ყოფას.

გვიახლოვდება განკითხვის ჟამი,
გვესმის სულების ოხვრა და კენესა...
იქ, უფლის ბაღში აპრილი ყვავის,
აქ ღვთის მგომობელი ლენცოფას თესავს.

სულ სხვა ხიბლი აქვს სამოთხის ფერებს,
სხვაა შრიალი სამოთხის ხეთა...
ღვთისკენ ვედრებით ზეანვილ ხელებს
განგების თვალი ყოველთვის ხედავს.

●
გულს გვიკლავს მწარე დუმილი,
ვერც ლახტებს ვიქნევთ,
ვერც გურზებს...
ერის სინმინდის სანმერთულს
ჰკიდებენ ციხის ქონგურზე.

ტრიალებს წუთისოფელი,
ნალმა-უკულმა ტრიალებს,
სამაჩაბლოს და აფხაზეთს
ყველგან ყორანი ყრიალებს.

თავზე გვემხოვა ცარგვალი,
ბოლმა და შური მძვინვარებს.
ჩვენი დუმილი აოცებთ
კავკასიონის მყინვარებს.

* * *
მეც სანუთროს ლაგამს ვლეჭავ
და ხალხისთვის კარგი მნებავს.
მომავლის გზის პოვნის ნიჭი
ვის აქვს, ჟამი მიდის, ქრება.

სასწორზეა ქვეყნის ბედი,
დანახვისზე ნისლი ბოლავს.
არსად ხსნაა, არც იმედი,
გარეჯს უღრენს თათრის მოლა.

რუსმა ტვინი ამოგვჭამა,
ბომბავს გორს და ბომბავს სენაკს...
და არ ვიცით, რას გვიმზადებს
მომავალში ბედისწერა.

●
ხენი ჩრდილებს გზად გვიფენენ,
მზეს შეჭხარის ვარდი შლილი...
გვეგებება იმერეთი,
გულთაფლი და ენატკბილი.

ალუბლის ხე სურნელს აკმევს,
სასოებით სუნთქავს ველი.
საქართველოს სადიდებელს
ბულბული სტვენს,
შაშვი მღერის...

იმერეთო, მიყვარს შენი
ჭურის ღვინო ლალისფერი.
ორსავე სოფელს ჩამესმოდეს
შენი მრავალჭამიერი.

პიქინა ივანიშვილს

ენა, მამული, სარწმუნოება.

წინ მიგვიძღვის ილიას
ანთებული ლამპარით,
კაცი – მართლა ლეგენდა,
კაცი – მართლა ზღაპარი.

საქართველოს მომავლის
ნათელი დღის მჭედელი...
ქველი, მიწყივ მოწყალე,
ბრძენი და შორს მჭვრეტელი.

სალბუნს ის მოუძებნის
ერის სულის ჭრილობას.
სხვა ხიბლი აქვს,
სხვა მადლი,
მის მამულშვილობას.

ტაძრებს აგებს, სულ იღვწის,
სულ სიყვარულს აშუქებს.
მამულს ვერვის მიჰყიდის,
ვერც ვერავის აჩუქებს.

ღმერთმა სიყვარული და
სიხარული მიაგოს –
ბრწყინავს მისი ვარსკვლავი
და იმედად კიაფობს.

●
გოგი თოფაძეს
თოვს, ქარბორბალა ტრიალებს,
ცივი და დაუდეგარი,
წინ გზა-სავალი არსით ჩანს,
თოვლს ჩაუჩუმქრავს კლდეკარი.

მონყენით გაიყურება
რქებდათოვლილი ხარლადი.
ნეტავი დამსვა ბუხართან
მაყლურნა ქერის არაყი.

ან ცივი ლუდით დამათრო,
მამლერა ტკბილი შაირი,
ვაჰმე, სანუთრო ჩქარობს და
მალე ჩვენთვისაც ჩაივლის.
ჩემი ცხოვრება ფიფქია,
შენი ცხოვრებაც ეგ არის...

ფასკუნჯი



შეხვედრა „ვეროპულ სკოლაში“ – მუხრანის და თამაზ კვაჭანტირაძე

2010 წლის გაზაფხულია, გალაღნებულ აპრილი.

„ვეროპული სკოლა“ სტუმარს ხვდება – მუხრან მაჭავარიანს...

მთელი წელია ვეშადებით ამისთვის დიდიან-პატარაიანა – მისალმებები, დადგმა, მონტაჟი, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული გაფორმება...

– ბაბუ, ბაბუ, შენ რა სიურპრიზს უშვადღებ სტუმარს? – მეკითხება ნიკოლოზი, ჩემი ათი წლის ნაბოლარა შვილიშვილი.

– მე მუხრანს ერთი მცირე ნობათი უნდა მივართვა...

– მაინც რა?

– შენი თავი... უფრო სწორად, შენ უნდა მივარტყინო მუხრანისათვის, აი, ეს ლექსი, მისივე დაწერილი კაი ხნის წინათ, „ფასკუნჯი“ ჰქვია...

– რამისიგრძეა, ბაბუ... ამას რა დამამასოვრებინებს?! ხო ვიცი მისი პატარა-პატარა ლექსები, ჰოდა, ამას ვეცხვი:

**„გარეთ ხმაურობს წვიმა, ოთახს ანათებს ღამმა...
– პეტუშა გახსოვს?
– იმე!
– რა ბიჭი იყო!
– აპა!“**

– კარგია, მაგრამ „ფასკუნჯი“ მართლაც გრძელი ლექსი არაა, ის დიდი ლექსიც არის; მიმიხვდი?

– თუ მასეა, „პეტუშაც“ დიდი!

– გეთანხმები... თუმცა ჯერ „ფასკუნჯის“ მოუსმინე და მერე ვილაპარაკოთ...

– ბაბუ, რამ დავახსოვა ზეპირად ამხელა ლექსი?

– მომისმინე და გაიგებ:

**მზისკენ მიმადრენს ფასკუნჯი, –
ფასკუნჯს უფსკრულის აქვს კუჭი;
შენა საგზალი ვარ მისი,
მაგრამ ვეყოფი?!
არ ვიცი!**

**მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, –
ისიც ლურჯია, ცაც ლურჯი;
ეჭვისა მახრჩობს მარყუჭი, –
ვერ ჩაჩხვდი, – უდევს რა გულში, –
ძუნწია სიტყვა-პასუხში.**

**გავიარენით ჭირანო
(ხორცსა ვეპყრობი მომჭირნედ),
მინდარის ვიაშირანო, –
შორიდან შევერტვი კოჭიმელს.**

**გაჭიანურდა ცორანო
(ფასკუნჯს ეტყობა მოშვიდა)...
ნეტა, ეს შავი ყორანი
ტატოსია თუ პოსია?!**

**მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, –
მკერდით გამობობი ცეცხლეთის;
მზემდე ჯერ კიდევ ბევრია,
როგორც ეტყობა, მანძილი;**

**არადა, ახლა მე ჩემი
ჰა და ჰა ვიყო მეცხრედი, –
მოზრდილი უკვე ჩახეთქა
ჩემი ფასკუნჯმა ნაწილი.**

**მივეახლები კოჭიმელს?! –
თავი მეყოფა მე ჩემი?!
უფროვე სწორად: ამ ოხერს
ვეყოფი თუ არ ვეყოფი?!
თვალეებს მიჭრელებს ფასკუნჯის
მთავრებილივით ბეჭები...
– ხომ კარგად?! – მკითხა უეცრად, –
ხმა მეცნაურა მეგობრის.**

**მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, –
მიქშუის, როგორც ქიბორჯი...
დარდიმანდები ხაშურში
შეექცევინა ციმორსა...
მექანებთან მინისკენ
ძმბიჭები და სუფრანი,
ხრეთით მესმის მე კრინი,
პატარაძულთით – სოპრანო...**

**ვხედავ საკუთარ წინაპრებს;
დღედაღამ ფხიზლობს ბერბიჭა, –
კაცმა, ვინც იტყვის სიმართლეს,
რომ არ გაჰქუსლოს მერნითა.**

**ქეხორციელის აქ ყოფა
არ გახლავთ მთლად უხიფათო;
კაცსა, ვინც იჩენს კაცობას, –
ფიქრობენ: რა უხიმიანო!**

**მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, –
ისიც ლურჯია, ცაც ლურჯი;
ეჭვისა მახრჩობს მარყუჭი, –**

**ვერ ჩაჩხვდი, – უდევს რა გულში, –
ძუნწია სიტყვა-პასუხში.**

**ამხედრებული ფასკუნჯზე,
მზისკენ ქარებრ ვისწრაფვი:
ქართველი რათა გამაშუქდე, –
მყოფი მინაზეც, მინაშიც.**

**თვალეებს ვაცეცებ გარშემო...
– რაღა ვენა! – ვფიქრობ მე ჩემთვის,
უეცრად ამ უგამჩნეობ
რომ მოინებოს დესერტი?!**

**ძირს სამშობლოა გაშლილი, –
ორი ვეშაპის შუაში:
ქსელია პირწავარდნილი
რომელიც ბაბაჭუასი, –
გულდასმით ნავგორისტევი
მტკვრით, ქსნით, ალაზნით, არაგვით...
მე თვით გამოვგლიჯევი
რომელსაც დავიდარაბით.**

**გაფრენილს, – მზისკენ გაფრენილს, –
შემომცქერიან დაბლიდან:
ხცისი, ბელღევი, ავლევი,
თიღვა, იკორთა, მთანმინდა...
ლხენანი ამ ქვეყნისანი,
თავისუფლების სიტკობნი, –
რაც ვერ დაიცვა კრწანისმა,
რასაც იცავდა დიდგორი.**

**ლხენანი, – ხმევას რისასაც, –
ფასკუნჯს ვეხმეი, – ვარჩეი;
მე, – სულის დასანაყრებლად,
სხეული ვინც მოვამიე.**

**ერთხელაც, როცა იქნება! –
იქნება კია ეს წუთი?!
(გულს ეჭვი მიღრღნის იმდენი,
უყვარს რამდენსაც ფეხბურთი), –
მზის წინ როდესაც წავედები
ნატამალია მე ჩემი,**

**ცათა საცერში გაცრილი, –
მე, – ჩემი მცირე ნაწილი
(ფასკუნჯი როცა შემომლდეს,
ჩემში რაცაა ზედმეტი), –
მე (ჩემთვის უკვე უჩინარს)
მზე მეტყვის, ვიცი, მზე მეტყვის:
– კაცო, ვინა ხარ?! აღარ ხარ! –
ხარ კაცის მეთასელი! –
რა გზები გამოიარე,
შე უბედურო, ასეთი?!**

**მზისკენ მიმადრენს ფასკუნჯი, –
ფასკუნჯს უფსკრულის აქვს კუჭი;
შენა საგზალი ვარ მისი,
მაგრამ ვეყოფი?!
არ ვიცი!**

ლექსი ჩავთავივ...
– მაგარია, ბაბუ, მაგრამ ბევრი რომ ვერაფერი გავიგე?
– მთავარი გავიგია – მაგარი რომაა, მეტიც – უმაგრესია. რაც ვერ გავიგე, ის კი ახლა ერთად გავარკვიოთ, თორემ – ლექსი დაიზუპირო და შინაარსი არ გვესმოდეს, თუთუყუმი ყოფილაო, შენზე იტყვიან...
– ზოგი სიტყვა პირველად ახლა გავიგონე, ბაბუ, – „ჭირანო“, „კოჭიმელი“, „ქიბორჯი“ და, რა ვიცი, ბევრი სხვაც – და მათი მნიშვნელობა საიდან მეცოდინება?

– შენ კი არა, ეს ლექსი რომ პირველად წავიკითხე, კაი სტაჟიანი ტელევიქტორი ვიყავი, მაგრამ მეც დამჭირდა საბას „სიტყვის კონაში“ ჩახედვა. მაშინ ეს ნაკლად ჩავთვალე, ლექსს ლექსიკონი არ უნდა

სჭირდებოდეს-მეთქი, ახლა კი – ღირსებად მიმჩნია: სად გვაქვს დასაკარგი სიმდიდრე?! მუხრანისნაირი პოეტი რომ „მიძინებულ“ სიტყვას ლექსში იხმარს, ჩათვალე, რომ მან ეს სიტყვა გააცოცხლა... „ჭირანო“, „ცორანო“, „კოჭიმელი“ – ესენი, საბას მიხედვით, სხვადასხვა „ცათა“ სახელება (ასტრონომიული ნარმოდგენით, არსებობს მთვარის ცა, მერკურის ცა, მზის ცა; ვერჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ, შენებლა ბავშვს მეტის ცოდნა არ მოგეთხოვება!); „ქიბორჯი“ ისრის ერთ-ერთი სახეობაა, „ბაბაჭუა“, ვგონებ, იცი კიდევ, ოზობას ერქვა, „ხმევა“ – შეჭმას, დაგემოვნებას ნიშნავს: „ლხენანი, – ხმევას რისასაც – ფასკუნჯს ვეხმეი – ვარჩეი“ – ასე უნდა გავიგოთ: „ამასოფლის ლხენათა დაგემოვნებას ვამჯობინე, რომ ფასკუნჯმა თავად მე დამიგემოვნოს“; თვითონ ფასკუნჯი რაც არის, ხომ გახსოვს ჯადოსნური ზღაპრიდან?

– მახსოვს, ბაბუ, გრძელყოფილი ფრინველია, მინიდან ზეცაში, მზისკენ აჰყავს ზღაპრის გმირი... ვერ აიყვანდა, თავისი ხორცი რომ არ ამოეჭრა ფასკუნჯზე ამხედრებულს და ბოლო ლექსად არ ჩაედო მისთვის პირში...

– გხსომებია... ეგ ზღაპრია ამ ლექსის ერთ-ერთი მკვებავი წყარო... მეორე არის ბართაშვილის „მერანი“: მართო „მიმადრენს“ სიტყვაც კი – „მზისკენ მიმადრენს ფასკუნჯი“ – მერანზე ამხედრებულ ტატოს გაგახსენებს კაცს და იმ ავბედით შავ ყორანს, თავგანწირულ მხედარს უკან რომ მისჩხავის... ამბობს კიდევ მუხრანმა: „ნეტა, ეს შავი ყორანი ტატოსია თუ პოსია“... ისე, იცოვო, ედგარ ალან პო დიდი პოეტი იყო, უკვდავი ლექსის „ყორანის“ ავტორი.

– ეს ბერბიჭა ვილაა, ბაბუ?

– ბერბიჭა ამ შავი ყორანის ერთგვარი დაკონკრეტებაა, ვაგლახ რომ, უკვდავი თანამდევნი ბოროტი სული იმ ხალხისა, თავისი სიმართლის მსახურებით ვინც მზისკენ აიჭრება... ბერბიჭაშვილი ხომ გახსოვს, ვინც ილიას მკერდში „ბურდანის“ ტყვია დაახალა – „ვხედავ საკუთარ წინაპრებს, დღედაღამ ფხიზლობს ბერბიჭა, კაცმა, ვინც იტყვის სიმართლეს, რომ არ გაჰქუსლოს მერნითა“.

– პოეტი, ბაბუ, ხო მუდამ თავის ხალხთან, თავის სამშობლოსთან უნდა იყოს და, რატომ წერს მუხრანი, ძლივს გამოვგლიჯე თავი ჩემს ქვეყანასო?

– იმიტომ, რომ საქართველო თავისი საცდურებით, დაუსრულებელი ღრეობით, ენის ქაქქასით, ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოებითა და ხორციელი სიამოვნების კულტით ოზობას ქსელად ექცა პოეტს, ცოდვათა მორევეში ითრევს მას და ცისკენ ანუ ღმერთისკენ არ ახედებს. ასეთ სამშობლოს ამ მორევეში არ უნდა ჩაეთრევიყო, თუმცა მას არც უნდა მოსწყდო, მიატოვო და გაექცე; ფასკუნჯზე ამხედრებული პოეტი არა მართო თვითონ აღწევს თავს სოფლის ამაობას, არამედ ამ ცოდვილ ქვეყანასაც მაღლა, უფლისკენ აიზიდავს, იქ აჰყავს, საითკენაც თავად მისწრაფვის.

– ბაბუ, ბაბუ, ამისენი ერთი, პოეტის მტერია თუ მოყვარე ფასკუნჯი? მუხრანი მას ხან ოხერსა და უგამჩნეოს უწოდებს,

ხანაც – მეგობრს: „– ხომ კარგად?! – მკითხა უეცრად, – ხმა მეცნაურა მეგობრის“.
– თითქოს ერთიკ არის და მეორეც... ფასკუნჯმა ღამის შეჭამოს პოეტი („მოზრდილი უკვე ჩახეთქა ჩემი ფასკუნჯმა ნაწილი“), მაგრამ, მეორე მხრივ, ფასკუნჯივე ეხმარება პოეტს, გათავისუფლდეს ცოდვილი ხორცისაგან და, ყოველგვარი ზედმეტობისგან განძარცული, წმინდა სულად წარუდგეს მზე-უფალს („ფასკუნჯი როცა შემომლდეს ჩემში რაცაა ზედმეტი“...); ასე რომ, ჩემი აზრით, მეგობარია, მეტსაც გეტყვი, იგი ერთგვარი ორეული მგონია პოეტისა: მუხრანი თავად არის ფასკუნჯი, რომელიც მკითხველს ზეცისკენ ეზიდება...

„ფასკუნჯი“ მუხრანმა 1986 წელს გამოაქვეყნა „ლიტერატურულ საქართველოში“. მაშინ იგი აღმანახ „საუფსკეს“ რედაქტორობდა, რომელიც ყურნალ „ცისკრის“ შენობაში იყო განთავსებული და მისი კაბინეტი ახალგაზრდა ლიტერატორებს ერთგვარ „ბირჟად“, თავშეყრის ადგილად გადაგვექცა.
„ფასკუნჯმა“ გამაოგნა:
– ეს რა დავაგინერია, მუხრანი!
– მოგვწონს? – ღმობით ჩამეკითხა.
– მომწონს რომელია – საუკუნის ლექსია, მეოცე საუკუნის „მერანი“... ილანდება კიდევ შენს „ფასკუნჯში“ „მერანი“... ღმერთმა დიდი დღე მოგცეს და, ამ „ფასკუნჯით“ შენ სიკვდილის უფლება მოიპოვე, მუხრანი!

„ვეროპულ სკოლაში“ შეხვედრამ დიდებულად ჩაიარა.
პოეტი ოჯახითურთ გვეწვია, გვერდს მუშადა უმძევინებდა, ღამადა ბოკერია. განსაკუთრებული წარმატება ნიკოლოზს ხვდა წილად – უზარმაზარი „ფასკუნჯი“ შეუცდომლად თქვა, უფრო მეტიც – გვავრძობინა. გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა ბავშვს მუხრანი.
მერე თავადაც ილაპარაკა – ღრმად, მოზომილად, ბრძნულად.
ლექსებიც წავიკითხა, უფრო ზუსტად – დააქუხა.
ბოლოს მადლობა გადაგიხადა და ასე დაასრულა:
– ეს ნიკოლოზი ვინ ყოფილა, კაცო, ასეთი არაფერი მინახავს... „ფასკუნჯი“ ჯერჯერობით დაუნახავი ლექსია; სირთულის, თუნდაც, სიდიდის გამო; საჯაროდ მას არ ვკითხულობ... ღამადას უყვარს „ფასკუნჯი“ განსაკუთრებით... თამაზსაც ნაყვარება, როგორც ახლა დადასტურდა; მოკლედ, ჩემო ნიკოლოზ, მსოფლიოში ოთხი ადამიანი ვართ, „ფასკუნჯი“ რომ ზეპირად ვიცით: მე, ღამადა ბოკერია, ბაბუაშენი და შენ!

ორი თვის შემდეგ კი...
შინა ვარ, საღამოა, კაბინეტში ვმუშაობ, ოჯახი ტელევიზორს შემოსხდომია.
– ბაბუ, ბაბუ, – განწიურული ყვირით კარი შემომიგლიჯა ნიკოლოზმა, – მუხრანი ამოქცა, სცენაზე წაიქცა...
– რას ნიშნავს, ბიჭო!
– ვაიმე, დაეცა, ბაბუ, სიტყვა ვეღარ დაამთავრა, „საქართველო“ თქვა და დაეცა. ტელევიზორს მივვარდი. პოეტი სცენიდან გაჰქონდათ...

ნიკოლოზი შეცდა, პოეტი არ დაცემულა – მუხრან-ფასკუნჯი ცად აიწია და მზეს წარუდგა:

**... მზის წინ როდესაც წავედები
ნატამალია მე ჩემი,
ცათა საცერში გაცრილი, –
მე, – ჩემი მცირე ნაწილი;
(ფასკუნჯი როცა შემომლდეს,
ჩემში რაცაა ზედმეტი), –
მე (ჩემთვის უკვე უჩინარს)
მზე მეტყვის, ვიცი, მზე მეტყვის:
– კაცო, ვინა ხარ?! აღარ ხარ! –
ხარ კაცის მეთასელი! –
რა გზები გამოიარე,
შე უბედურო, ასეთი?!**

თამაზ კვაჭანტირაძე
2.04. 2014 წ.

სუთიდან შვიდამდე ჩვენი სასტუმრო „Hôtel Danton“¹ ლამის ცადა აეტანა სიყვარულის ვენებიან კვნესას – ჩანდა, ნომრებში ამ საქმის დიდოსტატები რომ იღვწოდნენ. ამან, ცოცხალი არ იყოს, განმაცვიფრა, ვინაიდან საფრანგეთში ჩასვლისას მეგონა, რომ ეს ერი მუხლებში მოისუსტებდა. ჩვენთან ქალებს, რაც მართალი მართალია, ასე ვერ ახურებენ. უან ბიენალმა, ჩემმა კარის მეზობელმა, ერთხელ მითხრა:

– Mon vieux, ათასწლიანი ისტორიით ჩვენ შევქმენით ქალი, სადილი და ნიგნი; ამათში ნურავინ შეგვეცვლია...

ნანაკითხ ნიგნებსა და ნანახ ქალაქებზე მეტად საფრანგეთი უან ბიენალმა შემაცნობინა – ნახმარი ავტომობილებით მოვაჭრემ. გაცნობისთანავე გამოვიკითხა, სად ვსადილობდი, სად ვვახშობდი, რომელ საროსკიპოში დავდიოდი. ჩემმა პასუხმა კაცი პირდაპირ შეზარა:

– On va rafaire votre vie?...²

ასეც მოვიქცით. სადილად გადავიწვით ღვინითა და რქოსანი საქონლით მოვაჭრეთა დუქანში – Halles aux vins-ის³ პირდაპირ. ფლოსტებში ფეხნაკრულ სოფლელ ცუგრუმელებს მოჰქონდათ წითელ სანებელში ჩანსობილი კობორჩხალები, ნივრითა და ქამა სოკოთი შექმავალი შემწვარი კურდღლები და ისეთი ღვინო, სხვაგან რომ ვერ დალევდი. ბიენალი უკვეთდა, მე ვიხიდი, მაგრამ ვიხიდი იმდენს, რამდენსაც ფრანგები. იაფი არ მიჯდებოდა, მაგრამ ფასი კი ნაღდი იყო.

ამდენივე მეზარავებოდა სენტ-ლარის მახლობლად მდებარე საროსკიპოში. ბიენალს ამ დანესებულების მკვიდრთათვის ჩემი წარდგენა უფრო გაუჭირდა, ვიდრე პარლამენტის სხდომაზე რომ მეთხოვა დასწრება იმ დროს, როცა სამინისტრო ემხოზა. შებინდებულს Porte Maillot-ზე კაფეში ვვახშობდით, სადაც ავტომობილები და მოკრივეთა მენეჯერები იკრიბებოდნენ. ჩემი მოძღვარი ერის იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელიც ავტომობილებით ვაჭრობს – სხვა ნაწილი ამ მანქანებს იცვლის. იგი „რენოს“ აგენტი იყო და საქმე ძრითადად რუმინელ საქმოსნებთან ეჭირა, საქმოსნთაგან ყველაზე ბინძურ ხალხთან. მოცილობის უამს ბიენალი მიხსნიდა ნახმარი მანქანების შესყიდვის ხელოვნებას. ამისთვის, მეუბნებოდა, რივიერაში უნდა ჩახვიდე სეზონის ბოლოს, როცა ინგლისელებს ეზარებათ ორი-სამი თვის ნახმარი მანქანების უკან ნაყვანა. თავად ბიენალი საღებავდამსკდარ „რენოზე“⁴ იჯდა, რომელსაც ისე მართავდა, როგორც სამოედო – ძალღების მარხილს. კვირაობით ამ ჯართით ას ოც კილომეტრზე მივჯაყყაყებდით რუანში, საკუთარ სისხლში მოთუშული იხვის საქმელად. ჟერმენიც თან გვახლდა ხოლმე, ხელთათმანების გამყიდველი Rue Royale-ზე⁵ მოვაჭრე მალაზიიდან. ბიენალმა მას ოთხშაბათი და კვირა დაუნიშნა. ხუთზე მოდიოდა. მოსვლისთანავე ერთმანეთს რალაცას ნაუპუტუნებდნენ, შემდეგ მესმოდა დაცემულ სხეულთა ბაგუნები, დაბნედილი წამოწივლები, ბოლოს კი იწყებოდა ქალის ნაზი აგონია:

– Oh, Jean⁶...

ჩემთვის ვანგარიშობდი ხოლმე: აი, შემოვიდა ჟერმენი, კარი მოიხურა, ერთმანეთს აკოცეს, ქალიშვილმა ქუდი, ხელთათმანები მაგიდაზე დააწყო და, ჩემი გამოთვლით, მეტი დროც აღარაფერზე რჩებოდათ, გახდასაც ვერ ასწრებდნენ, ხმამაშობილად პირდაპირ ქვეშაველებში გადაეშვებოდნენ კურდღლებით. გმინვას რომ მორჩებოდნენ, მერე სიცილით იგუდებოდნენ. მე ყველაფერი ხუთი თითით ვიცნობდი – ერთმანეთისგან მხოლოდ თხელი ტიხარი გვყოფდა. დაჩურჩულებაც მესმოდა: გავიგე ჟერმენი და მალაზიის მფლობელი ანრიში ხშირად რომ კინკლაობდნენ; ქალის მშობლები ტურში რომ

ცხოვრობდნენ და ჟერმენი დროდადრო მოინახულებდა ხოლმე მათ; ერთ-ერთ შაბათ დღეს რომ მან ბენვის მოსაცემელი იყიდა, მეორე შაბათს კი გრანდპერაში „ბოჰემას“⁷ მოუსმინა. მოსიე ანრიში თავის გამყიდველებს აიძულებდა სადა კოსტიუმში – tailleur⁸ ეტარებინათ. მოსიე ანრიშმა გაგვიინგლისელა ჟერმენი – უმკერდო, მოძრავ და თმააბულულებულ საქმიან ქალად გვიქცია, მაგრამ სავსე წვივები, გულიანი ტკრციალი, წყლიანი თვალების დაკვირვებულ მზერა და, რაც მთავარია,

ტერასაზე ვისხედით, თეთრი საჩრდილობის ქვეშ. ელექტრონათურებით გაჩახახახებულ ტროტუარზე ბრბო მიედინებოდა. ჩვენ წინ ასფალტს ნაღმივით განელილი მანქანა დააკვდა. იქიდან ინგლისელი და სიასამურის მოსასხამიანი დიაცი გადმოვიდნენ. სუნამოებისა და ბენვის ზვირთებში ჩვენც მოცურავდა ქალის უჩვეულოდ გრძელი სხეული და მომცრო, ფაიფურისებრ კრიალა თავი. მის დანახვაზე ბიენალი წინ გადაიხარა, ფეხი აათამაშა და თვალი ისე ჩაუკრა, როგორც Rue de



*ნიკა
ცხელი*

ქუჩიდან საყვირის ხმა გაისმა. მარჯვენა ხელებმა მოკლული დაბლა ჩამოარბენინეს და საავადმყოფოს კარებამი შედეს. იგი ახლა ნომრად იქცა – საცოდავი ბიენალი – და მისი სახელი პარიზის მიქცევაში ჩაინთქა. ფანჯარას მიმდგარმა სინიორა როკამ გვამს მზერა გააყოლა. იგი ფეხმძიმედ იყო, მუცელს ძლევადად გამოეწვინა სხეული; დატალულ, შემუშვებულ მის პირისახეს და ყვითელ თმას მზემ გადაუარა.

– Dio, – წარმოთქვა სინიორა როკამ, – tu non perdoni quelli, chi non ama...¹⁵

გაცრეცილ ლათინურ კვარტალს თავს ღამე წამომეზო; ტანმოკლე ბრბო მიმოიფანტა, სახლებიდან ნივრის ოხშივარამ ამოხეთქა. სიბნელემ შთანთქმა მადამ ტრიუფოს სახლის გოთური ფასადი ორი სარკმელთან და სურთით დაფარული ნაკომკარით.

საუკუნენახვერის წინ აქ დანტონი ცხოვრობდა. თავისი ფანჯრიდან იგი უმზერდა კონსიერჟერის ციხეს, სენაზე მსუბუქად გადატყორცნილ ხიდებს, მდინარეს მიჯარულ უჩინარ შენობებს და ამავე სურენლს ისუნთქავდა.

ქარი უბერავდა; კვნესოდა ჩაობებული ძელები და ალაყაფის მოლაყაყებული ბჭეები.

თარგმნი
თამაზ კვაჭანტირაძე

ქალის ქურა

გონდაკარგული გმინვა – oh, Jean! – ეს ყველაფერი ბიენალისათვის ქალმა მანც შეინარჩუნა.

პარიზული დაისის ნაზ ბურუსსა და ოქროში ნებივრად მიცურავდა ჩვენ წინ ჟერმენის თხელი, მკვირვად ასხმული სხეული. ქალი სიცილის დროს ყელს გადაიგდებდა ხოლმე და ვარდისფერ, მარჯვე თითებს მკერდზე იხუტებდა. არსად არაა მარტოობა ისე გაძალღებული, როგორც პარიზში...

ეს ქალაქი მარტოობით ჯვარცმავა უცხოელთათვის.

ჟერმენი ბიენალზე მეტად ჩვენ გვჭირდება-მეთქი, გამიელვებდა ხოლმე თავში. ამასობაში მარსელში გავემგზავრე. თვის თავზე პარიზში დავებრუნდი. ველოდებოდი ოთხშაბათს, რათა ჟერმენის ხმა მომესმინა.

ოთხშაბათს კედლის მიღმა სიჩუმე სუფევდა. ბიენალს დღე შეუცვლია. ქალის ხმა მხოლოდ ხუთშაბათს გაისმა, ზუსტად ხუთზე. ამჯერად ბიენალმა გახდა აცალა თავის სტუმარს. ჟერმენს თურმე ხმავე შესცვლოდა, ეს უკვე აღარ იყო სახსრებიდან გამოტანილი ვედრება oh, Jean... და მას მოდვენებული დუმილი, მტანჯველი დუმილი სხვისი ბედნიერებისა. ეს ყველაფერი შეცვალა შინაურულმა ბლარძუნმა, ხრინინა წამოვიკვლევა. დევანში ჩახლენილი შეცვლილი ჟერმენი კბილებს აკრაჭუნებდა და მსუყე, განელილ ბგერებს გამოსცემდა.

ქალს მოსიე ანრიშზეც აღარ უჭირავია, შეიდ საათამდე იბუყებუყა და ნასავლელადაც გაემზადა. მის დასანახად კარი გამოვლირე – დერეფანში მულატი ქალი მოძაგუნობდა ცხენის კუდივით გამოფსკენილი თმითა და დიდრონი ძუძუების ქიან-ქიანით.

ბიენალს დავეუკაკუნე; მოთელილი და ფერდაკარგული – უშიჯაკოდ მიგდებუილიყო სანოლზე გამოხუნებული წინდები.

– Mon vieux, ჟერმენი დაითხოვეთ?

– Cette femme est folle,⁷ – მიპასუხა და ტანში გაჰბურძღლა, – მაგას ფეხებზე ჰკიდა, ზამთარია თუ ზაფხული, დილაა თუ საღამო; მადმუაზელ ჟერმენს ძალიან არ ენადვლება, გიჭირს თუ გილხინს, მოგაჯდება და უნდა აჭენაო... სანამდე, ეგ მარტო მადმუაზელ ჟერმენმა იცის...

ბიენალი სანოლზე წამოჯდა, შარვლის ტოტებში განლობილი წვივები ულაყაყებდა, ოფლისაგან გაზინთულ მის თმში სინათლე ატანდა, ნერვიულად უთრთოდა სამკუთხა უღვაშები. ოთხფრანკიანმა მაკონმა მეგობარი ოდნავ გამომიკეთა, დესერტის შემდეგ მან მხრები აიჩქრა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– რა მესიყვარულება, როცა ამქვეყნად არიან რუმინელები, თამასუქები, გაკოტრება, რესორმოტგერული მანქანები. Oh, j'en ai plein le dos⁸...

ერთმა თლაშო კონიაკმა კაფე „დე პარიში“ იგი უკვე ხასიათზე მოიყვანა.

la Gaite⁹-ელ კახპას... ქალმა ჩაიღიმილა, ვარდისფერი თავი ოდნავ დახარა და გველური ტანის გლარზვნით გაუჩინარდა კარებში. მას ლინინ-ლინინით მიჰყვა გამტრეკინებული ინგლისელი.

– Ah, canaille!¹⁰ – აღმოხდა ბიენალს, – ორი წლის წინ ჭიქა აპერიტივზეც კისრულობდა...

ერთმანეთს გვიან დავშორდით. ჩავითქვი, შაბათს ჟერმენს გავუვლი და, თუ ყაბულს იქნება, თეატრში წავიყვან, შარტრშიც გავიყვინებო-მეთქი.

მაგრამ მათი ნახვა – ბიენალისა და მისი სატრფოსი – თურმე უფრო ადრე მეწერა. მეორე დღეს, მწუხრის უამს, ოტელ „დანტონის“¹¹ ვესტიბიულში ლურჯად აფრიალდნენ პოლიციელთა მოსასხამები. როცა დარწმუნდნენ, რომ მე მადამ ტრიუფოს მდგმური ვიყავი, გამატარეს. ჩემს ოთახთან უანდარმები დამიხვდნენ. ბიენალის ნომერი გაელთ. იგი სისხლის ტბაში იწვა, ნახევრად ღია, ამღვრულ თვალებში ქუჩური სიკვდილის ნიშანი ჩაჰყინოდა. მისთვის ყელი გამოეჭრათ – საცოდავი ბიენალისათვის – და ოსტატურადაც გამოეჭრათ. Tailleur-ის კოსტიუმში გამონყობილი ჟერმენი მაგიდას უჯდა. თავის დაკვრით მომესალმა.

ეს მოხდა საღამოს ექვსზე, სიყვარულის საათზე – ყველას ჰყავდა ოთახში ქალი. ნახევრად შიშვლები, პაყებივით ბარდაყებამდე ასკვანჩულ წინდებში – ისინი წასვლამდე ნაჩქარევად იბუდრებოდნენ სარკის წინ. კარი ყველას გამოედო, ნაღებზე ზონრებ-მესხნილი კაცები დერეფანში ჩანკაპულიყვნენ. სახემიძქნარი იტალიელი ველოსიპედისტის ოთახში ბალიშებში ჩამხოხილი ქვითინებდა ფეხშიშველა გოგო. დაბლა ჩავედი მადამ ტრიუფოს გასაფრთხილებლად: ამ ბავშვის დედა სან-მიშელის ქუჩაზე გახეთქსა ჰყიდდა. დიასახლისთან დანტეს ქუჩის მთელი საქალეთი შეყრილიყო. აქ იყვნენ მემწვანილები და კონსიერჟები, ნაბლითა და შემწვარი კარტოფილით მოვაჭრენი, ჩიყვიანი, გადანდალებული ხორცის გროვები, ბალნიანი, ქლოშინა, თვალდაღობიებული დედაკაცები.

– Voila qui n'est pas gai, – ვთქვი შესვლისას, – quel malheur!¹¹

– C'est l'amour monsieur... Elle l'aimait!¹²...

მადამ ტრიუფოს ლილისფერი ძუძუები ებერებოდა, სპილოს ფეხები გაეზაჯიჯგებინა, თვალები უელავდა.

– L'amore, – გამიერა სინიორა როკამაც, რესტორნის მფლობელმა დანტეს ქუჩაზე. – Dio cortiga quelli, chi non conoseono l'amore!¹³

დედაკაცები შექუჩდნენ და ატატყანდნენ; ღანვები ციებ-ცხელებიანებით წამოენთოთ, თვალები ლამის ბუდიდან გადმოსცვენოდათ.

– L'amor, – გამიერა მადამ ტრიუფომ და ზედ მომადა, – c'est une grosse affaire l'amour!¹⁴...

¹ სასტუმრო დანტონი (ფრანგ.).

² უნდა შევცვალოთ თქვენი ცხოვრება... (ფრანგ.)

³ ღვინის ბაზარი (ფრანგ.).

⁴ მეფის ქუჩა (ფრანგ.).

⁵ ო, უან... (ფრანგ.).

⁶ ქალის ინგლისური კოსტიუმი (ფრანგ.).

⁷ ეგ ქალი ნაკრავია (ფრანგ.).

⁸ ისედაც არ მაკლია თავსამტრევეცი (ფრანგ.).

⁹ დროსტარების ქუჩა (ფრანგ.).

¹⁰ ეშმაკმა დალახვროს (ფრანგ.).

¹¹ აი, ვინ არის ახლა ცოდვა! ეს რა უბედურებაა! (ფრანგ.).

¹² სიყვარულია ეს, ბატონო... ქალს უყვარდა იგი... (ფრანგ.).

¹³ სიყვარული... უფალი მიაგებს მას, ვინც სიყვარული არ იცის (იტალ)..

¹⁴ სიყვარული... სიყვარული, ეს დიდი რამეა... (ფრანგ.).

¹⁵ უფალო, შენ არ მიუტევენ მას, ვინაც სიყვარული არ იცის (იტალ.).



ფოთი, ჩემი კობცა ფოთი,
 ზღვის ნაპირას გაშლილი,
 დგას ლომივით შემართული,
 ჯიქურ ფაფარაშლილი.
 დიდი ნიკო ნიკოლაძის
 ნიჭით შუქდაფერილი,
 მზის გულივით სხივნათელი,
 მზისებრ სხივგანფენილი.
 მოშრიალე ზღვის ტალღები
 ნაპირს ლოკავს ალერსით,
 მსურს, ჩემს ქალაქს მოვეფერო
 მგრძნობიარე ამ ლექსით.
 კვლავ ელვარებს ფოთის თავზე
 ცისარტყელას ფერები,
 მონატრებულ შვილის გრძნობით
 ჩემს ფოთს მოვეფერები.
 სიყვარულით მოვიკითხავ
 ერთი ნაფოთელარი,
 კალმის წვერზე მიზის სიტყვა,
 გულში დაუტევარი.
 მოლივლივე ზღვის ტალღები
 ნაპირს კვლავაც აწყდება,
 წარსულს ვერვინ დაიბრუნებს,
 გული ნურვის დაწყდება.
 თეატრის წინ შუქგახვეულ
 მოედანზე დავდივარ...
 ეჰ, რას ვიზამ, იმ წარსულის
 შორეული ლანდი ვარ.
 გული მტკივა, უთეატროდ
 რომ დატოვებს ქალაქი,
 ლექსისა და ყრმობის ბუდე,
 ჩემი წმინდა ალაგი.
 ტრფიალი ვარ ჩემი ფოთის,
 ფოთში ვარ თუ თბილისში,
 მე აქ ყოფნა მიხარია
 მაის-ივნის-ივლისში.
 ყოველ ხეს და ბუჩქს და ქუჩას
 სიყვარულით ვაღმერთებ,
 გარდასულ და დღევანდელ დღეს
 ოქროს ძაფით ვაერთებ.

დროს და ხანას ნაუღია
 სიყმანვილის სურნელი,
 ფოთი მზეში სულ ბრწყინავდეს,
 ვარ ამისი მსურველი.
 აქ ფოთური სიყვარულით
 გული ლაღად ერთობა,
 სულ სხვა არის ფოთელების
 ძმური ურთიერთობა.
 თხილის გული ცხრა ფოთელმა
 კიდეც ცხრასაც აკმარა,
 გული, გრძნობა, სიყვარული
 წყაროსავით ანკარა.
 ზეცას სხივი შეადნება
 მთვარისა და მზის ფერი,
 ზღვას შავი ზღვა ვინ დაარქვა,
 როცა არის ცისფერი.
 დრო გადის და, თვალწინ მიდგას,
 ზღვისპირული რიჟრაჟი,
 ღრუბლებს ზემოთ დაცურავდი,
 თვალს მტაცებდა მირაჟი.
 იმ ნაზ კოლხურ სადამოებს
 რა დრო ნაშლის, რა ხანა,
 გულის სწორმა გულის სწორთან
 მორცხვად თავი დახარა.
 აქ შევტრფოდი ჩემს სიყვარულს,
 ოცნებების გაზაფხულს,
 ტოლ-სწორები გულს მიშლიდნენ,
 ვერ მნახავდით დაზაფრულს.
 ცა ოქროსფრად აციავდა,
 ფოთი თვალს ემზიანა,
 იმ განუცდელ პირველ გრძნობას
 გული აქ ეზიარა.
 რა დღე იყო, სიყვარული
 შუქივით რომ მოვარდა,
 გზა, ბნელი და ეკლიანი,
 განათდა და მოვარდდა.
 ცა რომ იყო ღრუბლიანი,
 უცბად გამოლაჟვარდა,
 თვალს რომ ვერ გავესწორე,
 ალისფერი ამვარდა.

გულს მოედო უფლის მაღლი,
 დარდი სულ გადამვარდა.
 მთლად ქვეყანა ჩემი იყო,
 როცა იგი მიყვარდა.
 ცად ავმალდი, დედამინა
 უცბად დაპატარავდა...
 გავქედმალდი, გავდიდგულდი,
 არვის ვცნობდი მის გარდა...
 ახლა თითქმის აღარც მახსოვს,
 როდის გადამიყვარდა.

ჩოქაზ ხსრციშვილი

ხშირად ვსტუმრობ ჩემს უბანში
 უძვირფასეს დაიკოს,
 რა სიბერემ უნდა მძლიოს
 სიყვარულმა დაიკლოს.
 „წამოწევი, დაისვენე,“
 ჩამჩინებს დაია,
 მე კი ჩემი უბნის ქუჩებს
 სულ ფეხდაფეხ დავიარ.
 მივაშურებ მალთაყვას და,
 გამიტაცებს ფიქრები,
 სიყმანვილის წლებთან ვარ და
 კვლავ იმ წლებთან ვიქნები.
 ზღვის ტალღებში შევცურავ და
 გავგრილდები წამიერ,
 მივატოვებ თბილის-ქალაქს,
 აქ დავრჩები ამიერ.
 დავსახლდები მამისეულ
 ნაფუძარზე ხვალისად,
 თავს გავიტან ცივი მჭადით,
 ლობიოთი და ფხალითა.
 ხელს წამიკრავს მეზობლები,
 საბოსტნესაც დავბარავ,
 ხეხილს ჩავყრი, გავლაღდები,
 სიხარულს ვერ დავფარავ.
 ყვავილებით დავამშვენებ
 ჩემს პატარა ეზოსა,
 ბავშვურ სახელს დავიბრუნებ,
 როს მეძახდნენ რეზოსა.
 კარ-მიდამოს გამიცოცხლებს
 ძალი, ჩუმიდ მყეფარი,
 ვიხალისებ ჩემი ხელით
 დაჭერილი კეფალით.
 უბნელები შევგროვდებით,
 ჩავცვივდებით რა დღეში,
 ბურთს გავიგდებთ, მესხის ფინტი
 გავხვევთ კარის ბადეში.
 სრულიადაც არ შეგვრცხვება
 სიბერის და ჭალარის,
 ბევრსაც წელი გვტკივა, მაგრამ
 გახსენებაც აღარ ღირს.

კაპარჭინის პირას, მახსოვს,
 ხელთ მეჭირა ანკესი,
 რამდენი რამ მტკივა, მაგრამ
 მტრის ჯინაზე არ ვკენესი.
 დრო-ჟამს წლები მიაქვს-მოაქვს,
 მე მივტირი წინა დროს,
 ჩხარტიშვილთა ნაფუძარზე
 დღეს სხვა გვარი ბინადრობს.
 ახლა ისევ ფოთში ვარ და,
 თვალს გარშემო ვაცეცებ,
 ვარდნაყარი სიყმანვილის
 ნაკვალევს აქ დავეძებ...
 ჰაუ, მართლა, რა დრო იყო,
 რა სიცოცხლის ხალისი,
 თვალში მენტო გაზაფხული,
 აპრილი და მაისი.
 ცაში ვარსკვლავს შევხაროდი,
 ძირს მეფინა ვარდები,
 მთლად ქვეყანა ჩემი იყო,
 არრის მქონდა დარდები.
 გადავშალე ჩემი ყოფის
 არაერთი ფურცელი,
 მაგრამ მაინც ისევ ის ვარ,
 დღემდე ფერშეუცვლელი.
 ახლა, როცა დილა მოდის,
 გულის თრთოლვით ვწერ ამ ლექსს,
 ღამის ბინდი ფარავს თბილისს,
 შემოჯარულ მწვერვალებს.
 ყმანვილივით მატკობს ფოთი,
 მაამებს და მალალებს,
 მზად ვარ, წლები დავივინყო,
 გადავიდე მალაყებს.
 მოშრიალე ზღვის ტალღები
 ნაპირს ლოკავს ალერსით...
 ფოთელებო, თბილისიდან
 მოგიკითხავთ ამ ლექსით.


„ფოთი, ჩემი კონცა ფოთი“

(ფრაგმენტები პოემიდან)

მე დღეს ფოთში ვერავინ მცნობს,
 ველარც მე ვცნობ ვერავის,
 გზას მივყვები და მომყვება
 ჩუმი თვალი მზვერავის.
 რა ხანია, თავს ვგრძნობ უცხოდ,
 თითქოს ფოთი სხვა არი,
 თუმცა რიონი ისევ ერთვის
 ნაპირს, სადაც ზღვა არი.
 პალიასტომს ქარი ისევ
 უცბად აქცევს ზვირთებად,
 ტალღებს მივყვე ჭაბუკურად,
 ნულარ გაგიკვირდებათ.
 გული ისევ ისე მერჩის,
 როგორც ყმანვილობისას,
 თავს რომ ფოთში დავიგულე,
 ვგრძნობ ძალ-ღონეს ლომისას.
 მერცხალი კვლავ დაიბუდებს
 ბუდეშობილ ერდოზე,
 ნეტავ იმ დროს, როცა გულში
 სიჭაბუკის მენტო მზე.
 რა ძალა აქვს ფაზის-ქალაქს,
 რა ჯადო და თილისმა,
 სიძველით და ისტორიით
 ვერ აჯობა თბილისმა.
 სულ სხვა არის ჩემი ფოთი,
 ზღვის ნაპირას გაშლილი,
 დედასავით დავამშვიდებს,
 გნახოს ნერვებაშლილი.
 დილით მზეა, შუადღით კი
 მოქუფრული ცა მოვა,
 ელვა გაჰკრავს, გადიქუხებს,
 უცბად თქემი წამოვა.
 გადიკარებს, მერე ისევ
 მზე თვალს გამოაბრწყინებს,
 მზიანსა და წვიმიან დღეს
 ერთმანეთთან აწყვილებს.
 ზღვიდან დაჰქრის წელი სიო,
 ხან წვიმა და ხან მზეა,
 მისთა შვილთა საამაყოდ
 ფოთი წინა ხაზზეა.

სხვანაირი იყო ყოფა,
 სხვა ძმობა და იმედი,
 მტრობასა და შურს და ღალატს
 გულში ვერც ვაივლებდი.
 დარი იდგა გაზაფხულის,
 ცას ნათელი ცვიოდა,
 აცხუნებდა მზის სხივები,
 აღარავის ცვიოდა.
 მთვარეს – გოგო, გოგოს – ბიჭი
 ღამეს ცრემლით უთევდა,
 პირველ ტრფობით ანთებული
 უფალს სანთელს უნთებდა.

წრიული უსტაქაპა მსხეთაში



ქართველთა ცალკეულ ტომთა და-სახლებული ადგილები, რასაკვირველია, ქვეყნის ძველი დედაქალაქის - მცხეთის გაჩენამდე ბევრად უფრო ადრე არსებობდა. რად ღირს თუნდაც კლდეში ნაკვეთი უფლისციხის მოხსენიება, რომლის ისტორია, მეცნიერების აზრით, 25 საუკუნეზე ითვლის ვარძიის შექმნამდე.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ უფლისციხე ამგვარად არის ნახსენები: „... კასპის დასავლეთ მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე... აშურიანს ზეით არს უფლისციხე, კვერნაქის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკვრის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე; ან არს შემუსვრილი. არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისაგანვე; გვირაბი ჩახვერეთით ჩაკაფული მტკვრამდე, დიდი. დასავლეთ აქუს ქარაფი მალალი, და მას შინა გამოკვეთილნი ქვანი მრავალ-დიდნი, არამედ ან შეუვალ არს. აქა არს ბუზნი. გამოსული იხილვების სპალაშქარნი შუბოსან-მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშქრებულნი, ნიშნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს. ამის დასავლეთ არს ქალაქი გორი“.

ეს და მრავალი სხვა მაგალითი მოწმობს ჩვენს სამომბოლოო ცალკეულ ქართველ ტომთა სადგომების არსებობას, ხოლო მცხეთა და მისი შემადგენელი მიმდებარე სხვადასხვა ნაწილები არის იმ პირველი გამაერთიანებელი ეროვნული ქალაქის კონკლომერატი, სადაც მოხდა ამ ტომთა სახელმწიფოებრივ საწყისებზე დაფუძნება და, რაც მთავარია, ყოველი მათგანის ცხოვრებაში ერთი ქართული ენის გაბატონება.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი დადასტურებულია სხვადასხვა დროს აქ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი ფაქტობრივი მასალით, რომელთა მეშვეობით ჩვენ გვექმნება ძველი დედაქალაქის წარმომავლობის და თავისუფალი სახელმწიფოს მმართველი ცენტრის ფუნქციების შემკრებ პირველსაწყისების სრული სახე.

საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციის დროს 1867 წელს არქეოლოგების ყურადღება მიიპყრო მტკვრის

მარჯვენა სანაპიროზე, მცხეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით აღმოჩენილია ბერძნული წარწერის მქონე ჩვენი წელთაღრიცხვის 75 წლის სტელამ, რომელიც იუნყებოდა ქალაქის გალავნის გამაგრების შესახებ.

ასევე, 1926 ზაპისის მშენებლობის დროს აგებული ახალი ხიდის აღმოსავლეთით არსებობს წყლის ფენით დაფარული ძველი ხიდის ნარჩენები. მის გაფართობას და გამაგრებას უკავშირებენ ვახტანგ გორგასლის სახელს ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნის მეორე ნახევარში. ისტორიული უკუღმართობის გამო ამ ხიდს ხანდახან „პომპეუსის ხიდს“ უწოდებენ. ეს გაუგებრობა მომდინარეობს ანტიკური მწერლების მცდარი ცნობიდან, რომლის მიხედვითაც ვითომდა პომპეუსის მხრიდან შესაძლო იერიშის აცილების მიზნით, იბერთა მეფე არტაგი გადავიდა აქ არსებულ ხიდზე და დანვა იგი, რითიც გარკვეული დროით შეაჩერა მონინალმდევე.

მესამე საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. (თარიღი 326 წლიდან 337 წლებს შორის მერყეობს), ხოლო დაახლოებით ორას ოთხმოცი წლის შემდეგ მცხეთის უმშვენიერეს ფერდობზე, მტკვრისა და არაგვის შესართავის მარცხენა მხარეს აღიმართა ამ მოვლენის აღმნიშვნელი ნაგებობა - მცხეთის ჯვარი. მისი მშენებლობა 586 წელს დაიწყო და დაახლოებით 20 წელიწადს გრძელდებოდა, (მშენებლობის დასრულების თარიღი სხვადასხვა ავტორთან 604 - დან 609 წლებით არის აღნიშნული).

ქალაქ მცხეთის სამი შემადგენელი ნაწილის არსისა და შიდა ფუნქციური დატვირთვის შეჯამებულად განხილვის შედეგად გამიჩნდა კითხვა: როგორი ფუნქციური დანიშნულების არქიტექტურული ნაგებობა შედებდა, შეეთავსებინა თავისი გამაერთიანებელი მნიშვნელობა და ამით მოუყრიდა თავს ამ ყოველივე ქალაქის ერთ, თანამედროვე ქალაქდამფუძნებელ რგოლში? ასეთ ნაგებობათა ანსამბლად მივიჩნიე „ორი ხიდისა და ერთი სატრანსპორტო კვანძის“ ერთ წრიულ ბაზისზე დაფუძნებული სამოძრაო სისტემა, მაგრამ ამ უკანასკნელთა

დეტალურ განხილვამდე, მართებულად მიმაჩნია, აღწერო ის სამოქმედო ბადე, რომელიც მე დაგამუშავე.


როგორც ცნობილია, ჯვარცმის შემდეგ ქრისტეს კვართი საქართველოში ჩამოიტანეს და დაფლულია სვეტიცხოვლის საძირკველში ელიოზსა და სიდონიასთან ერთად. ამიტომ ჩემს მიერ დაგამუშავებული წინამდებარე პროექტის აგებულება სწორედ ჯვარცმის თემატიკიდან გამომდინარეობს: არაგვის მარცხენა მხარეს მდებარე ჯვრის მონასტრის კენ მიმართული ჰორიზონტალურ სიბრტყეში დაგეგმილი ორი ხიდი დაფუძნებულია ლათინური „თ“ - ტაუ ფორმის საყრდენებზე, რაც გოლგოთაზე მიმავალი გზის გამომსახველია. არმაზ-ბაგინეთის მთის პლატოსკენ აღმამსვლელი ორსართულიანი ხიდი კი ჯვარცმისას ქრისტეს შეწყვილებული ტერფების ქვედა, წარმომავლობით ისტორიის საფუძვლისკენ მიანიშნებს. საკუთრივ ცენტრალური, ასე ვთქვათ, განმანაწილებელი ესტაკადის მდებარეობა ანტიოქიის კონცხზე სწორედ ახლისა და ძველის გზაგასაყარზე მდებარე რელიგიურ ტოპონიმიკას ასახავს.

საწყის სამ ამოსავალ ნერტილად არის აღებული A - ჯვარი, B - ბაგინეთის მთის მწვერვალი და C - დედათა მონასტერი. ამ სამი ნერტილის შეერთების ნიადაგზე ჩვენ ვიღებთ სწორგვერდებთან სამკუთხედს: AB = AC. B ნერტილიდან AC ხაზზე დაშვებული სიმაღლე BE, C ნერტილიდან AB ხაზზე დაშვებული მედია CA და A ნერტილიდან AC ხაზთან მიმართებაში 30 გრადუსით გავლებული ხაზი ერთ ნერტილში კვეთს სვეტიცხოვლის ლერძს D. იმავე სიმაღლის პარალელურ ხაზზე MN ძვეს ანტიოქიის VI საუკუნის სამლოცველო და არმაზ-ბაგინეთში ნაპოვნი სამეფო დარბაზი. მონაკვეთები AD = BC თანატოლებია. თავად მონაკვეთი AD შემდეგ ნაწილებად იყოფა: AN = 3DN. არის აგრეთვე ოქროს კვეთის თანაფარდობაც: $(BD + 0,382BD) = AD$.

ჩემს მიერ დამუშავებული ესტაკადათა სისტემის ცენტრალურ ნერტილად აღებულია მედია CF-ის პარალელური ხაზის EO-სა და AD ხაზის საპირნონედ AC ხაზთან მიმართებაში 30 გრადუსით გავლებული ხაზის გადაკვეთა AO. O ნერტილიდან 239-251-263 მეტრის რადიუსით არის გავლებული ნახევარწრე, რომლის საფუძველზეც უნდა გაკეთდეს ორმომართულიანი ორი გამტარი ხაზის მქონე ერთი ერთ სიბრტყეში და ერთი ორსართულიანი ხიდი, რომლებიც შეაერთებენ არაგვის მარცხენა, მტკვრის მარჯვენა და მცხეთის ცენტრალური დასახლებული კონცხის სამ ნაპირს. მათ შორის შემართებული და მიმართულებათა დამარგვულირებული ესტაკადების სისტემა, ქმნის რა თავისთავად მოცულობაში ასონიშან „O“ ფორმას, გარს უვლის მცხეთის უძველეს სალოცავს და საკულტო სახელწოდების ადგილმდებარეობაზე „ანტიოქია“ ერთ სისტემაში კრავს მოცემულ სატრანსპორტო მიმართულებებს. ორსართულიანი ხიდის მეორე, მზარდი სპირალის რგოლების მიმართულებით აღმავალი გზის სხივი მცხეთის ცენტრალურ ნაწილს აერთებს საკუთრივ არმაზ-ბაგინეთის ზედა პლატოფორმას, რითიც, ერთი მხრივ, ათავისუფლებს სამოძრაო მიწის დონეზე არსებულ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ მაგისტრალს; მეორე მხრივ კი, პირდაპირ აერთებს უშუალოდ მცხეთის ცენტრალურ ნაწილს უძველეს არმაზ-ბაგინეთის პლატოსთან. ორსართულიანი ხიდის მზიდი სპირალისებრი კონსტრუქცია „O“ - ნულის შუაზე გაკვეთილი ფორმით არის აგებული.

აქ მინდა გავუსვა ხაზი ერთ, უღრმესი შინაარსის მქონე გარემოებას:

მცხეთის ჯვრის გეოდეზიურ ნიშნულს - 612 მეტრს და ორ მდინარეთა შენაკადთან დაფლულ ქრისტეს უმთავრეს რელიკვიას - კვართის მდებარეობის ნიშნულს 457 მეტრს შორის 612 - 457 = 155 მეტრია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ პირობათა სვეტიცხოველში კვართის დაფლვისა და ჯვრის ტაძრის ცენტრში საკუთრივ ხის ჯვრის სამაგრი ამაღლებული ოქტაგონის თითო-თითო მეტრი,



რაც საბოლოოდ 155 + 1 + 1 = 157 მეტრის, ანუ ნახევარი π - ს ტოლია, ხოლო აღნიშნული გეოდეზიური ნიშნული 3,14 : 2 = 1.57 ასზე ნამრავლს უდრის.

მოცემული ესკიზ-იდების დონეზე შესრულებული პროექტის განხორციელების შედეგად არსებულ ორ შემაერთებელ ხიდთან ერთად „ნახევარკალის“ სისტემაში მოქცეულ თანამედროვე ხიდთა და სატრანსპორტო კვანძთა ერთობლიობა შეადგენს ერთ წრიულ სატრანსპორტო ანსამბლს, რომელიც განაახლებს თავის დროზე არტაგის აგებული და გორგასლის მიერ გამაგრებული ხიდების მრავალსაუკუნოვან ისტორიულ-არქიტექტურულ-ალმშენებლობით მემკვიდრეობას.

ესკიზ-იდების სახით წარმოდგენილ პროექტს მონონებისა და შემდგომი განხორციელების შემთხვევაში ძალულს ამიერკავკასიის გეოგრაფიულ ცენტრში, 45-ე გეოგრაფიულ ნიშნულზე, საქართველოს პირველ დედაქალაქში - მცხეთაში დაუდოს სათავე სრულიად ახალ ქალაქდამფუძნებელ ფესვს, რომელიც თავის თავში გააერთიანებს ქართლოსიან-ფარნავაზიან-ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი ეთნიკური ერთობლიობის კასკადს, რაზედაც შესაძლებელია დაშენდეს საერთაშორისო მნიშვნელობის მრავალფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო მძლავრი სტრუქტურული კონგლომერატი.

ზემოთ მე შევეცადე, პირდაპირი და წარმოდგენითი პირობითი მნიშვნელობით, წარმომესახა საქართველოს უღრმესი წარსულის ერთიანი საფეხურებრივი მონოლითი და ამ ორგანიზმის მომავალი

სიცოცხლის ჩამსახველი არეალი. მაგრამ ერთია სიცოცხლის სანცისის მონიშვნა და მეორე ნაყოფის შობა.

სწორედ ამ ამოცანის გადაჭრას ისახავს მიზნად წარმოდგენილი პროექტის დამაბოლოებელი ნაწილი.

სახელდობრ, მტკვარი საქართველოს ტერიტორიაზე გამდინარე მთავარი არტერიაა. დაწყებული თურქეთიდან, გაივლის რა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს, იგი მიედინება აზერბაიჯანის დაბლობში და უერთდება კასპიის ზღვას. პრეისტორიულ ხანაში კასპიის წყლები შავ ზღვასთან ერთად ხმელთაშუა ზღვის საოკეანო სივრცეს წარმოადგენდნენ, ახლა კი იგი გეოგრაფიულად დიდი ტბა არის, რადგან გაუმდინარეა. მოცემულ პროექტში არის შეთავაზება კასპიის - ამჟამად - ტბა ისევე ზღვად იქცეს, ოღონდ არა დასავლური მიმართულების მუშევრებით, არამედ აღმოსავლეთის მხრივ. ამის უმოკლეს გზას გვეკარნახობს ირანის აღმოსავლეთი მიჯნა - იგი ყველაზე დაბალ გეოგრაფიულ ნიშნულზე ესაზღვრება თურქმენეთის, ავღანეთისა და პაკისტანის სახელმწიფოებს.

თუკი ამ საზღვრის ნაცვლად უმოკლესი გზით აქ გაიჭრება გემსავალი არხი, კასპიის აკვატორია შეუერთდება არავიის ზღვას და, შესაბამისად, ინდოეთის ოკეანეს. ამ საზღვრის სიგრძე თუმცა ორი ათას ხუთას კოლომეტრს აღემატება, მაგრამ უკუმოგება განუზომლად დიდი იქნება, რადგან კასპიის ზღვა გემსავალი გახდება და ზემოთ აღნიშნული ქვეყნების გარდა ყაზახეთი, რუსეთი და აზერბაიჯანი უშუალოდ დაუკავშირდება ინდოეთის ოკეანეს. რუსეთისთვის მარტო ის რად ღირს, რომ დედა-მდინარე „ვოლგა“ საოკეანო ხომალდებისთვის გამავალი გახდება. მოცემული პროექტით

კასპიის ზღვისა და მინგეჩაურის წყალსაცავის დამაკავშირებელი მცირე მონაკვეთის საოკეანო გაბარიტებამდე გაღრმავების შემთხვევაში შესაძლებელია, რომ საქართველოც გახდეს ნაზიარები ამ აღმოსავლური საოკეანო კარიბჭის მადლს.

დასახული ესოდენ მასშტაბური სამუშაოები ბუნებრივად სვამს კითხვას: „სად წავა მიწის ესოდენ დიდი მასა, რომელსაც არხის გაჭრისას ამოიღებენ?“ პასუხი ძალზე უბრალოა - არაბული საემიროების უმდიდრესი ქვეყნები სანთლით ეძებენ ამგვარ ბუნებრივ რესურსებს, რადგან ზღვის აკვატორიაში ახორციელებენ დაყრილი მიწის ხარჯზე დასასვენებელი და საცხოვრებელი მთელი რაიონების მშენებლობის პროექტებს, ირანის სამხრეთი კი ძალზე ახლოს მდებარეობს ხსენებული რაიონიდან

პროექტის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, აქ შესაძლოა გამოყენებულ იქნას კასკადური რაბების სისტემა. ყოველივე ამის განსახორციელებლად საჭიროა მხოლოდ სადი აზრის გამარჯვება და ის, რომ რამდენიმე ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რომელიც დღეს უდაბნოს წარმოადგენს, სარწყავი წყლით იქნეს უზრუნველყოფილი, რაც ამ რეგიონებისთვის ძალზე ხელსაყრელია. არაფერს ვლაპარაკობ ათასობით დასაქმებულ მუშახელზე და შემდეგ მათი ოჯახების დასახლების თაობაზე.

ცხოვრებაში დანერგილმა ამგვარმა ღრმად გააზრებულმა წვდომამ განაპირობა ჩვენი ქვეყნის ოქროს ხანად ნოდებულ აღმავლობის ეპოქაში დიდი შოთა რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მემშვეობით აგებულიყო ინდოეთსა და საქართველოს შორის სულიერ-კულტურული ხიდი, რაც გამომდინარეობდა ქარ-

თული ზნის - ანუ მორალური ფასეულობების კრებულის მიერ სწორად აღქმული ბუდიზმისა და მუსლიმანური აღმსარებლობის შორის მართლმადიდებლობის ღრძობილი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან.

ამგვარ კულტურულ-გეოგრაფიულ ხედვას გრიგოლ აბაშიძე ძალზე საფუძვლიანად აყალიბებს საქართველოს XII-XIII საუკუნეების ოქროს ხანის სამეფოს მთავარ ორიენტირებად თავის „ლაშარე-ლაში“.


დასასრულ დავეძენ, რომ წარმოდგენილი პროექტის მონონებისა და განხორციელების შემთხვევაში ჩვენი თანამედროვე მოდემის ქმედება საუკუნეების განმავლობაში ექნებათ დასაქადნებლად მემკვიდრეებს, რადგან აღნიშნული „ოქროს ხანის“ შემდგომ - მრავალი საუკუნის პოლიტიკური დუმისის შემდეგ - ქართულმა გენმა გაარღვია მილიონობით წლების გეოგრაფიული კედელი და კასპიის ზღვა არავიის ზღვას და, შესაბამისად, ინდოეთის ოკეანეს არხით დაუკავშირა, ანუ აღდგა კასპიის ზღვის სტატუსი ოღონდ არა დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის მიმართულებით. ამით ქართული ჯიში XXI საუკუნეში „ვეფხისტყაოსანში“ ჩადებულ უღრმესი შინაარსის ფილოსოფიას, რაც ინდურ-არაბული სამყაროს საპირწონე აგებულებაში მდგომარეობს, პრაქტიკულად დანერგავს ცხოვრებაში, რითიც მსოფლიოს მაღალი კულტურის უკიდვანო სივრცეში თავის კუთვნილ დამსახურებულ ადგილს დაიმკვიდრებს.

არქიტექტორი
მერაბ აბუსაძე



დებიუტი

როსშა შათირიშვილი




LIBERTY SOUL

სადღაც ძალიან შორს, ამავდროულად ძალიან ახლოს არის პლანეტა (სამყარო), რომელზეც არსებობს სიყვარული, მშვიდობა, თავისუფლება და, რაც მთავარია, სიმართლე. არსებობენ „ელიოზები“, რომლებიც ეწირებიან ამ სამყაროს ძიებას, ბევრმა კი არც არაფერი იცის მის შესახებ. მე არ მინდა, „ელიოზი“ ვიყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ, თუ კაცი თავისუფლების გზას დაადგა, ის აუცილებლად უნდა გავიდეს ბოლოში. თუმცა ეს გრძნობა ჩვენს დროში თანდათან კნინდება და ბევრს მისი მნიშვნელობაც კი არ ესმის, ვერ აანალიზებს თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს უსაზღვრო ხორციელ თავისუფლებას. გადამეტებული არაფერი არ არის კარგი და ჩემს სულსაც შემოსაზღვრული უსაზღვროება სწყურია.

„COGITOS ERGO SUM“

მე არ ვარ „რა“, მე ვარ „ვინ“ და ეს ბევრ რამეს ხსნის. მე ანგელოზი ვარ და ამიტომ ნებისმიერ დროს ძალმიძს, გავხდე ეშმაკი. მეგობრობის ფასიც კარგად ვიცი და

დალატიც უფრო მეტად შემიძლია, ვიდრე ჩვეულებრივ მოლალატეს. რადგან პირამიდიდან ჩამოსვლა უფრო ადვილია, ვიდრე მასზე ასვლა. პირამიდის წვეროდან ულამაზესი ხედი იშლება და თავისუფლებასაც უფრო მეტად გრძნობ, ამიტომ იქ ასულ ადამიანებს ხშირად ჩამოსვლა აღარ სურთ. ზოგი ახერხებს დარჩენას, ზოგს კი ფეხი დაუცდება და ერთ ნაბიში პირამიდის ქვეშ აღმოჩნდება, ხოლო, თუ პირამიდის ქვეშ, სპეტაკ თოვლზე რამდენიმე ნაფეხური დატოვებ, წვერში ასვლის შანსი ძლიერ მცირდება. ასევე არ არსებობს პირამიდაზე მეორედ ასვლის შანსი, რადგან სამყაროში ყველაფერი ერთია (განუმეორებელი), აქედან გამომდინარე, მოსაზრება, რომ შენს დატოვებულ ნაკვალევში მეორედაც ზუსტად ჩააბიჯებ, ილუზიაა. ამიტომ ყველა ადამიანი, ვისაც ამის გააზრება ძალუძს, ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ არის და არასდროს ბრუნდება უკან ნაბიჯის გასამეორებლად, განსხვავებით ხალხისა (ბრბოსი), რომელიც უბრალო ინსტინქტებს ეყრდნობა.



მსოფლიო ხელოვანი აფთარებით ებრძოდა სიბერეს და უკვე მოახლოებულ საშინელ სიკვდილს. უკვირს და გაოგნებულია მიქელანჯელო, რადგან მისი ქმნილებანი ეპოქის წინაშე გრანიტის კლდოვან მწვერვალზე აღმართულან და მარადიული ქალაქის დიდებას წარმოადგენენ; მხატვრის სიცოცხლის დასასრული კი მოახლოებულიყო. დიდმა მოქანდაკემ კარგად იცის თავისი იშვიათი ნიჭის ფასი... განცვიფრებულია, ასე ჩქარა როგორ შემოაღწა რამდენიმე ათეული, შემოქმედებითად დაძაბული, წელი; არადა, რა არის დიდი მხატვრისთვის ცხრა ათეული? „დავითის“ ქანდაკების ავტორისთვის, „მიჯაჭვული მონები“, „მოსეს“ და „პეტროვისა“, განსაკუთრებით ბოლო პერიოდის „პეტა“, რომელიც მარად თანამედროვე ქანდაკებად დარჩება კაცობრიობის ისტორიის სივრცეში...

გადავხედოთ ავტორის საოცრად ჰარმონიულ და რომანტიულ „დედ და ლამეს“, ხოლო ყველაზე ათვისი მომხსენებელი და ცალკე საკვირველებია ქანდაკებათა შორის „მიჯაჭვული მონები“. ღმერთი ჩემო, მაღლობა შენდა! როგორი უსაზღვრო ზეცაა ჰქონია ადამიანის ნიჭსა და გენიას. ეს სასწაული წყვილი ქანდაკება ზეადამიანური შთაგონებით და ღვთიური გენიითაა მარმარილოს ძვირფასი ქვისაგან გამოქანდაკებული და მათგან საკვირველი და შემამოფთებელი, ახლად ამოხეთქილი ვულკანივით ყრუ ქუჩა-ქუხილი გაისისხ; „მიჯაჭვული მონები“ დედამიწის შინაგანი უმრეტეი ძალის უზომო ცეცხლოვანი მასაა ჩაღვრილი. მიქელანჯელოს ამ ქანდაკებათ თანამედროვეობიდან ანტიუან ბურდელის „ისრის მტყორცნელი“ თუ უდგას გვერდით (ბურდელის ეს ქანდაკება პარიზში, დორსეის მუზეუმის მეორე სართულზეა ექსპონირებული). კანტიკუნტად, მაგრამ კაცობრიობის უწყვეტი გენიის ახალ და ახალ განვითარებაში აღმოცენდება ხოლმე ცვილიზაციის საოცრებანი. თავის დროზე ამდაგვარმა პროცესმა შვა მიქელანჯელოს მეშვეობით ქანდაკებები: „დავითი“ და „მიჯაჭვული მონები“. ამ გასაოცარ ქმნილებებში, მარმარილოს ქვაში, დაუტყვადი სული და კოსმიური ძალაა შესისხლხორცებული. მათში ქვის ფაქტურასა და ფიზიკურ წონას ვერ გრძობ; აქ მხოლოდ ქანდაკების (ქმნილების) ღვთიური თვისებები და მარადიული სულიერებაა აფეთქებული, მხატვრის ნიჭის შემოქმედებითი სულის აწყვეტის, მუხათა გახელების,

ზღვარს გადაცილებული ვნებათა ღელვის, ზეფანტაზიის – აღმაფრენის კულმინაცია და გენიის ტანჯვის მომგვრელი შემოქმედებითი წვა, რითაც ვერ ედგომებოდა დედამიწაზე.

უნიკალური ლუერის მუხეუმის, ძველი რომაული და იტალიის ალორძინების ხანის ქანდაკებათა დიდ დარბაზში თითქოსდა ვერ ეტევიან მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონები“, უსასრულოდ იტანჯებიან და უხილავად ილენება მათი სული და ძვლები, განყვეტამდეა დაჭიმული კუნთები, დაბერილი არტერია, ძარღვები და ანწილი

მიქელანჯელო კვდებოდა!

წევრები. მათგან გახეთქესაა დარბაზის სივრცის და გარემოს განწყობილება. ოცნებაშიც ვერ ჯდება ფიქრი იმაზე, რომ ისინი როდისმე აიწყვეტენ და უმძიმესი ტანჯვისგან განთავისუფლდებიან; იმდენად არიან მტკიცე ღვედით და უხილავი კოლოსალური ძალით შეკრულინი. სიმბოლურია აქ ყოველივე: რომ ადამიანი მარადიულ ტანჯვაშია და დედამიწაზე, სიცოცხლის დასასრულამდე მონობისთვის არის გაჩენილი. ჩვენს ურთულეს პლანეტაზე ჩამობრძანებით მაცხოვრებელს ხომ იგივე პროცესი განიცადა, თუმცა ადამიანებს უზომო სიყვარული და სიკეთე გვიბოძა. ალბათ, ბობოქარი სამყაროს პატრონს და მის შემხედვარეს არც თავის საღმრთო საბრძანებელში ექნება მშვიდი და ნათელი გარემო; ჩვენს წინაა უტყუარი ისტორიული სურათი – სამყაროში უმცირესმა ჩვენმა პლანეტამ რა დღეში ჩააგდო კეთილი იესო, უმონყალოდ ანამეს და გააძევეს თავისი ატლახებული მინის უბოროტესმა შვილებმა.

ერთ დროს მეფეთა, დედოფალთა, კარდინალთა და დიდებულთა მწქეფარე ცხოვრების ამსახველი მატრიანე, ლუერის კედლები „მიჯაჭვული მონების“ გაუთავებელი სტუმრობით უკიდურესად დაძაბული და ფსიქოლოგიურად შეკუმშულია. თავად ავტორი მიქელანჯელო კი შორს, იტალიის მინას შერწყმია და მისგან არაფერი ისმის, მხოლოდ მისი „მიჯაჭვული მონები“ უსასრულო დროით შებმან მიწიერ დრამას. მათ ირგვლივ შემოჯარული დუმილის ქანდაკებები, იმპერატორთა, ბრძენთა, პოეტთა და დიდებულთა ბიუსტები ამდაგვარი ნამების ცქერით განცვიფრებულან. უკან, ყოველი კუთხის უხილავობაში, დემონია ჩასაფრებული. დღევანდელი, გაოგნებული და მორჩილი, მაყურებელი მდუმარედ დანდის ამ დაძაბულ სივრცე-გარემოში. კოსმიური ხრიალით ესმის მოხუცი მიქელანჯელოს სულის ჩივილ-გოდება.

„ვარ მარტოსული და განწირული და მომწყვედული, როგორც ქერქია ხისა... მე ვბზუი ისე, როგორც კრახანა, ძელისა და ტყავის ტომარაში მოთავსებული...“

მიქელანჯელო, როგორც ადამიანი და ტიტანი მოქანდაკე, მიწიერი და კოსმიური დიდი ძალაა, ფიდიასის მერე საოცრება მოვლენაა; ასევე ყველა ათასწლეულ-

თა ბელადზე, მეფეზე და იმპერატორზე აღმატებული და მაინც, სანამდე მიიყვანა კოსმოსის შუჭერებელმა დროის დინებამ და მისმა მოუკარება განაჩენმა. ასეთი სასწაულომქმედი ადამიანი, მიქელანჯელო, თანდათან საშინელ წყვედიას ბარდებოდა. კოსმოსი – დრო, სივრცე-გარემო და გარდაავლობა, უმონყალოდ ზემინიერი ძალ-ღონით ქვეცნელისკენ ექაჩებოდა მას და დაუნდობლად სპობდა დიდ ხელოვანს... მოქანდაკის უკვდავი შედეგები კი განზე იდგა, საოცრება „სიქსტის კაპელას“ ქერის მოხატულობაც თავისთვის ღელავ-

და... ამ დროს სულგრძელი მიქელანჯელო თავის ქმნილებებს ხელს არ უშლიდა და უპატიოსნესი ბერივით მორჩილი იდგა, თანაც ბავშვივით უკვირდა, რა ადვილად ერეოდა და ცვეთდა უხილავი ძალა. კოსმიური შავი ჩრდილი უმონყალოდ ანადგურებდა მის უზარმაზარ ადამიანურ ბუნებას და უსაშველოდ მიაქანებდა მინიერ ყოფაში; მინა უხმოზა – უახლოესი, დიდი და ურთულესი კოსმიური ფენომენი... საბოლოოდ მაინც ასეთი ბუმბერაზი ადამიანი და ბიბლიურ ხელოვანებას შეწირული მოქანდაკე ამდაგვარ სასტიკ აღსასრულს, ალბათ, არ მოელოდა, მაგრამ სიკვდილის ნება ყველასგან დაუკითხავად ჯიუტად მოქმედებდა. უკიდურესად გახელებული „მიჯაჭვული მონები“ კი ბრძვნიდა გარემოს; დაძაბულმა მოსემ უხილავად გაიარ-გამოიარა. ამასობაში მიქელანჯელოს ტანჯვის ბორცვზე შემდგარი სული მწარედ გვახსენებდა:

„ჩემი კბილები ისე ირყევა, ვით კლავიშები კლავესინისა... მაქვს პირისებე გაფითრებული... ცალ ყურში მიზის მეობოძა ქსელის მქსოველი...“

ამგვარად მოტეხა მიწიერმა და კოსმიურმა ბუნებამ ერთ დროს უდრეკი და შეუპოვარი მიქელანჯელო და ჩვეულებრივ მოკვდავს გაუთანაბრა.

„მღერის ჭრიჭინა მეორეში გათენებამდე... ისე უხრიალებ, თვალს რული არ ეკარება. მე დიდებას რომ აღმოთქვამდა, იმ ხელოვნებამ

აი, სადამდე მიმიყვანა, როგორ გაათავდა.“ სინაულით საყვედურობს ხელოვნებას, ხოლო სდუმან და ძლიერი პლანეტების დარად დგანან მისი „დავითი“, „პეტეტა“, „მოსე“, „სიქსტის კაპელას“ საოცრება ფრესკები, „მიჯაჭვული მონები“ და მრავალი სხვა. სამყაროს მთლიანობას შერწყმან ისინი და ავტორის მალე გამინიერება არც ადარდებთ. ამ სახის ბედისწერისაა ყოველი დიდი შემოქმედის დასასრული...

ასეთივე სასტიკ ბედისწერას ვერ ასცდა ლეონარდო და ვინჩი; ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი იმედის თვალით და განცდით დახვდა საფრანგეთის მეფეს. მბრძანებელიც ჩაეხუტა და მიეფერა მომაკვდავ ტიტანს, მაგრამ ბუნების ძალუმ პროცესს მეფეც ვერ შეაჩერებდა; მერმე,

მცირედ დარჩენილ დროს, ლეონარდო და ვინჩი მონყალების თვალთ შეპყურებდა მის წინ მოღბერტზე დაბრძანებულ „ჯოკონდას“, საოცარ ქმნილებას. მავედრებელი მზერით შესცივინებდა და, ვინ იცის, ამ უსაშველო უბედურებიდან ხსნის გარდა კიდევ რას სთხოვდა თავის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს. მაგრამ „ჯოკონდა“ შორეულ სიღრმეში იმზირებოდა და ვერ გრძობდა შემქმნელის უმძიმეს გასაჭირს.

მიქელანჯელოც, დედამიწის ღირსება, ნიჭი და უწყვეტი არტერია, ვერ შეინახებოდა სიბერეს და სიკვდილს, კოსმიურ მკაცრ გარდუვალობას. აი, როგორ მწარედ და ტრაგიკულ სულიერ სურათს გვიხატავს იგი:

„მე ვარ მოხუცი, უბადრუკი და გათელილი და ბედშავს ახლა სიკვდილი თუ მიშველის მხოლოდ... მოქანცული ვარ, გატანჯული და მოტეხილი, ჩემი სასტუმრო ერთადერთი არის სიკვდილი...“

– დარბაზში გრგვინვა-ქუხილით დაეძგერენ ურთიერთს მოსე და დემონი, იდეალუბამ ელვად იმოქმედა მათზე და გაიფანტნენ.

მიქელანჯელო უკანასკნელად შეებრძოლა სიკვდილს და, – მიშველეთო, – ხრიალით აღმოხდა, მაგრამ მის წინაშე დუმდა ყოველი და ყოველივე... მასთან მხოლოდ კოსმიური უძლეველი ძალა აქტიურობდა, შავი, უზარმაზარი, უხილავი მასა მძიმედ მოძვრებოდა მისკენ სასტიკ ჯალათად, თავის ზნელ საქმეს ასრულებდა და არავის არ ემორჩილებოდა. უსახო სიკვდილს უახლოეს გალაქტიკაში ერთ-ერთი ულამაზესი ვარსკვლავი გაუნადგურებია და შავი პლანეტის მბრძანებელს ელვის სისწრაფით დიდ მოხუცთან გამოუგზავნია. დაუძლეული მხატვარი სიკვდილს ნელინელ ბარდებოდა და მორჩილებდა... მიქელანჯელოს ქმნილებანი კი არც ერთის საქმეში არ ერეოდნენ, მიწიერი სიკვდილ-სიკვდილი მათთვის ხომ ძალიან შორეული იყო და სრულიად უცხო. შედეგთა უცნაურ დამოუკიდებლობას და გაურკვეველ განდგომილებას მიყვარათ ისეთ დასკვნამდე, რომ ისინი უთუოდ იმ მესამე რაღაცაში უშუალო კონტაქტში არიან, რომელიც ჩვენგან ძალიან შორეულია, რის ძიებასაც უმონყალოდ შეეწირა მისტიკოსი პოეტი ტერენტი გრანელი. ის მესამე რაღაც გონიუმდომელი ფენომენია, ბოლომდე შეუცნობადი, ალბათ, სამყაროსაც გააჩნია თავისივე წონის და სიდიდის ფაქული ძალა, რაც თავისთავად შეუვალ იდეალუბას წარმოადგენს.

მარადიული შედეგების ავტორი კვდებოდა, დიდ ხელოვანს დრო უსრებდა და სამოქმედოდ სიკვდილი ჩამოეგდო. ყოველივეს გამანადგურებელს შეეცინოებინა გარემო და გველის სუნი ტრიალებდა ირგვლივ. მიქელანჯელო კვდებოდა, იქვე ახლოს, მეზობელ სახლში ბავშვი იხადებოდა. აქ კი შედეგთა მშობიარობა დასრულებულიყო და მრავალწერტილმა ვარსკვლავეთამდის ააღწია...

რეზო აღაშია

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ნოდარ ბრიგალაშვილი** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე **ნოდარ ბრიგალაშვილი** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ლიტერატორი, ჟურნალისტი **გივი შატიშვილი** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ძვირფასო ავტორებო! რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს "ასავალ დასავალის სტამბაში" მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39 ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნივნივაძე

თავისუფლების მოედანი №4; E-mail: litsaqrtvelo@yahoo.com
ტელ.: 292 34 89

გამოდის
პარასკეობით